



საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 02 თებერვლის N 04/90 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, 17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ზ²“ და „თ“ ქვეპუნქტების, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და 29-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით საქმის მოკვლევის დაწყების და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 02 თებერვლის N04/90 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“ - თანდართული სახით.
2. დადასტურდეს შპს „გეას“ (ს/ნ 201951209) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.
3. დადასტურდეს შპს „გლობალ ცბს“-ს (ს/ნ 402011327) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.
4. დადასტურდეს შპს „რიჩ გრუპის“ (ს/ნ 434172977) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.
5. დადასტურდეს შპს „კონცეპტ ფარმას“ (ს/ნ 205224292) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.




6. არ დადასტურდეს შპს „BIH-ს“ (ს/ნ 406075900) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.
7. არ დადასტურდეს შპს „ბარდის“ (ს/ნ 205288160) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.
8. არ დადასტურდეს შპს „კროკუს ფარმას“ (ს/ნ 440397606) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.
9. არ დადასტურდეს შპს „ნუვეა ფარმაცევტიკალის“ (ს/ნ 405266386) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.
10. ამ ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული დარღვევისთვის, შპს „გეას“ (ს/ნ 201951209) დაეკისროს ჯარიმა 210 631.80 ლარის ოდენობით.
11. ამ ბრძანების მე-3 პუნქტში მითითებული დარღვევისთვის, შპს „გლობალ ცბს“-ს (ს/ნ 402011327) დაეკისროს ჯარიმა 249 143.74 ლარის ოდენობით.
12. ამ ბრძანების მე-4 პუნქტში მითითებული დარღვევისთვის, შპს „რიჩ გრუპს“ (ს/ნ 434172977) დაეკისროს ჯარიმა 77 935.33 ლარის ოდენობით.
13. ამ ბრძანების მე-5 პუნქტში მითითებული დარღვევისთვის, შპს „კონცეპტ ფარმას“ (ს/ნ 205224292) დაეკისროს ჯარიმა 21 646.14 ლარის ოდენობით.
14. საქმის მოკვლევის ფარგლებში დადგენილ, აგრეთვე სხვა შესაბამის ბაზრებზე ოპერირებად და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს წარედგინოთ განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად.
15. შპს „კონცეპტ ფარმას“, შპს „რიჩ გრუპს“, შპს „გლობალ ცბს“-სა და შპს „გეას“ დაევალოთ წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში წერილობითი ფორმით სააგენტოს წარუდგინოს ამ ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების შესაბამისად გაცემული განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციის განხილვის შედეგებთან დაკავშირებით ინფორმაცია.
16. დამტკიცებული გადაწყვეტილება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადაეგზავნოთ მხარეებს, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

17. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
18. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).
19. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის 2025 წლის 01 აგვისტოს N 03/1085 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვიჩიძე

თავმჯდომარე





საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის
სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით საქმის მოკვლევის
დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ საქართველოს
კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 02
თებერვლის N04/90 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მოკვლევის
თაობაზე

თბილისი

2025 წელი

სარჩევი

შესავალი	5
თავი I. ნორმატიული რეგულირება	6
1.1. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით	6
1.1.1. ზოგადი მატერიალური რეგულირება	6
1.1.2. პროცედურული რეგულირება	8
1.2. ფარმაცევტული ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა ...	10
1.2.1. ფარმაცევტული პროდუქტის რეგულაციური ფასების განმსაზღვრელი და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა	12
1.2.2. GDP (კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკისა) და GMP (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტი ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე	15
თავი II. შესაბამისი ბაზარი	17
2.1. პროდუქციული საზღვრები	19
2.1.1. შესავალი	19
2.1.2. ATC კლასიფიკაცია და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა	20
2.1.3. ექიმი, ფარმაცევტი და მომხმარებლის შეზღუდული არჩევანი	23
2.1.4. კონკურენტული წნეხის ხარისხი, როგორც დამატებითი ფაქტორი	26
2.1.5. მედიკამენტების ფორმა, მიღების წესი და დანიშნულება	27
2.1.6. დასკვნა	29
2.2. გეოგრაფიული საზღვრები	29
2.3. დროითი ჩარჩო	29
თავი III. შესაბამისი ბაზრებზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების იდენტიფიცირება და მათი საბაზრო წილების გამოთვლა	29
3.1. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) - ofloxacin and ornidazole –ის შემცველი მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციის ბაზარი	30
3.2. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – isoxsuprine-ის შემცველი მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციის ბაზარი	31
3.3. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – flunarizine -ის შემცველი მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციის ბაზარი	31
3.4. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – sulfamethoxazole and trimethoprim -ის შემცველი მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციის ბაზარი	32

3.5. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – hydroxyzine-ის შემცველი მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციის ბაზარი	32
3.6. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – sulodexide-ის შემცველი მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციის ბაზარი	33
3.7. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – albendazole-ის შემცველი მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციის ბაზარი	35
3.8. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – aripiprazole-ის შემცველი მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციის ბაზარი	35
3.9. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – erythromycin-ის შემცველი მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციის ბაზარი	36
3.10. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – progesterone-ის შემცველი მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციის ბაზარი	36
3.11. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – lornoxicam-ის შემცველი მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციის ბაზარი	37
შუალედური დასკვნა	37
თავი IV. არასამართლიანად მაღალი ფასის შეფასების მეთოდოლოგია	38
4.1. United Brands-ის ტესტის პირველი საფეხური - ფასის სიჭარბე	40
4.2. United Brands-ის ტესტის მეორე საფეხური - ფასის არასამართლიანად მაღალი ხასიათი თავისთავად ან კონკურენტ პროდუქტთან/მომსახურებასთან შედარებით	44
თავი V. ქმედების შეფასება	46
5.1. ფასის სიჭარბე	46
5.1.1. ერთეულ კოლოფზე გაწეული ხარჯები	46
5.1.1.1. შპს „გლობალ ცბს“ - მედიკამენტი ოფლაბ-ოზი	47
5.1.1.2. შპს „გლობალ ცბს“ - მედიკამენტი იორილი-10	49
5.1.1.3. შპს „გლობალ ცბს“ - მედიკამენტი ჰაიზინი	50
5.1.1.4. შპს „კონცეპტ ფარმა“ - მედიკამენტი ფლოქსაზოლი	52
5.1.1.5. შპს „კონცეპტ ფარმა“ - მედიკამენტი ზინასენი	57
5.1.1.6. შპს „გეა“ - მედიკამენტი ბისეპტოლი 120 მგ	60
5.1.1.7. შპს „გეა“ - მედიკამენტი ბისეპტოლი 480 მგ	67
5.1.2. გონივრული მარჟის ოდენობა	69
5.1.3. ჭარბი სხვაობა ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილ სადისტრიბუციო ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის	74
5.1.3.1. შპს „გლობალ ცბს“ - მედიკამენტი ოფლაბ-ოზი	74

5.1.3.2. შპს „გლობალ ცბს“ - მედიკამენტი იორილი-10.....	76
5.1.3.3. შპს „გლობალ ცბს“ - მედიკამენტი ჰაიზინი	77
5.1.3.4. შპს „კონცეპტ ფარმა“ - მედიკამენტი ფლოქსაზოლი	78
5.1.3.5. შპს „კონცეპტ ფარმა“ - მედიკამენტი ზინასენი	80
5.1.3.6. შპს „გეა“ - მედიკამენტი ბისეპტოლი 120 მგ	81
5.1.3.7. შპს „გეა“ - მედიკამენტი ბისეპტოლი 480 მგ	82
თავი VI ფასის არასამართლიანად მაღალი ხასიათი თავისთავად ან კონკურენტი პროდუქტთან/მომსახურებასთან შედარებით	83
6.1. ფასის არასამართლიანად მაღალი ხასიათი თავისთავად	83
6.2. ფასის არასამართლიანად მაღალი ხასიათი კონკურენტი პროდუქტთან შედარებით	87
თავი VII მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებული და შემაჯამებელ სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციები	95
თავი VIII დასკვნა.....	106
თავი IX სანქცია.....	108
სარეზოლუციო ნაწილი	113
რეკომენდაცია	114

შესავალი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) მედიკამენტების მაღალი ფასნამატი (300%-დან 3000%-მდე) რეალიზაციის თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ 2023 წლის 19 დეკემბერს გასაჯაროებული ინფორმაციის¹ საფუძველზე სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 02 თებერვლის №04/90 ბრძანების შესაბამისად, შპს „გლობალ ცბს“-ს (ს/ნ 402011327), შპს „კონცეპტ ფარმას“ (ს/ნ 205224292), შპს „ბარდის“ (ს/ნ 205288160), შპს „ნუვეა ფარმაცევტიკალის“ (ს/ნ 405266386), შპს „რიჩ გრუპის“ (ს/ნ 434172977), შპს „კროკუს ფარმას“ (სკ 440397606), შპს „გეას“ (ს/ნ 201951209) და შპს „BIH“-ის (ს/ნ 406075900) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტებზე მოკვლევა დაიწყო. მოკვლევის საგანს წარმოადგენს აღნიშნული 8 (რვა) ეკონომიკური აგენტის მიერ 2021-2023 წლებში მედიკამენტების შესაძლო მაღალი ფასნამატი რეალიზაცია საბითუმო დონეზე.

სამინისტრომ მის მიერ გასაჯაროებულ ინფორმაციაში მიუთითა 20 მედიკამენტის მაღალი ფასნამატი რეალიზაციაზე, თუმცა სააგენტომ მონაცემთა წინასწარი დამუშავების შედეგებიდან გამომდინარე, მოკვლევა დაიწყო მხოლოდ 14 მათგანის ნაწილში, ესენია: 1) ტრეპარინი 250 მგ. N50; 2) ბისეპტოლი ტაბ. 120 მგ, N20; 3) ბისეპტოლი ტაბ. 480 მგ, N20; 4) ზინასენი 10 მგ N60; 5) ადაზალ ნეო 400მგ შემოგარსული ტაბლეტი №1; 6) ადაზალ ნეო 200მგ შემოგარსული ტაბლეტი №2 (1X2); 7) ფლოქსაზოლი 500მგ + 200მგ აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტი №10; 8) იორილი 10 10მგ ტაბლეტი №30 (3X10); 9) ოფლაბ-ოზი 200მგ + 500მგ აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტი №10 (1X10); 10) ჰაიზინი 6 მგ/მლ 15 მლ ორალური წვეთები, ხსნარი ფლაკონი N1; 11) არიპრადა 15 მგ. ტაბლეტი N 30; 12) ლორნიკუსი ამპულა N1; 13) ლუტეინა 200 მგ. N30; 14) ერიტრომიცინი გარს. ტაბ. 200მგ. N16.

¹ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადება იხ. <https://www.moh.gov.ge/viewnews.php?lang=1&uid=202312190743303294106647>.

თავი I. ნორმატიული რეგულირება

1.1. საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით

1.1.1. ზოგადი მატერიალური რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“.

კანონის პირველი მუხლის თანახმად, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით დაკონკრეტებულია კანონის მიზანი - საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-4 მუხლის თანახმად, კანონის მოთხოვნათა შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობი პირობების შექმნა და დაცვა, აგრეთვე ამ მიზნით ყველა სახის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა. კანონის მე-16 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, სააგენტო თავისი საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დამოუკიდებელია. ამასთან, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, სააგენტო საქმიანობს დამოუკიდებლობის, არადისკრიმინაციულობის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან და სხვა.

შესაბამისად, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს, კანონი მომეტებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. ამასთან, კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიმართ დომინანტური მდგომარეობის ფაქტის დადგენა თავისთავად არ წარმოადგენს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას, ასეთ ეკონომიკურ აგენტს გააჩნია სპეციალური ვალდებულება, არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის შესაბამის ბაზარზე ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს.

თავად „დომინანტური მდგომარეობის“ ცნებას კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს, კერძოდ, ამ დანაწესის თანახმად, დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-5 მუხლი კი განმარტავს, რომ დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის, აგრეთვე მისი კონკურენტების საბაზრო წილების, ბაზარზე შესვლის ბარიერების, წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროს ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სააგენტო ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს და საბაზრო ძალაუფლებას განსაზღვრავს სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით.

კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი ერთობლივი შემოსავლის 5%-ს, ხოლო დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან აღნიშნული დარღვევის განმეორების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი ერთობლივი შემოსავლის 10%-ს.

1.1.2. პროცედურული რეგულირება

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის 25-ე მუხლისა და პროცედურის მე-6 მუხლის თანახმად, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სააგენტო იწყებს საქმის მოკვლევას და არაუგვიანეს 6 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ამასთან, მოკვლევის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქმის მოკვლევა შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა,

რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის. ამავე კანონის 32-ე მუხლი კი ითვალისწინებს სანქციას სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის მისთვის მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობისთვის, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებისათვის. პროცედურის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას.

პროცედურის მე-20 მუხლის მიხედვით, სააგენტო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სააგენტო უფლებამოსილია:

- ა) შეაგროვოს ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით;
- ბ) მიიღოს ახსნა-განმარტება ან გამართოს საკონსულტაციო შეხვედრა საქმის გარემოებათა დასადგენად;
- გ) მოიწვიოს ექსპერტი;
- დ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

პროცედურის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად სააგენტოს თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია ახსნა-განმარტების მისაღებად მოიწვიოს მხარე ან/და დაინტერესებული მხარე. პროცედურის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო, ახსნა-განმარტების მიღების მიზნით, ატარებს სხდომას მხარეთა მონაწილეობით, ხოლო 25-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოკვლევის ინტერესების გათვალისწინებით, ახსნა-განმარტების მიღება შესაძლებელია მოხდეს სხდომის ჩატარების გარეშე, ინდივიდუალური ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გზით.

კანონის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების თანახმად, სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უგზავნის სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტებათ, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). განმცხადებლისა და მხარის მიერ თავიანთი პოზიციების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

პროცედურის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ ინიშნება შემაჯამებელი სხდომა მხარეებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების/პირების მონაწილეობით, ხოლო 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შემაჯამებელი სხდომის დასრულების შემდგომ მოკვლევის ჯგუფი ამზადებს გადაწყვეტილების პროექტს, რომელიც წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

1.2. ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის მარეგულირებელი კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის მართლზომიერი პრაქტიკის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს ადგენს საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“. კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კანონის მიზანია ხელი შეუწყოს სანდო ფარმაცევტულ პროდუქტზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდას, რის უზრუნველსაყოფადაც კანონმდებლის მიერ განსაზღვრულია ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები და ამ სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობები. ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს, რომ ფარმაცევტული პროდუქტის მიმოქცევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა ითვალისწინებს საქართველოს ბაზარზე ხარისხიანი, უსაფრთხო და ეფექტიანი ფარმაცევტული პროდუქტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11⁴ მუხლის მიხედვით, ბაზარზე ფარმაცევტული პროდუქტის დაშვება ხორციელდება სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებითი და სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით. ეროვნული რეჟიმით ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციით დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებელი ან სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი, ხოლო აღიარებითი რეჟიმი გამოიყენება იმ ფარმაცევტული პროდუქტის მიმართ, რომელიც სხვა ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს მიერ დაშვებულია შესაბამის ბაზარზე. ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებითი რეჟიმის დროს დაინტერესებული პირი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი პირი, მიუხედავად იმპორტირების მიზნისა. ამასთან, აღიარებითი რეჟიმის გამოყენების საფუძველია სხვა ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს დიფერენცირება სანდოობის მიხედვით. ამ რეჟიმის საფუძველზე საქართველოს

მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის N188 დადგენილებით განსაზღვრულია მაღალი სანდოობის მქონე ქვეყნებისა და მათი მარეგულირებელი ორგანოების სია, მათ მიერ რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტების აღიარების მიზნით.

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11² მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ფარმაცევტული პროდუქტი იყოფა სამ ჯგუფად: ა) პირველ ჯგუფს განეკუთვნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი, აგრეთვე ლეგალური ბრუნვის რეჟიმის თვალსაზრისით მასთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალება; ბ) მეორე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი ფარმაცევტული პროდუქტი, რომლის არასათანადო გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს ან/და რომლის მიღებაც არ არის შესაძლებელი მხოლოდ ინსტრუქციის შესაბამისად, ექიმის დანიშნულების გარეშე, და რომელიც გაიცემა რეცეპტით²; გ) მესამე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი ფარმაცევტული პროდუქტი, რომლის მიღებაც, ინსტრუქციის შესაბამისად, შესაძლებელია ექიმის დანიშნულების გარეშე და რომელიც გაიცემა ურეცეპტოდ. ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, აკრძალულია პირველი და მეორე ჯგუფებისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტების ურეცეპტოდ გაყიდვა.

„მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 - რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის №01-53/ნ ბრძანებით დამტკიცებული მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეცეპტის გამოწერის წესის (დანართი N1) მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად³: „რეცეპტზე ფარმაცევტული პროდუქტი გამოიწერება მხოლოდ გენერიკული დასახელებით. საგამონაკლისო შემთხვევაში (კომბინირებული ფარმაცევტული პროდუქტი, ვიწრო თერაპიული ინდექსის ფარმაცევტული პროდუქტი, ფარმაცევტული პროდუქტი, რომელსაც არ გააჩნია გენერიკი, ასევე, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული მედიკამენტები), დასაშვებია ფარმაცევტული პროდუქტის სავაჭრო დასახელებით გამოწერა. რეალიზატორი ვალდებულია, მომხმარებელს შესთავაზოს გამოწერილი გენერიკის შესაბამისი 3 ყველაზე დაბალი ფასის ფარმაცევტული პროდუქტი (სამკურნალო საშუალება) პოზიტიური სიიდან, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით“.

² შენიშვნა: რეცეპტი – ფარმაცევტისადმი ექიმის წერილობითი მიმართვა ფარმაცევტული პროდუქტის მომზადების, გაცემისა და მოხმარების წესების შესახებ.

³ აღნიშნული პუნქტი წესს დაემატა „მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 – რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის №01-53/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 8 აპრილის ბრძანება №01-32/ნ - ის საფუძველზე.

1.2.1. ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასების განსაზღვრელი და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა

მედიკამენტის რეფერენტული ფასი წარმოადგენს მედიკამენტის გასაყიდი ან საექსპორტო ფასის ზედა ზღვარს, რომელსაც ადგენს სახელმწიფო. აღნიშნული ზედა ზღვარი იმავე წამალზე სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ფასების მიხედვით გამოითვლება. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი განასხვავებს რეფერენტულ საცალო და რეფერენტულ საბითუმო ფასებს. აღნიშნული კანონის 1¹ მუხლის 22¹ პუნქტის თანახმად, რეფერენტული საცალო ფასი ესაა ფარმაცევტული პროდუქტის საცალო რეალიზაციის ზღვრული მაქსიმალური ფასი ლარში, სააფთიაქო დარიცხვის ჩათვლით, ხოლო რეფერენტული საბითუმო ფასი – ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის ზღვრული მაქსიმალური საბითუმო ფასი ლარში, საბითუმო დარიცხვის ჩათვლით. ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, აკრძალულია ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაცია ან/და საცალო რეალიზაცია (გარდა იმპორტთან, ექსპორტთან ან/და რეექსპორტთან დაკავშირებული ოპერაციებისა) მის რეფერენტულ ფასზე მაღალ ფასად. ფარმაცევტულ პროდუქტზე განსაზღვრული რეფერენტული ფასის დაუცველობისათვის კანონი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის ზომებს.

„ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის, წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ფასის სახელმწიფო რეგულირებას ექვემდებარება საქართველოს ბაზარზე დაშვებული (რეგისტრირებული) ყველა ფარმაცევტული პროდუქტი, გარდა ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტთან, ექსპორტთან ან/და რეექსპორტთან დაკავშირებული ოპერაციებისა; ასევე, აფთიაქში მაგისტრალური და ოფიცინალური რეცეპტით მომზადებული საშუალებებისა და ბიოლოგიურად აქტიური დანამატებისა, კომპლემენტარული და პარასამკურნალო საშუალებებისა. ამასთან, რეფერენტულ ფასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ფარმაცევტული პროდუქტისათვის, რომელსაც საქართველოს ბაზარზე არ აქვს ჩამნაცვლებელი თერაპიული ალტერნატივა. ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასის განსაზღვრა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის, წესისა და პირობების შესაბამისად შედის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებაში. რეფერენტული ფასების კატალოგი ანუ ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასების ოფიციალური ჩამონათვალი განისაზღვრება დადგენილი ფორმატით, იგი საჯაროა და განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

რეფერენტული ფასი დგინდება ორ დონედ: ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტის (მათ შორის, ორიგინალური ბიოლოგიური სამკურნალო საშუალება) და გენერიკული⁴ და კვლავწარმოებული ფარმაცევტული პროდუქტისთვის (მათ შორის, ბიომიმსგავსებული სამკურნალო საშუალებისთვის⁵). რეფერენტული ფასი დგინდება საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელების⁶ დონეზე (INN), რეფერენტული საბითუმო და რეფერენტული საცალო ფასების სახით. ამასთანავე, რეფერენტული ფასები არ წარმოადგენენ ფაქტობრივ ფასებს, ისინი განსაზღვრავენ დასაშვები მაქსიმალური ფასის ზედა ზღვარს, რომელზე ძვირად პროდუქტის რეალიზაცია/გაცემა გამოიწვევს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას. სავაჭრო დასახელების დონეზე რეფერენტული ფასები დგინდება ფარმაცევტული პროდუქტის ბაზარზე დაშვების (რეგისტრაციის) ეტაპზე. ფასების რეგულირებისთვის სახელმწიფო იყენებს გარე რეფერენტული ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიას და რეგრესულ საცალო დარიცხვებს, კერძოდ: ა) რეფერენტული საბითუმო ფასის განსაზღვრა ხორციელდება გარე რეფერენტული ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიით და დგინდება ზღვრული მაქსიმალური საბითუმო ფასი; ბ) რეფერენტული საცალო ფასის განსაზღვრა ხორციელდება რეფერენტულ საბითუმო ფასზე რეგრესული საცალო დარიცხვებით და დგინდება ზღვრული მაქსიმალური საცალო ფასი.

ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული საბითუმო ფასი განისაზღვრება რეფერენტული ქვეყნების შესადარებელი პროდუქტების⁷ საშუალო საბითუმო ფასები (დღგ-ის გარეშე) საშუალო არითმეტიკულით. ფასების საერთაშორისო შედარებისთვის საქართველო იყენებს ოთხი რეფერენტული ქვეყნის რეფერენტულ ფასებს. ეს ქვეყნებია: ლატვიის რესპუბლიკა, მონტენეგრო, ბულგარეთის რესპუბლიკა და ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა. თუ ყველა რეფერენტულ ქვეყანაში არ იძებნება შესადარებელი პროდუქტი, მაშინ ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული საბითუმო ფასი დგინდება იმ რეფერენტული ქვეყნების შესადარებელი პროდუქტების საშუალო საბითუმო ფასების (დღგ-ის გარეშე) საშუალო არითმეტიკულით, სადაც იძებნება შესადარებელი პროდუქტი. თუ შესადარებელი პროდუქტი იძებნება მხოლოდ ერთ რეფერენტულ ქვეყანაში, მაშინ რეფერენტული საბითუმო ფასი დგინდება ამ პროდუქტის საბითუმო ფასით დღგ-ის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ შესადარებელი პროდუქტი არცერთ რეფერენტულ ქვეყანაში არ იძებნება,

⁴ **შენიშვნა:** გენერიკული ფარმაცევტული პროდუქტი წარმოადგენს სამკურნალო საშუალებას, რომელსაც აქვს აქტიური ნივთიერებ(ებ)ის ისეთივე თვისებრივი და რაოდენობრივი შემადგენლობა და იგივე ფარმაცევტული ფორმა, როგორიც რეფერენს-პროდუქტს.

⁵ **შენიშვნა:** ბიომიმსგავსებული სამკურნალო საშუალება იგივე ბიოსიმილარი არის ბიოლოგიური სამკურნალო საშუალება, ორიგინალური ბიოლოგიური საშუალების (რეფერენსპროდუქტი) აქტიური სუბსტანციების ვერსიით, რომელსაც კომპლექსური შედარებითი შეფასების საფუძველზე დაუდასტურდა რეფერენსის მსგავსი სისუფთავის, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის მაჩვენებლები.

⁶ **შენიშვნა:** საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (International nonproprietary name) – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აქტიური ფარმაცევტული სუბსტანციისთვის მინიჭებული საერთაშორისოდ აღიარებული, უნიკალური, არაპატენტირებული დასახელება.

⁷ **შენიშვნა:** შესადარებელი პროდუქტი – დადგენილი კრიტერიუმებით, რეფერენტულ ქვეყანაში შერჩეული შესადარებელი პროდუქტი.

შესადარებელი პროდუქტის მოძიება ხდება ევროპის რეგიონის, აგრეთვე „სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №188 დადგენილებით განსაზღვრულ ქვეყნებში (მინიმუმ სამი ქვეყნის ფასი, სადაც ეს პროდუქტი ხელმისაწვდომია). ფასების მოძიების პროცესში პრიორიტეტი ენიჭება საქართველოს მიერ განსაზღვრული რეფერენტული ქვეყნების მიერ არჩეულ რეფერენტულ ქვეყნებს. ამ ფასებიდან ყველაზე დაბალი ფასით კი დგინდება რეფერენტული საბითუმო ფასი საქართველოსთვის.

საქართველოში რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული ფასის დათვლისთვის შესადარებლად შერჩეული პროდუქტი უნდა იყოს „იგივე“ ან „მსგავსი“. „იგივედ“ მიიჩნევა პროდუქტი, თუკი იდენტურია: ა) აქტიური ნივთიერება⁸; ბ) მოქმედების ძალა (დოზა, კონცენტრაცია); გ) ფარმაცევტული ფორმა (შეყვანის გზა); დ) შეფუთვის ზომა. „მსგავსად“ მიიჩნევა პროდუქტი, თუკი იდენტურია: ა) აქტიური ნივთიერება; ბ) მოქმედების ძალა (დოზა, კონცენტრაცია). ამასთან, ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტის, მათ შორის, ბიოლოგიური ორიგინალის რეფერენტული ფასის დადგენისას, შესადარებელ პროდუქტად გამოიყენება რეფერენტულ ქვეყნებში იგივე ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტი, ხოლო გენერიკული და კვლავწარმოებული ფარმაცევტული პროდუქტის, მათ შორის, ბიომიმსგავსებული პროდუქტის რეფერენტული ფასის დადგენისას, შესადარებლად გამოიყენება რეფერენტულ ქვეყნებში მოძიებული ყველა შესადარებელი პროდუქტი, გარდა ორიგინალისა.

რაც შეეხება ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული საცალო ფასის დათვლის წესს, მას განსაზღვრავს „ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის, წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილების მე-9 მუხლი. აღნიშნული წესის თანახმად, რეფერენტული საცალო ფასი ითვლება რეფერენტული საბითუმო ფასიდან, სააფთიაქო დარიცხვის პროცენტით ან საცალო კოეფიციენტის საშუალებით. რეფერენტული საცალო ფასის გამოთვლის წესი შემდეგნაირია:

- 1) თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 5 ლარამდეა – მას ემატება 40% დარიცხვა;
- 2) თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 5-დან 10 ლარამდეა – მას ემატება 35% დარიცხვა;
- 3) თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 10-დან 20 ლარამდეა – მას ემატება 30% დარიცხვა;
- 4) თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 20-დან 30 ლარამდეა – მას ემატება 25% დარიცხვა;

⁸ **შენიშვნა:** აქტიური ნივთიერებები – განსხვავებული ქიმიური ფორმებით (მარილები, რთული და მარტივი ეთერები, იზომერები და იზომერთა ნარეგები) შეიძლება ჩაითვალოს იმავე აქტიურ ნივთიერებად, თუ ისინი უსაფრთხოების და/ან ეფექტიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან.

- 5) თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 30-დან 50 ლარამდეა – მას ემატება 20% დარიცხვა;
- 6) თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 50 ლარი ან მეტია – მას ემატება 15% დარიცხვა, მაგრამ არაუმეტეს 60 ლარისა.

1.2.2. GDP (კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკა) და GMP (კარგი საწარმოო პრაქტიკა) სტანდარტი ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება ექვემდებარება სანებართვო რეჟიმს. ფარმაცევტული პროდუქტის სერიის მწარმოებელი პირი პასუხისმგებელია წარმოებული ფარმაცევტული პროდუქტის უსაფრთხოობის, ხარისხისა და ეფექტიანობისათვის. საქართველოში არარეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება დაშვებულია მისი რეგისტრაციისათვის, კლინიკამდელი და კლინიკური კვლევებისათვის, ექსპორტისათვის. ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებითი რეჟიმით პირველად შემოტანისათვის, ისევე როგორც ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო ეროვნული რეჟიმით რეგისტრაციისათვის, აუცილებელია წარდგენილ იქნას ფარმაცევტული პროდუქტის GMP (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი დოკუმენტი. ფარმაცევტული წარმოების GMP (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტთან შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში, GMP სერტიფიკატის გაცემას უზრუნველყოფს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.

საქართველო შერჩევით აღიარებს საერთაშორისო, რეგიონული და ნაციონალური GMP (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტების ნუსხას. წარმოების ნაციონალური GMP (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტის დანერგვას რისკის მართვის პრინციპით, ეტაპობრივად უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა. „ფარმაცევტული წარმოების საერთაშორისო, რეგიონული და ნაციონალური GMP-ის (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტების ნუსხის აღიარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ნოემბრის დადგენილება № 349-ით დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად, საქართველო აღიარებს: 1. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული GMP სტანდარტს (WHO GMP); 2. ევროკომისიის მიერ აღიარებულ GMP სტანდარტს (European Commission – EC GMP); 3. ამერიკის შეერთებული შტატების საკვებისა და წამლების ადმინისტრაციის მიერ აღიარებულ GMP სტანდარტს (Food and Drug Administration – FDA Current GMP); 4. ფარმაცევტულ ინსპექციათა თანამშრომლობის მიერ აღიარებულ GMP სტანდარტს (Pharmaceutical Inspection Cooperation Scheme – PIC/S GMP); 5. ჰარმონიზაციის საერთაშორისო კონფერენციის მიერ აღიარებულ GMP სტანდარტს (International Conference on Harmonisation – ICH Q7 GMP).

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი პრიმა მუხლის 21-ე პუნქტი განმარტავს ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის (საბითუმო დისტრიბუციის) ცნებას, კერძოდ, აღნიშნული მოიცავს ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვასთან, შენახვასთან, მომარაგებასთან, ექსპორტთან, იმპორტთან და რეექსპორტთან დაკავშირებულ ოპერაციებს, გარდა უშუალოდ მომხმარებლისათვის მიყიდვისა. ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-5 პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო და საცალო რეალიზაციის დაწყება და დასრულება ექვემდებარება სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსთვის სავალდებულო შეტყობინებას.

„ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №206 დადგენილების პირველი პრიმა მუხლის თანახმად, ფარმაცევტული პროდუქტის (გარდა სტომატოლოგიური მასალისა და სადიაგნოსტიკო საშუალებისა) საბითუმო რეალიზატორი ვალდებულია, დააკმაყოფილოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ აღიარებული/დამტკიცებული კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის (GDP) სტანდარტი 2022 წლის 1 იანვრიდან. ამასთანავე, ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო დისტრიბუცია საქართველოს ნაციონალური GDP-ის (კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის) სერტიფიკატის ფლობის გარეშე მიჩნეულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, რისთვისაც განსაზღვრულია შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომა.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №206 დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულია ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ეხება ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის პირობებს. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მე-3 პუნქტის მიხედვით, საბითუმო რეალიზატორი უფლებამოსილია, განახორციელოს საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების მქონე მე-2 და მე-3 ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის, ფარმაცევტული სუბსტანციების, ტესტისტემების, სტომატოლოგიური მასალისა და ნებაყოფლობით დარეგისტრირებული კომპლემენტარული სამკურნალო საშუალებების, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების, პარასამკურნალო საშუალებებისა და სხვა ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაცია (დისტრიბუცია).

ამასთან, ამავე დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულია საბროკერო საქმიანობის მიმართ წაყენებული მოთხოვნებიც. იგი ბროკერს განმარტავს, როგორც იურიდიულ პირს, რომელიც საკუთარი სახელით წარმართავს მოლაპარაკებებს და აფორმებს ხელშეკრულებებს მეორე და მესამე ჯგუფებს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტ(ებ)ის შესყიდვასთან, დასაქონლებასთან, რეალიზაციასთან, მიწოდებასთან დაკავშირებით და ახორციელებს აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ

ოპერაციებს. საბროკერო საქმიანობა არ ითვალისწინებს ფიზიკურ შემხებლობას საქონელთან. შესაბამისად, მას მოეთხოვება, GDP (კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის) სერტიფიკატის მქონე იურიდიულ პირთან დადებული ჰქონდეს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ფარმაცევტული პროდუქტის შენახვასა და ტრანსპორტირებას, დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №01-23/ნ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დამტკიცებულია საქართველოს ნაციონალური GDP (კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის) სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისა და GDP სერტიფიკატის გაცემის წესი. მოცემული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საბითუმო დისტრიბუტორის GDP სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში, GDP სერტიფიკატის გაცემას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.

თავი II. შესაბამისი ბაზარი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

სააგენტო ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან და სავარაუდო დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე განსაზღვრავს შესაბამის ბაზარს, აგრეთვე მხედველობაში იღებს იმ სექტორის სპეციფიკას, რომელშიც კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევაა განხორციელებული. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სააგენტო იკვლევს კონკრეტული ეკონომიკური აგენტების მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სავარაუდო შემთხვევას და, შესაბამისად, მოკვლევა მიმდინარეობს კანონის მე-6 მუხლის ჭრილში, სააგენტო, ბუნებრივია, ვერ შეაფასებს ეკონომიკური აგენტების ქმედებას დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან მიმართებით, თუ, პირველ რიგში, არ განისაზღვრა შესაბამისი ბაზარი,

რომლის ანალიზიდან გამომდინარე შეფასდება ეკონომიკური აგენტების ძალაუფლების ხარისხი - არიან თუ არა ისინი დომინანტები სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ შესაბამის ბაზარზე/ბაზრებზე.⁹

სააგენტო მიიჩნევს, რომ შესაბამისი ბაზრის ანალიზი, მათ შორის, უნდა განხორციელდეს იმ კონკურენციის საწინააღმდეგო სავარაუდო ქმედებიდან გამომდინარე, რომელიც მოკვლევის საგანს წარმოადგენს, მთლიანი ეკონომიკური კონტექსტის გათვალისწინებით.¹⁰ შესაბამისი ბაზრის ანალიზი უნდა უკავშირდებოდეს ზიანის თეორიას (theory of harm), რადგან შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირების პროცესი წარმოადგენს ანალიტიკურ ხელსაწყოს, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს ანალიზის სუბიექტთან.¹¹ განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოს მოკვლევის საგანია ეკონომიკური აგენტების მიერ დომინანტური მდგომარეობის სავარაუდოდ ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი კონკრეტული შემადგენლობა - არასამართლიანად მაღალი ფასების დაწესება (excessive pricing). აღნიშნული, თავის მხრივ, წარმოადგენს ე.წ. „ექსპლუატაციური“ ქმედების შემთხვევას, რომელიც მიმართულია საბაზრო ძალაუფლების გამოყენებით მოგების მაქსიმიზაციისაკენ, მაგალითად, პროდუქტზე არასამართლიანად მაღალი ფასწარმოქმნის პოლიტიკის განხორციელებით და, შესაბამისად, საბოლოო მომხმარებლისთვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენებისკენ. ამგვარი შემთხვევა განსხვავდება ე.წ. „ექსკლუზიური“ ქმედებისაგან, როდესაც საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მიზანია კონკურენტების ჩამოცილება და რა შემთხვევაშიც პირდაპირი და უშუალო ზიანი ადგება კონკურენტს, ხოლო არაპირდაპირი - საბოლოო მომხმარებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შესაბამისი ბაზრის საზღვრების იდენტიფიცირების პროცესში, სხვა ფაქტორებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყოს ის შესაძლო ზიანი, რომელსაც სავარაუდო კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედება იწვევს.

როგორც უკვე აღინიშნა, შესაბამისი ბაზარი მოიცავს, როგორც პროდუქციულ და გეოგრაფიულ საზღვრებს, ასევე გარკვეულ შემთხვევებში დროით ჩარჩოსაც. ზოგადად, ფარმაცევტულ ინდუსტრიაში შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების იდენტიფიცირების საწყის წერტილს წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რომელი სხვა პროდუქტი წარმოადგენს განსახილველი პროდუქტის თერაპიულ ან, უფრო მეტიც, მოლეკულურ ჩამანაცვლებელს, თუმცა, სააგენტოს პოზიციით, ჩანაცვლებადობა არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ პროდუქტის ობიექტური მახასიათებლებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვის სტრუქტურაც¹², რომელიც

⁹ *Europemballage Corporation and Continental Can Company v Commission* C-6/72, EU:C:1973:22, პარაგრაფი 32. საქმე *United Brands*, პარაგრაფი 10; *Hoffmann La Roche v Commission* C-85/76, EU:C:1979:36, პარაგრაფი 21; *Aberdeen Journals v Director General of Fair Trading*, პარაგრაფი 88.

¹⁰ *Aberdeen Journals I*, პარაგრაფი 96.

¹¹ *Glassen D., Sullivan S.*, The Logic of Market Definition, *Antitrust Law Journal*, 98(2), 2020, გვ.330.

¹² ჩანაცვლებადობის ანალიზისთვის მოთხოვნა-მიწოდების სტრუქტურის მახასიათებლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით მაგ. იხ. ECJ, *Generics (UK) and Others*, 30.01.2020, C-307/18. 129-ე პარაგრაფი.

განპირობებულია ფარმაცევტული პროდუქციის საბითუმო/საცალო რეალიზაციასთან დაკავშირებული სპეციფიკური რეგულაციებით.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად ფარმაცევტული ბაზრისათვის ნიშანდობლივია მოთხოვნა-მიწოდებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური სტრუქტურა. ამგვარ სტრუქტურას განსაზღვრავენ ის აქტორები/პირები, რომლებიც ამ ჯაჭვში არიან სხვადასხვა მხარეს ჩართულნი. მაგალითად, ასეთი აქტორები/პირები არიან: პაციენტი, ექიმი, ფარმაცევტი, გარკვეულ შემთხვევებში სადაზღვევო კომპანია ან სახელმწიფო, ორიგინალური პროდუქტის მწარმოებელი, გენერიკული პროდუქტის მწარმოებელი, საბითუმო მოვაჭრე, აფთიაქი და ა.შ. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მოთხოვნა-მიწოდების სტრუქტურის ფორმირებაში, გარდა ზემოთ აღნიშნული მონაწილეებისა, არსებით როლს ასრულებენ **ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები** და სექტორზე ზედამხედველი უწყების მიერ გამოცემული სხვადასხვა სამედიცინო თუ ტექნიკური სახის სახელმძღვანელოები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირების ეტაპზე, კონკრეტული სავარაუდო კანონსაწინააღდეგო ქმედების ჭრილში უნდა შეაფასოს ფარმაცევტულ ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვის სპეციფიკური სტრუქტურა და მასში თითოეული აქტორის როლი. ასევე, საქართველოში მოქმედი ის სამედიცინო თუ სხვა სახის რეგულაციები, რომლებიც, ქმნიან ამ სტრუქტურის სპეციფიკას. ამასთან, პროდუქციული საზღვრების იდენტიფიცირებისას ერთ-ერთი კომპონენტი უნდა იყოს კონკრეტულ განსახილველ მედიკამენტებთან მიმართებით კონკურენტული წნეხის არსებობის/არარსებობის შეფასება, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს დამატებით არგუმენტს პროდუქტის ჩანაცვლებადობის თაობაზე მსჯელობისას.

2.1. პროდუქციული საზღვრები

2.1.1. შესავალი

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექვევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით. სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული „შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის სახელმძღვანელო

მითითებების“ თანახმად¹³, შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების განსაზღვრის ზოგადი მიდგომა ეფუძნება „ჩანაცვლებადობის“ კრიტერიუმს, ანუ შეისწავლება, არის თუ არა კონკრეტული საქონელი ან მომსახურება სხვა პროდუქტებთან/მომსახურებებთან ურთიერთჩანაცვლებადი.

თავის მხრივ, საქონლის/მომსახურების ჩანაცვლებადობის შეფასება, როგორც უკვე აღინიშნა, შესაძლებელია როგორც მომხმარებლის (მოთხოვნის), ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის (მიწოდების) კრილში. თუმცა, დისკრეციული უფლებამოსილება, თუ რომელ კრილში (მხოლოდ მომხმარებლის, მხოლოდ მიმწოდებლის/მწარმოებლის ან ორივე ერთად) უნდა განხორციელდეს ჩანაცვლებადობის შეფასება, აკისრია სააგენტოს, რომელმაც მისი გამოყენებისას უნდა იხელმძღვანელოს განსახილველი ბაზრის სტრუქტურით/მახასიათებლებითა და საქმის ფაქტობრივი გარემოებებით. ამასთან, ევროკომისიის მიერ აღიარებულია, რომ ჩანაცვლებადობის შეფასება მოთხოვნის მხრიდან წარმოადგენს ყველაზე ეფექტიან და ცხად საშუალებას, რომელიც გავლენას ახდენს მიმწოდებლებზე. კერძოდ, ეკონომიკური აგენტის მიერ შემოთავაზებული საფასო პოლიტიკა, ინოვაციისა და ხარისხის დონე დამოკიდებულია მომხმარებლის შესაძლებლობაზე, თუ რამდენად მარტივად გადაერთვება ერთი ხელმისაწვდომი პროდუქტიდან მეორეზე, რომელსაც, თავის მხრივ, იგი მიიჩნევს ჩამანაცვლებლად.¹⁴

განსახილველი საქმისა და, ზოგადად, ქართული ფარმაცევტული ბაზრის სტრუქტურის გათვალისწინებითაც, სააგენტოს პოზიციით, შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენა უნდა განხორციელდეს სწორედ მომხმარებლის, ანუ მოთხოვნის მხრიდან ჩანაცვლებადობის შეფასების ანალიზის საფუძველზე.

2.1.2 ATC კლასიფიკაცია და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა

კონკურენციის უწყებებისა და ევროკომისიის მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკის თანახმად, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას, ფარმაცევტულ პროდუქტებთან დაკავშირებულ საქმეებზე გამოიყენება ATC (ანატომიურ-თერაპიულ-ქიმიური) კლასიფიკაციის სისტემა,¹⁵ რომელიც აქტიურ ნივთიერებებს ყოფს ჯგუფებად მათი

¹³ ხელმისაწვდომია: https://gcc.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/phpNv9RbJ.pdf.

¹⁴ იხ. Communication from the Commission, Commission Notice on the definition of the relevant market for the purposes of Union competition law, C/2024/1645. გვ.10, პარაგრაფი 23 და გვ.11, პარაგრაფი 25.

¹⁵ ევროკომისიის გადაწყვეტილება საქმეზე IV/M.555, Glaxo/Wellcome; ევროკომისიის გადაწყვეტილება საქმეზე IV/M.495, Behringwerke AG/Armour Pharmaceutical Co; ევროკომისიის გადაწყვეტილება საქმეზე IV/34.279/F3; ევროკომისიის გადაწყვეტილება საქმეზე IV/M.737, Ciba-Geigy/Sandoz; ევროკომისიის გადაწყვეტილება საქმეზე IV/M.950, Hoffmann-La Roche/Boehringer Mannheim; ევროკომისიის გადაწყვეტილება საქმეზე IV/M.1403, Astra/Zeneca; ევროკომისიის გადაწყვეტილება საქმეზე IV/M.1878 Pfizer/Warner-Lambert; ევროკომისიის გადაწყვეტილება საქმეზე IV/M2312, Abbott/Basf;

დანიშნულებების, შემადგენლობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მაგალითად, თუ რომელ ორგანოზე ან სისტემაზე მოქმედებენ ისინი და როგორია მათი ქიმიური, ფარმაკოლოგიური და თერაპიული თვისებები. განსახილველი კლასიფიკაციის სისტემა გამოყოფს ხუთ დონეს: პირველი დონე ფარმაცევტულ პროდუქტებს ყოფს იმის მიხედვით თუ რომელ ორგანოსა თუ სისტემაზე მოქმედებენ ისინი, მეორე დონეზე აქტიური ნივთიერებები სისტემურად ფარმაკოლოგიურ ან თერაპიულ ჯგუფებად იყოფა, მესამე და მეოთხე დონეებზე შემდგომი ქვეკატეგორიზაცია ხდება ქიმიური, ფარმაკოლოგიური და თერაპიული ქვეჯგუფების მიხედვით, ხოლო მეხუთე დონეზე უკვე დაჯგუფება აქტიური ნივთიერებების გათვალისწინებით ხდება. ევროკომისიის პრაქტიკითა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებით, ფარმაცევტულ ბაზარზე მედიკამენტების ურთიერთჩანაცვლებადობის ზღვარი გადის ATC (ანატომიურ-თერაპიულ-ქიმიური) კლასიფიკაციის მე-3, მე-4 ან/და მე-5 დონეზე, კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედების, საქმის კონკრეტული ფაქტორები გარემოებების, ბაზრის სტრუქტურისა და სხვა საკითხების გათვალისწინებით. ევროკავშირის პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ATC კლასიფიკაციის მესამე დონე (ATC3) ძირითადად გამოიყენება როგორც საწყისი წერტილი შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების განსაზღვრისათვის¹⁶, ხოლო საქმის გარემოებების გათვალისწინებით შესაძლოა გაჩნდეს საჭიროება ბაზრის შემდგომ დონეებზე (ATC4 ან ATC5) შეფასების, ან საერთოდ დამატებით შემდგომი ჩაშლისაც (კატეგორიზაციისა)¹⁷. ევროკომისიამ ფარმაცევტულ ბაზარზე განხილულ საქმეებზე არაერთხელ აღნიშნა, რომ მედიკამენტების თერაპიული დანიშნულება (თუ რა დაავადებას კურნავენ ისინი) აპრიორი არ განსაზღვრავს მათ ჩანაცვლებადობას. მაგალითისათვის, AstraZeneca-ს საქმეზე ევროკომისიამ აღნიშნა, რომ: „მედიკამენტების ფუნქციური ჩანაცვლებადობის განსაზღვრა და მხოლოდ ის, თუ რომელი დაავადებისა თუ ჩვენებისათვის ხდება ზოგადად მათი გამოწერა, არ არის საკმარისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისათვის.¹⁸¹⁹ სააგენტოს პოზიციით, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია ბაზრის შემოსაზღვრა ATC3 ან ATC4 დონეზე, თუმცა, ცალმხრივი, ე.წ. unilateral, ქმედების შემთხვევაში, როდესაც სრულყოფილია შესასწავლი ბაზრის სტრუქტურა, საქმის გარემოებებისა და კონკრეტული შესასწავლი ბაზრის მახასიათებლებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ბაზარი განისაზღვროს ATC4 დონის მიღმა, ATC5 ან თუნდაც მედიკამენტის სავაჭრო დასახელების დონეზეც. ამასთან, საგულისხმოა, რომ შესაბამისი ბაზრის საზღვრების განსაზღვრა დამოკიდებულია კონკრეტული საქმის

მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება AstraZeneca v Commission, C-457/10 P, EU:C:2012:770 .

¹⁶ Pfizer/Wyeth, პარაგრაფი 15, Reckitt Benckiser/Boots Healthcare International (საქმე COMP/M.4007) კომისიის გადაწყვეტილება [2006] OJ C92/12, პარაგრაფი 9.

¹⁷ Reckitt Benckiser/Boots Healthcare International, პარაგრაფი 9.

¹⁸ ევროკომისიის გადაწყვეტილება საქმეზე COMP/A. 37.507/F3, AstraZeneca, პარაგრაფი 381.

¹⁹ აღნიშნული მიდგომა გაზიარებულ იქნა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ საქმეზე C-457/10 P AstraZeneca v Commission, პარაგრაფი 71.

გარემოებებზე და არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული რომელიმე კონკრეტული ანალიტიკური მიდგომა, რომელიც სავალდებულოდ გასაზიარებელია.²⁰

გენერიკულ მედიკამენტებთან დაკავშირებული კომპანიების ქმედებების შეფასებისას კომისია ხშირ შემთხვევაში ბაზრის პროდუქციულ საზღვრებს მეტად ვიწროდ განსაზღვრავს - ATC4 ან მოლეკულურ დონეზე (ერთი მოლეკულის ან მოლეკულათა ჯგუფის მიხედვით), რადგანაც გენერიკულ მედიკამენტებთან დაკავშირებით ხედავს ბაზრის მეტად ვიწროდ განსაზღვრის საჭიროებას.²¹ ²² პრაქტიკასა და ლიტერატურაში დამკვიდრებულია შემდეგი მოსაზრება - როდესაც ორიგინალი სავაჭრო დასახელების მქონე მედიკამენტი პატენტით დაცულია, შესაძლებელია გარკვეულ შემთხვევებში, თუ ამას ხელს უწყობს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მის ჩამანაცვლებლად მივიჩნიოთ თერაპიული ეკვივალენტი (ATC4) დონეზე, თუმცა, როდესაც მედიკამენტზე პატენტის მოქმედების ვადა ამოიწურება და ბაზარი იხსნება გენერიკი ალტერნატივებისათვის (ე.წ. generic entry), ეს იწვევს ბაზარზე მასშტაბურ კონკურენტულ შოკებს, მიუხედავად იმისა, იმ მომენტისთვის ბაზარზე რეალურად მოხდა თუ არა უკვე გენერიკული ალტერნატივების შესვლა (ამ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს გენერიკების მწარმოებელი ეკონომიკური აგენტების განზრახვასა და მზაობას შევიდნენ შესაბამის ბაზარზე და არა მხოლოდ შესვლის ფაქტს).²³ გენერიკული ალტერნატივების ბაზარზე გამოჩენასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) განმარტება, რომლის მიხედვითაც იდენტური აქტიური ნივთიერების მქონე გენერიკული მედიკამენტების არსებობა/გამოჩენა სამედიცინო პროფესიის წრეებში ამკვიდრებს აზრს, რომ ორიგინალი სავაჭრო დასახელების მქონე მედიკამენტის ჩანაცვლება შესაძლებელია მხოლოდ იმ მედიკამენტით, რომელიც ამ აქტიურ ნივთიერებას შეიცავს.²⁴ დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, გენერიკული მედიკამენტების მზარდი ოდენობის შესვლამ ბაზარზე ბუნებრივად უნდა გამოიწვიოს კონკურენციის ზრდა და შეამციროს კომპანიათა მოგების მარჟები, ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ გენერიკული მედიკამენტების გამოჩენა ცვლის თავად ბაზრის საზღვრებსაც, ასუსტებს რა მოლეკულათშორის კონკურენციას მედიკამენტებს შორის,²⁵ ვინაიდან შესაბამისი ბაზარი შესაძლოა დავიწროვდეს ბაზარზე გენერიკული მედიკამენტების

²⁰ Aberdeen Journals v Director General of Fair Trading, პარაგრაფი 97.

²¹ Teva/Ratiopharm (საქმე COMP M.5865) კომისიის გადაწყვეტილება [2010] OJ C7/5, პარაგრაფი 12; Watson/Actavis (საქმე COMP/M.6613) კომისიის გადაწყვეტილება [2012] OJ C180/11, პარაგრაფი 7.

²² აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში კომისია იყენებს EPHMRA-ს ATC კლასიფიკაციას, რომელიც პრაქტიკულად WHO-ს კლასიფიკაციის ანალოგს წარმოადგენს, უმნიშვნელო განსხვავებებით.

²³ ამ თემაზე ვრცლად იხ. Siotis, Ornaghi, Castanheira. *Evolving Market Boundaries and Competition Policy Enforcement in the Pharmaceutical Industry*. European Journal of Law and Economics (2023). აღნიშნული წარმოადგენს ემპირიული ცდებით დადასტურებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ბაზარზე გენერიკული ალტერნატივების გამოჩენით *ex-post* მოდიფიცირდება შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები, რადგან ჩნდება შიდამოლეკულური კონკურენცია.

²⁴ ECJ, *Generics (UK) and Others*, 30.01.2020, C-307/18, პარაგრაფი 131.

²⁵ Market definition and competition policy enforcement in the pharmaceutical industry; G. Siotis, C. Ornaghi, M. Castanheira; 2021; გვ. 2-3.

შესვლის შემდგომ ex-post.²⁶ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოქტრინაში ბაზრის კვლევებისა და ემპირიული ცდების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრებები, რომ მოლეკულათაშორის კონკურენციას, საშუალოდ, ადგილი აქვს ბაზარზე გენერიკული მედიკამენტების შესვლამდე/ორიგინალი მედიკამენტის „ექსკლუზიურობის“ (პატენტის) ვადის გასვლამდე, რის შემდგომაც უკვე ბაზრისათვის მეტად დამახასიათებელი ხდება კონკურენციის გაჩენა არა მოლეკულათაშორის, არამედ ერთი და იმავე მოლეკულის / შიდამოლეკულურ დონეზე.²⁷

ევროკომისია და ევროკავშირის ქვეყნების კონკურენციის უწყებები ფარმაცევტულ ბაზრებზე კონცენტრაციების ეფექტის შეფასებისას ბაზრის პროდუქციულ საზღვრებს ხშირად მოიაზრებენ ATC5 დონეზე. აგრეთვე, ეკონომიკური აგენტის მიერ შესაძლო დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კერძოდ, არასამართლიანად მაღალი ფასების დაწესების შემთხვევების შესწავლისას ევროკომისია და ევროკავშირის ქვეყნების კონკურენციის უწყებები ბაზრის პროდუქციულ საზღვრებს ხშირ შემთხვევაში ავიწროებენ და იყენებენ ATC5 ანუ მოლეკულურ დონესაც.²⁸ ბაზრის ვიწროდ, მოლეკულურ დონეზე განსაზღვრის კუთხით, მნიშვნელოვანი განმარტება გვხვდება კომისიის გადაწყვეტილებაში საქმეზე *Sanofis Aventis/Zentiva*, სადაც კომისია აღნიშნავს, რომ ბაზრის მოლეკულურ (ATC5) დონეზე განსაზღვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როდესაც (ა) ექიმებს აქვთ უფლება ან ვალდებულება რეცეპტი გამოწერონ მედიკამენტების INN სახელწოდების (იგივე გენერიკული დასახელების) დონეზე, (ბ) ანაზღაურება დამოკიდებულია ორიგინალი სავაჭრო დასახელების მქონე მედიკამენტის გენერიკული ვერსიის ფასზე ან (გ) ფარმაცევტებს აქვთ უფლება ან ვალდებულება, რომ პაციენტს შესთავაზონ ორიგინალი სავაჭრო დასახელების მქონე მედიკამენტის ნაცვლად მისი ეკვივალენტი გენერიკი.²⁹

2.1.3. ექიმი, ფარმაცევტი და მომხმარებლის შეზღუდული არჩევანი

როგორც უკვე აღინიშნა, ფარმაცევტული ბაზარი სპეციფიკური მოთხოვნა-მიწოდების სტრუქტურით ხასიათდება, რომლის ჩამოყალიბებაშიც ძალიან დიდ როლს ასრულებენ სამართლებრივი აქტებითა და სხვა სახელმძღვანელოებით დადგენილი რეგულაციები. მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში განსახილველი ყველა მედიკამენტი მიეკუთვნება **მეორე**

²⁶ იქვე, გვ. 30.

²⁷ იქვე, გვ. 4; გვ. 33.

²⁸ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა ATC5 ან სავაჭრო დასახელების დონეზე, მაგ. იხ. იტალიის კონკურენციის უწყების (ICA) გადაწყვეტილება ასპენის საქმეზე - *Autorita Garante della Concorrenza e del Mercato*, A 480—*Incremento prezzi farmaci/Aspen* (2017); ევროკომისიის გადაწყვეტილება ასევე ასპენის საქმეზე AT.40394 – *Aspen*; დიდი ბრიტანეთის კონკურენციის უწყების (CMA) გადაწყვეტილება საქმეზე *Pfizer/Flynn* - CE/9742-13 (2016), რომელიც ნაწილობრივ შეცვალა CAT-მა, თუმცა CMA-ს მიერ განსაზღვრული შესაბამისი ბაზარი ძალაში დარჩა.

²⁹ იხ. *Sanofi Aventis/Zentiva* (საქმე COMP/M.5253), კომისიის გადაწყვეტილება [2009] OJ C66/24, პარაგრაფი 18.

ჯგუფს (რეცეპტულ მედიკამენტებს),³⁰ რა შემთხვევაშიც პრეპარატის გამოწერის წესს დეტალურად აწესრიგებს კანონმდებლობა. როგორც წინამდებარე გადაწყვეტილების ნორმატიული რეგულირების თავში აღინიშნა, მეორე ჯგუფისთვის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეცეპტის გამოწერის წესს განსაზღვრავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი. მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესით, რეცეპტის გამოწერისას ექიმი ვალდებულია რეცეპტში მიუთითოს **მედიკამენტის გენერიკული დასახელება**, ხოლო გარკვეული საგამონაკლისო შემთხვევების არსებობისას სავაჭრო დასახელება.³¹ თავის მხრივ, რეალიზატორს, ანუ **ფარმაცევტს** ვალდებულება გააჩნია, რომ მომხმარებელს შესთავაზოს ექიმის მიერ გამოწერილი სამკურნალო საშუალების სამი ყველაზე დაბალფასიანი ალტერნატივა **გენერიკულ დონეზე**.³² აღნიშნული საკანონმდებლო დათქმა ექიმის მიერ რეცეპტში ფარმაცევტული პროდუქტის გენერიკული დასახელების მითითების ვალდებულებისა და ფარმაცევტის მიერ სამი ალტერნატივის გენერიკულ დონეზე შეთავაზების შესახებ წესს დაემატა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 8 აპრილის ბრძანება №01-32/ნ - ის საფუძველზე. ამდენად, აღნიშნული ცვლილების ამოქმედების შემდგომ, რეცეპტული მედიკამენტების შემთხვევაში ექიმი რეცეპტში უნდა უთითებდეს (გარდა საგამონაკლისო შემთხვევისა) არა კონკრეტული პრეპარატის სავაჭრო დასახელებას, არამედ გენერიკულ დასახელებას (აქტიურ ნივთიერებას). ამ უკანასკნელის მეშვეობით კი ფარმაცევტული საშუალების შეძენის ეტაპზე ფარმაცევტს ეკისრება ვალდებულება პაციენტს გენერიკულ (ATC5) დონეზე შესთავაზოს სამი ალტერნატივა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ პაციენტს შეძენამდე შესაძლებლობა ეძლევა ფარმაცევტის შეთავაზების შესაბამისად, გენერიკულ დონეზე გააკეთოს არჩევანი მედიკამენტებს შორის.

როგორც მოთხოვნის კუთხით ბაზრის სტრუქტურის ანალიზისას გამოიკვეთა, საბოლოო მომხმარებლის არჩევანი შეზღუდულია ATC5 დონეზე და მისი მხრიდან ჩანაცვლება შეუძლებელია ფარმაცევტის მიერ შეთავაზებული გენერიკული ალტერნატივების მიღმა. ასევე გამოიკვეთა ფარმაცევტი, რომელიც, ასევე, შეზღუდულია მომხმარებლისთვის შესათავაზებელ არჩევანში მხოლოდ გენერიკული ალტერნატივებით და რეცეპტის გამოწერილი ექიმი, რომელიც საბოლოო მომხმარებლისთვის (პაციენტისთვის) აკეთებს არჩევანს იმ ჩვენების/ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სხვადასხვა ალერგიული ფონის ან მედიკამენტების უკუჩვენებების საფუძველზე, რომლებიც საბოლოო მომხმარებელს ახასიათებს.

³⁰ ფარმაცევტული პროდუქტების ჯგუფებისა და მათი რეგულირების შესახებ იხ. გადაწყვეტილების ნორმატიული ნაწილი, ქვეთავი 1.2. , გვ. 10-12.

³¹ იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 01-53/ნ ბრძანებით დამტკიცებული მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის რეცეპტის გამოწერის წესის მე-3 მუხლი, ასევე იხ. მინისტრის 01-29/ნ ბრძანებით დამტკიცებული მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ელექტრონული რეცეპტის გამოწერის წესის მე-3 მუხლი.

³² იქვე.

სააგენტოს შეფასებით, აქვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტიც, რომ საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, პროდუქტის შეძენის ხარჯი უმეტესწილად პაციენტსვე ეკისრება. შეძენის ხარჯებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით ევროპის ქვეყნების კონკურენციის უწყებათა მიერ ფარმაცევტულ სექტორში მსგავს საქმეებზე, ანალოგიურ ქმედებასთან დაკავშირებით განხილულ შემთხვევათა უმრავლესობისაგან (მაგალითისათვის იხ. CMA-ის გადაწყვეტილება საქმეზე Phizer/Flynn), როდესაც საბოლოო მომხმარებელი და გადამხდელი არ არის ერთი და იგივე პირი და გადამხდელი ხშირ შემთხვევაში მზღვეველია (სახელმწიფო უწყება ან კერძო კომპანია)³³, რის გამოც ფასი უმნიშვნელო როლს ასრულებს პაციენტისათვის გადაწყვეტილების მიღების დროს,³⁴ განსახილველ შემთხვევაში, მედიკამენტის ღირებულების მიმართ სენსიტიურია სწორედ პაციენტი. ჯანმრთელობის კერძო დაზღვევა, ასეთის ქონის შემთხვევაში, გულისხმობს, რომ პაციენტის მიერ შესყიდული მედიკამენტის ხარჯი ნაწილობრივ მზღვეველის გასაწევია, თუმცა ეს ბაზრის სურათს ვერ ცვლის, რადგან ჯანმრთელობის დაზღვევით საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი არ სარგებლობს.³⁵ ამასთანავე, აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია ისიც, რომ სადაზღვევო კომპანიები თავად განსაზღვრავენ ანაზღაურებადი მედიკამენტების ჩამონათვალს, რის გამოც განსახილველ მედიკამენტებთან მიმართებითაც, მათი ნაწილი ცალკეული მზღვეველების მიერ არ ექვემდებარება ანაზღაურებას. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი მზღვეველი ყველა აფთიაქში (იგულისხმება ფარმაცევტული კომპანია, რომელიც ოპერირებს სააფთიაქო ქსელებით) შეძენილი მედიკამენტების ღირებულებას არ ანაზღაურებს. ამდენად, ამგვარი მედიკამენტების ღირებულება სრულად პაციენტის გადასახდელია და მზღვეველი ამაში მონაწილეობას არ მიიღებს. რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებას, იგი ვრცელდება მხოლოდ პაციენტთა გარკვეულ ჯგუფებზე, ისიც ცალკეულ ჩვენებებთან მიმართებით. შესაბამისად, მოკვლევისათვის რელევანტურ პრეპარატებთან მიმართებით, მათი ჩვენებებისა და შესაძლო მომხმარებელთა ჯგუფების გათვალისწინებით, მედიკამენტების ღირებულების მიმართ მეტად სენსიტიური იქნება არა სახელმწიფო, არამედ თავად პაციენტი. ამ ფაქტების გათვალისწინებით კი იკვეთება, რომ მედიკამენტებზე გაწეული ხარჯების უდიდესი ნაწილი თავად პაციენტის გასაწევია, ხოლო სახელმწიფოსა და ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის მონაწილეობა - უმნიშვნელო. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში მედიკამენტის ღირებულების მიმართ სენსიტიურია თავად პაციენტი,

³³ საქმე C-501/06 P GlaxoSmithKline Services and Others v Commission and Others [2009] I9291, პარაგრაფი 45; Pieter-Augustin Van Malleghem, Wouter Devroe 'Astrazeneca: Court of Justice Upholds First Decision Finding Abuse of Dominant Position in Pharmaceutical Sector' 4(3) [2013] Journal of European Competition Law & Practice 230.

³⁴ Westin 57; Coscelli and Overd 294.

³⁵ **შენიშვნა:** სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშების მიხედვით, კერძო სამედიცინო დაზღვევით 2021 წელს საქართველოს მოსახლეობის 17% სარგებლობდა, სადაზღვევო ბაზრის 2021 წლის 12 თვის მიმოხილვა იხ. <https://insurance.gov.ge/ka/Statistics/GetFile/580?type=4>, 2022 წლის 12 თვის ანგარიშით კერძო სამედიცინო დაზღვევით სარგებლობდა მოსახლეობის 18%, მიმოხილვა იხ. <https://insurance.gov.ge/ka/Statistics/GetFile/625?type=4>, ხოლო 2023 წლის 12 თვის მონაცემებით კერძო სამედიცინო დაზღვევით სარგებლობდა მოსახლეობის 19%, იხ. <https://insurance.gov.ge/ka/Statistics/GetFile/650?type=4>.

განსხვავებით იმ მდგომარეობისაგან, როდესაც მედიკამენტების ღირებულება სუბსიდირებულია სახელმწიფოს მიერ ან ანაზღაურდება მზღვეველის მხრიდან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბოლოო მომხმარებელი შეზღუდულია ჩაანაცვლოს მედიკამენტი სხვა გენერიკის (აქტიური ნივთიერების მქონე) პროდუქტით, ამასთან, ფასებით მხოლოდ იგია დაინტერესებული და არა სტრუქტურაში ჩართული რომელიმე სხვა აქტორი, ხარჯი ფაქტობრივად სრულად პაციენტის გასაწევია. შესაბამისად, ექიმის მიერ პაციენტისათვის (საბოლოო მომხმარებლისათვის) მედიკამენტის გამოწერისას, მედიკამენტის ფასი არ თამაშობს ექიმისთვის (გადაწყვეტილების მიმღებისთვის) გადამწყვეტ როლს - იგი პროდუქტის ფასის მიმართ არ არის სენსიტიური.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, სააგენტოს შეფასებით, როდესაც საქმე ეხება რეცეპტულ მედიკამენტს, მომხმარებელი სარგებლობს შეზღუდული არჩევანით, კერძოდ, ექიმის მიერ გამოწერილ რეცეპტში მითითებული სამკურნალო საშუალების საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელებით/აქტიური ნივთიერებით (გენერიკული დასახელებით) და რეალიზატორის (ფარმაცევტის) მიერ შეთავაზებული გენერიკული ალტერნატივებით, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია ეს არჩევანი შეზღუდული იყოს კონკრეტული სავაჭრო დასახელებითაც.³⁶ ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებელი არჩევანში შეზღუდულია, თუმცა ფასის მიმართ - სენსიტიური. რაც შეეხება ფარმაცევტს, მას მართალია აქვს ვალდებულება შესთავაზოს მომხმარებელს იაფი ალტერნატივები, თუმცა შეზღუდულია ამ ალტერნატივების გენერიკული ვერსიებით, ხოლო ექიმი, ანუ გადაწყვეტილების მიმღები, ფასის მიმართ არ არის სენსიტიური და მის მიერ მედიკამენტის შერჩევა დამოკიდებულია მედიკამენტისა და მომხმარებლის ინდივიდუალურ თვისებებზე, მედიკამენტის უკუჩვენებებებზე, პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მის ალერგიულ ფონსა და ა.შ.

2.1.4 კონკურენტული წნეხის ხარისხი, როგორც დამატებითი ფაქტორი

დამატებითი კრიტერიუმი, რომლის შეფასებამაც შესაძლებელია მიუთითოს პროდუქტის ჩაანაცვლებადობის ხარისხზე, არის კონკურენტული წნეხის არსებობა. როგორც წესი, ეკონომიკური აგენტები, რომელთა მთავარი და საბოლოო მიზანია მოგების მაქსიმიზაცია, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას ყოველთვის ახდენენ იმ ბაზრის ანალიზს, რომლის ფარგლებშიც ისინი ოპერირებენ და აფასებენ უშუალო ან პოტენციური კონკურენტების პროდუქტებს, ხოლო, შემდეგ თავიანთი საბაზრო ქცევის მოდიფიცირებას ახდენენ არსებული ან მოსალოდნელი კონკურენტული წნეხის საფუძველზე. შესაბამისად,

³⁶ **შენიშვნა:** კომბინირებული ფარმაცევტული პროდუქტის, ვიწრო თერაპიული ინდექსის ფარმაცევტული პროდუქტის, ფარმაცევტული პროდუქტის, რომელსაც არ გააჩნია გენერიკი, ასევე, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული მედიკამენტების გამოწერის შემთხვევაში, მიეთითება სავაჭრო დასახელება.

ფარმაცევტულ ბაზარზე, ახლო თერაპიული ან მოლეკულური პროდუქტების რეალური ჩამანაცვლებლების ან თუნდაც პოტენციური კონკურენტების/კონკურენტული პროდუქტის არსებობამ³⁷ გავლენა უნდა მოახდინოს ეკონომიკური აგენტის საფასო პოლიტიკაზე. აქედან გამომდინარე, გარკვეულ შემთხვევებში, ეკონომიკური აგენტის/აგენტების საფასო პოლიტიკაზე დაკვირვებით შესაძლებელია იმის შეფასება, თუ რამდენად განიცდიან ისინი კონკურენტულ წნეხს რეალური ან/და პოტენციური კონკურენტებისაგან.³⁸

მოცემულ საქმეში თვალსაჩინოა ეკონომიკური აგენტების მიერ საბითუმო დონეზე სუპრაკონკურენტული საფასო პოლიტიკის³⁹ გატარება დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (2021-2023, ცალკეულ შემთხვევებში კი 2022-2023 წლები) - ფასები ან უცვლელი რჩება, ან კიდევ იზრდება შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორი, სააგენტოს შეფასებით, სხვა უკვე გაანალიზებულ გარემოებებთან ერთად, მიუთითებს კონკურენტული წნეხის სისუსტეზე/არარსებობაზე, რაც, თავის მხრივ, იმის დამატებითი ინდიკატორია, რომ განსახილველი მედიკამენტების ჩანაცვლებადობის ხარისხი დაბალია ან ჩანაცვლებადობა არ იკვეთება.

2.1.5 მედიკამენტების ფორმა, მიღების წესი და დანიშნულება

ევროკომისიის მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, მედიკამენტები შესაძლოა დაიყოს არამხოლოდ მათი შემადგენლობის (აქტიური ნივთიერებების) გათვალისწინებით ATC კლასიფიკაციის სისტემის შესაბამისად, არამედ სხვა გარემოებებზე დაყრდნობითაც. საქმეზე Sanofi Aventis/Zentiva 2009 წელს მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ კომისია თავის გადაწყვეტილებებში⁴⁰ მედიკამენტებს ყოფს არამხოლოდ მათი აქტიური ნივთიერებების გათვალისწინებით, არამედ მათი გალენური ფორმის (ფარმაცევტული ფორმის), დოზირების, გამოყენების ფორმის, მეთოდისა და მიღების გზის

³⁷ მაგალითად, შემთხვევა როდესაც პატენტის მოქმედება ამოწურულია და ბაზარი იხსნება გენერიკული პროდუქტებისთვის.

³⁸ მაგ. იხ. OECD, *Roundtable on Competition and Pricing in the Pharmaceutical Sector*, (2009), ხელმისაწვდომია: <https://www.oecd.org/els/health-systems/pharmaceutical-pricing-policy.htm>, OECD-ის აღნიშნულ რეპორტში გამოკვლეულია ის ფაქტორები, რომელიც ფარმაცევტულ სექტორში საფასო პოლიტიკაზე ახდენს გავლენას. აღნიშნულ დოკუმენტში განსაკუთრებით ხაზგასმულია კონკურენტული წნეხის როლსა და გავლენაზე მედიკამენტების ფასწარმოქმნის პროცესში.

³⁹ **შენიშვნა:** სუპრაკონკურენტული საფასო პოლიტიკა - იმაზე მაღალი ფასების დაწესება, ვიდრე ეს შესაძლოა კონკურენტული გარემოს პირობებში ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

⁴⁰ Valeant Pharmaceuticals International/Bausch & Lomb Holdings (საქმე COMP/M.6969) კომისიის გადაწყვეტილება [2013] OJ C247/1, პარაგრაფები 16-17; Novartis/Alcon (საქმე COMP/M.5778) კომისიის გადაწყვეტილება [2010] OJ C20/8, პარაგრაფი 16; Galenica/Fresenius Medical Care/Vifor Fresenius Medical Care Renal Pharma Jv (საქმე COMP/M.6091) კომისიის გადაწყვეტილება [2011] OJ C 33/3, პარაგრაფი 19.

მიხედვით, რაც შესაძლოა ზღუდავდეს მათ ჩანაცვლებადობას.⁴¹ კომისია ასევე ერთმანეთისაგან მიჯნავს რეცეპტულ (“Rx”) და ურეცეპტო (“OTC”) მედიკამენტებს.⁴²

მედიკამენტის ფარმაკოლოგიური ფორმა და მისი მიღების გზა ცალკეულ შემთხვევებში, მაგრამ არა ყოველთვის, ასახულია ATC კლასიფიკაციაში.⁴³ სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მითითებით, სამკურნალო საშუალებები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ATC კლასიფიკაციით მე-5 დონეს მიკუთვნებული გენერიკი, წამლის ფორმისა და მოქმედების ძალის (დონის/კონცენტრაციის) იდენტურობის შემთხვევაში განიხილებიან ფარმაცევტულად ეკვივალენტურად, ანუ ურთიერთჩანაცვლებად პრეპარატებად.⁴⁴ შესაბამისი ბაზრის კონცეფცია კი ემყარება იმას, რომ ერთსა და იმავე ბაზარზე არსებულ პროდუქტებს შორის უნდა არსებობდეს ურთიერთჩანაცვლებადობის მნიშვნელოვანი ხარისხი.⁴⁵

ევროკომისია შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების განსაზღვრისას პირველ რიგში ყურადღებას აქცევს მედიკამენტის აქტიურ ნივთიერებას და მხოლოდ ამის შემდგომ მის გალენურ ფორმასა და სხვა ზემოქანმოთვლილ მახასიათებლებს. კომისიის პოზიციით, მეტად სავარაუდოა, რომ შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრის სწორად განსაზღვრად საჭირო იყოს მედიკამენტის გალენური ფორმების გათვალისწინებით ბაზრის შემდგომი სეგმენტაცია.⁴⁶ კომისიის მიერ საქმეზე Teva/Ratiopharm გაკეთებული დასკვნის თანახმად, სხვადასხვა გალენური ფორმა ნაკლებად შესაძლებელია მიჩნეულ იქნას ერთი და იმავე შესაბამისი ბაზრის ნაწილად გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ვერ იქნებიან ურთიერთჩანაცვლებადი ვერც მოთხოვნის და ვერც მიწოდების მხრიდან. განსხვავებულ გალენურ ფორმებში მოიაზრება: ტაბლეტები, ორალურად მისაღები სიროფები, საინექციო ფორმით მისაღები პრეპარატები, რექტალური ფორმით მისაღები პრეპარატები და სხვა. იქიდან გამომდინარე, რომ მედიკამენტის მიღების სხვადასხვა ფორმა ემსახურება სხვადასხვა სახის პაციენტის მოთხოვნებს, როგორცაა მაგალითად, ბავშვები, სხვადასხვა გვერდითი მოვლენის რისკის ქვეშ მყოფი პაციენტები და სხვა, ბაზრის პროდუქციული საზღვრების განსაზღვრად საჭიროა მათი სეგმენტაცია ფარმაცევტული ფორმის გათვალისწინებითაც, თუმცა აქვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისიც, რომ ეს საკითხი თითოეული საქმის გარემოებების შესაბამისად უნდა შეფასდეს.⁴⁷

⁴¹ Directive 2001/83/EC of the European Parliament and of the Council of 6 November 2001 on the Community code relating to medicinal products for human use.

⁴² Watson/Actavis (საქმე COMP/M.6613 კომისიის გადაწყვეტილება [2012] OJ C180/11, გვ. 10, Teva/Ratiopharm, პარაგრაფი 22; Novartis/Alcon, პარაგრაფები 12-14; Abbott/Solvay Pharmaceuticals (საქმე COMP/M.5661) კომისიის გადაწყვეტილება [2010] OJ C89/1, პარაგრაფი 11.

⁴³ Merck/Schering-Plough (საქმე COMP/ M.5502) კომისიის გადაწყვეტილება [2009] OJ C13/10, პარაგრაფი 46.

⁴⁴ საქართველოს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული რეგულირების საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2025 წლის 17 აპრილის წერილი REG 4 25 00436668 (საგენტოში რეგ. N01/2504).

⁴⁵ C-85/76 Hoffman-La Roche v Commission, EU:C:1979:36, paragraph 28 .

⁴⁶ Teva/Ratiopharm, პარაგრაფები 20-21.

⁴⁷ იქვე, პარაგრაფები 18-19.

2.1.6. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს პოზიციით, განსახილველ მედიკამენტებთან მიმართებაში არსებული სპეციფიკური ნორმატიული მოწესრიგება, საბოლოო მომხმარებლის შეზღუდული არჩევანი, მედიკამენტების ღირებულების მიმართ მომხმარებლის სენსიტიურობა და კონკურენტული წნეხის არარსებობა/სისუსტე, ერთობლიობაში მიუთითებს იმაზე, რომ მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები უნდა განისაზღვროს მედიკამენტების გენერიკული დასახელებების (ATC5) დონეზე. ამასთან, თითოეული მედიკამენტის ბუნების გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი გალენური ფორმა, დანიშნულება, მიღების წესი და სხვა მახასიათებლებიც. ამდენად, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საქმიანობის სფეროზე დაყრდნობით, მოკვლევისათვის რელევანტურ შესაბამის ბაზარს წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქტების საბითუმო რეალიზაცია შესაბამისი მედიკამენტების ნაწილში (ATC5) დონეზე, მათი გალენური ფორმის, დანიშნულების, მიღების წესისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით ინდივიდუალურად, თითოეული ფარმაცევტული საშუალების ნაწილში შემდგომი სეგმენტაციის შესაძლებლობით.

2.2. გეოგრაფიული საზღვრები

მედიკამენტების ფიზიკური ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. შესაბამისად, სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს - ქვეყნის მთელ ტერიტორიას.

2.3. დროითი ჩარჩო

მედიკამენტების მოთხოვნა/მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით. შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

თავი III. შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების იდენტიფიცირება და საბაზრო წილების გამოთვლა

როგორც უკვე აღინიშნა, სამინისტრო თავის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში უთითებდა, რომ შესაფასებელი ქმედება მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან ხორციელდებოდა 2021-2023 წლებში. აქედან გამომდინარე, სააგენტომ თითოეულ შესაბამის

ბაზარზე არსებული მდგომარეობა მოქმედი სუბიექტებისა და მათი საბაზრო წილების კუთხით შეისწავლა 2021, 2022 და 2023 წლებისათვის სრულად.

თითოეულ შესაბამის ბაზარზე მოპასუხე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების გამოთვლის მიზნით, სააგენტო დაეყრდნო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს⁴⁸ და სსიპ შემოსავლების სამსახურის⁴⁹ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

3.1. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) - ofloxacin and ornidazole (ფლოქსაზოლი და ოფლაბ-ოზი)

Ofloxacin and ornidazole (კომბინირებული მედიკამენტი) 2021 წელს ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ერთი სავაჭრო დასახელებით - **ფლოქსაზოლი 500მგ + 200მგ აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტი №10**. 2022-2023 წლებში იგი საქართველოს ბაზარზე ხელმისაწვდომი იყო 2 სავაჭრო დასახელებით - **ოფლაბ-ოზი 200მგ + 500მგ აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტი №10 (1X10)** და **ფლოქსაზოლი 500მგ + 200მგ აპკიანი გარსით დაფარული ტაბლეტი №10**.

მედიკამენტ ფლოქსაზოლის იმპორტს 2021-2023 წლებში ახორციელებდა შპს „კონცეპტ ფარმა“ (ს/ნ 205224292). კერძოდ, მოკვლევითისათვის რელევანტურ პერიოდში (2021-2023 წლები) კომპანიამ ქვეყანაში განახორციელა 15 300 კოლოფი მედიკამენტის იმპორტი. 2021 წელს განხორციელდა 5070 კოლოფის იმპორტი, 2022 წელს - 5060 კოლოფის, ხოლო 2023 წელს - 5170 კოლოფი ფლოქსაზოლის იმპორტი.

რაც შეეხება მედიკამენტ ოფლაბ-ოზს, მის იმპორტს 2022-2023 წლებში ახორციელებდა შპს „გლობალ ცხს“ (ს/ნ 402011327). აღნიშნულ პერიოდში კომპანიამ ქვეყანაში განახორციელა 10 711 კოლოფი მედიკამენტის იმპორტი. კერძოდ, 2022 წელს განხორციელდა 4761 კოლოფის იმპორტი, ხოლო 2023 წელს - 5950 კოლოფი ოფლაბ-ოზის იმპორტი.

შესაბამისად, INN-ის დონეზე (ATC5 დონეზე), სააგენტოს შეფასებით, 2021-2023 წლებში **ofloxacin and ornidazole**-ის შემთხვევაში, იმპორტის დონეზე საბაზრო წილები შემდეგნაირად იყო გადანაწილებული:

2021 წელი:

შპს „კონცეპტ ფარმა“ - 100%.

2022 წელი:

შპს „კონცეპტ ფარმა“ - 51.5%;

⁴⁸ სამინისტროს 2024 წლის 23 იანვრის MOH 0 24 0069667 წერილი (რეგ. N01/375, 23 იანვარი).

⁴⁹ შემოსავლების სამსახურის 2024 წლის 30 იანვრის N21-10/6525 წერილი (რეგ. 01/602, 30 იანვარი).

შპს „გლობალ ცბს“ - 48.5%.

2023 წელი:

შპს „კონცეპტ ფარმა“ - 46.5%;

შპს „გლობალ ცბს“- 53.5%.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აქტიური ნივთიერება **ofloxacin and ornidazole**-ის ნაწილში, დომინანტური მდგომარეობა შპს „კონცეპტ ფარმას“ უფიქსირდება 2021, 2022 და 2023 წლებში, ხოლო შპს „გლობალ ცბს“-ს - 2022 და 2023 წლებში.

3.2. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – isoxsuprine (იორილ-10)

Isoxsuprine 2022-2023 წლებში ბაზარზე ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ერთი სავაჭრო დასახელებით - **იორილ-10** (10მგ. ტაბლეტები, N30) (2021 წელს შესასწავლი მედიკამენტის იმპორტი ქვეყანაში არ განხორციელებულა).

2022-2023 წლებში, განსახილველი მედიკამენტის იმპორტსა და დისტრიბუციას საქართველოში ახორციელებდა შპს „გლობალ ცბს“. კერძოდ, ამ პერიოდში კომპანიამ ქვეყანაში ჯამურად განახორციელა 22 010 კოლოფი მედიკამენტის იმპორტი. 2022 წელს განხორციელდა 17 010 კოლოფის იმპორტი, ხოლო 2023 წელს - 5000 კოლოფის იმპორტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „გლობალ ცბს“-ის საბაზრო წილი - **isoxsuprine**-ის, კერძოდ კი მედიკამენტ იორილ-10-ის ნაწილში, 2022 და 2023 წლებში შეადგენდა 100%-ს. შესაბამისად, ამ პერიოდისათვის განსახილველი ეკონომიკური აგენტის მხრიდან დგინდება დომინანტური მდგომარეობის ფლობა.

3.3. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – flunarizine (ზინასენი)

2022 წელს flunarizine ბაზარზე ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ერთი სავაჭრო დასახელებით - ზინასენი, ხოლო 2023 წელს flunarizine ბაზარზე უკვე ხელმისაწვდომი გახდა ორი სავაჭრო დასახელებით: ზინასენი და სიბელიუმი (2021 წელს მედიკამენტ ზინასენის იმპორტი არ ფიქსირდება).

2022-2023 წლებში, მედიკამენტ ზინასენის იმპორტს ქვეყანაში ახორციელებდა შპს „რიჩ გრუპი“ (ს/ნ 434172977). 2022 წელს, კომპანიის მიერ განხორციელდა 3500 კოლოფი ზინასენის იმპორტი და შესაბამისად, საბაზრო წილმა შეადგინა 100%. 2023 წელს, კომპანიის მიერ ასევე განხორციელდა 3500 კოლოფი ზინასენის იმპორტი - საბაზრო წილმა შეადგინა 98.4%.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **flunarizine**-ის შემთხვევაში, დომინანტურ მდგომარეობას შპს „რიჩ გრუპი“ 2022-2023 წლებში ფლობდა.

3.4. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – sulfamethoxazole and trimethoprim (ბისეპტოლი)

Sulfamethoxazole and trimethoprim (კომბინირებული მედიკამენტი) 2021-2023 წლებში ქვეყანაში ხელმისაწვდომი იყო რამდენიმე სავაჭრო დასახელებით, კერძოდ: ბისეპტოლი, სუმეტროლიმი, კო-ტრიმოქსაზოლი, ბაქტრიმ ფორტე, ბაქტრიმი და ბი-სეპტინი. ამასთანავე, ხორციელდებოდა განსხვავებული დოზირების მქონე მედიკამენტების იმპორტი, კერძოდ: 120 მგ, 240მგ, 480მგ და 960მგ.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ განსახილველი პრეპარატის ბუნების გათვალისწინებით, განსხვავებული დოზირების მქონე ერთი და იგივე მედიკამენტი სააგენტომ განიხილა ერთიან ბაზრად და შესაბამისად, საბაზრო წილების დასათვლელად, განსხვავებული დოზირების, თუმცა ერთი და იმავე აქტიური ნივთიერების, სავაჭრო დასახელებისა და ფორმის მქონე პრეპარატების ოდენობები დააჯამა. ამასთან, გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტიც, რომ საქართველოდან ხორციელდებოდა ამავე მედიკამენტის ექსპორტიც, შესაბამისად, სააგენტომ საბაზრო წილების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის მონაცემები. აღნიშნულის შედეგად კი დადგინდა, რომ ქვეყანაში 2021 წელს განსახილველი INN-ის დონეზე ბაზრის 93.3% ეკავა ბისეპტოლს. 2022 წელს ბისეპტოლის საბაზრო წილი ასევე მაღალი იყო და შეადგენდა 75.58%-ს, ხოლო 2023 წელს ამავე მედიკამენტის საბაზრო წილმა შეადგინა 88.46%.

2021-2023 წლებში პრეპარატ ბისეპტოლის იმპორტს ქვეყანაში ახორციელებდა შპს „გეა“. კომპანიამ 2021 წელს ქვეყანაში განახორციელა 249 541 კოლოფის, 2022 წელს - 286 382, ხოლო 2023 წელს - 366 612 კოლოფი სხვადასხვა დოზის ბისეპტოლის იმპორტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გამოიკვეთა, რომ 2021-2023 წლებში, **sulfamethoxazole and trimethoprim**-ის ნაწილში შპს „გეას“ დომინანტური მდგომარეობა გააჩნდა.

3.5. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – hydroxyzine (ჰაიზინი)

2022-2023 წლებში hydroxyzine ქვეყანაში ხელმისაწვდომი იყო რამდენიმე სავაჭრო დასახელებით, მათ შორის: ატარაქსი, ირემოფარი, ტამერი, ჰიდროქსიზინის ჰიდროქლორიდი და ჰაიზინი.

მნიშვნელოვანია, რომ ჰაიზინი წარმოადგენს ჩამოთვლილთაგან ერთადერთ მედიკამენტს, რომელიც კოლოფზე დატანილი აღნიშვნის შესაბამისად, წარმოადგენს ორალურ წვეთებს (**“oral drops”**) და ამასთან, რომლის დანიშნულებაშიც მითითებულია, რომ იგი გამოიყენება პედიატრიული დანიშნულებით - ბავშვთა მკურნალობისათვის (**“FOR PEDIATRIC USE”**). განსახილველი აქტიური ნივთიერების დონეზე, ზემოთ ჩამოთვლილი მედიკამენტებიდან ფაქტობრივად ყველა გამოიყენება მოზრდილებისათვის, თუმცა ყველა მათგანი არ არის გათვალისწინებული ბავშვთა მკურნალობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ

ცალკეული მედიკამენტები ბავშთა სამკურნალოდაც გამოიყენება, ისინი არ არის გათვლილი ყველა ასაკობრივ კატეგორიაზე და მათი გამოყენება იწყება სხვადასხვა ასაკიდან განსხვავებით ჰაიზინისაგან, რომლის დანიშნულებაშიც პირდაპირ არის მითითებული, რომ იგი შესაძლებელია იქნას გამოყენებული პედიატრიული დანიშნულებით და მისი გამოყენების ინსტრუქციაშიც არ არის მითითებული რაიმე სახის ასაკობრივი შეზღუდვის თაობაზე (უფრო კონკრეტულად, იმ ქვედა ზღვრის თაობაზე, რა ასაკზე მცირეწლოვანი ბავშვებისთვისაც მისი მიღება აკრძალული იქნებოდა). ამის საპირისპიროდ, მაგალითისათვის, მედიკამენტ ირემოფარის დანიშნულებაში პირდაპირ არის მკაცრად მითითებული, რომ მისი გამოყენება დაუშვებელია 12 თვემდე ასაკის ბავშვებში, ასევე ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის არ არის გათვალისწინებული არც ატარაქსისა და ტამერის გამოყენება. ცალკეულ შემთხვევებში ასევე არ არის რეკომენდირებული ამ მედიკამენტების გამოყენება 3 წლამდე ასაკის ბავშვებშიც. აღნიშნული მედიკამენტების ბავშვებში გამოყენება ასევე დაკავშირებულია მნიშვნელოვან გვერდით მოვლენებთანაც.⁵⁰

სწორედ პრეპარატის განსხვავებული გალენური ფორმის, გამოყენების მიზნობრიობის, სამიზნე ჯგუფის, ასევე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განსახილველი INN-ის დონეზე ჰაიზინი წარმოადგენს ერთადერთ პრეპარატს ამგვარი ფორმითა და დანიშნულებით, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ hydroxyzine-ის ნაწილში, ბაზარზე წარმოდგენილი ზემოთ ჩამოთვლილი მედიკამენტები არ უნდა იქნას განხილული ჰაიზინის ჩამანაცვლებლად.

2021 წელს, მედიკამენტ ჰაიზინის იმპორტი ქვეყანაში არ განხორციელებულა. ჰაიზინის იმპორტსა და დისტრიბუციას 2022-2023 წლებში ქვეყანაში შპს „გლობალ ცბს“ ახორციელებდა. 2022 წელს კომპანიის მიერ განხორციელდა 5000 შეფუთვის, ხოლო 2023 წელს - 2999 შეფუთვის იმპორტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „გლობალ ცბს“-ის საბაზრო წილი, hydroxyzine-ის დონეზე მედიკამენტ ჰაიზინის შემთხვევაში, 2022-2023 წლებში 100%-ს შეადგენდა.

3.6. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – sulodexide (ტრეპარინი)

2021-2023 წლებში sulodexide ქვეყანაში ხელმისაწვდომი იყო 3 სავაჭრო დასახელებით, კერძოდ: ტრეპარინი, ანგიოფლუქსი და ვესელ დუე F. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ მედიკამენტ ტრეპარინის იმპორტს 2021 წელს ახორციელებდა მხოლოდ შპს „BIH“, ხოლო 2022-2023 წლებში ასევე შპს „კონცეპტ ფარმა“.

⁵⁰ ჩამოთვლილი მედიკამენტების გამოყენების ინსტრუქციები იხ. <<https://www.aversi.ge/ka/aversi/act/drugDet/?MatID=97594>> ; < <https://www.aversi.ge/ka/aversi/act/drugDet/?MatID=4628>> ; <<https://www.aversi.ge/ka/aversi/act/drugDet/?MatID=95192>> ; < <https://www.vidal.ge/drugs/hydroxyzine-hcl> > .

2021 წელს sulodexide-ის შემცველი მედიკამენტების ბაზრის მოცულობამ შეადგინა 16 431 კოლოფი (N50). აქედან შპს „BIH“-ის მიერ განხორციელდა 7 500 კოლოფი ტრეპარინის იმპორტი, რამაც ბაზრის **45.7%** შეადგინა.

2022 წელს ამავე ბაზრის მოცულობამ შეადგინა 18 441 კოლოფი (N50), ხოლო ტრეპარინის საბაზრო წილმა - **21.88%** (4000 კოლოფი).

2023 წელს ბაზრის მოცულობამ შეადგინა 16 816 კოლოფი (N50), ხოლო ტრეპარინის საბაზრო წილმა - **29.7%** (5000 კოლოფი).

შპს „BIH“ არ ახორციელებდა მედიკამენტის დისტრიბუციას საცალო ქსელების ავთიქებისათვის, იგი ეწეოდა მხოლოდ საბროკერო საქმიანობას⁵¹. შპს „BIH“-ს მედიკამენტ ტრეპარინის ნაწილში შესაბამისი ხელშეკრულება დადებული ჰქონდა შპს „კონცეპტ ფარმასთან“⁵², რომელსაც აწვდიდა იმპორტირებულ მედიკამენტს სრულად და რომელიც, თავის მხრივ, ახორციელებდა იმპორტირებული და შიდა ბაზარზე შემენილი მედიკამენტის შემდგომ დისტრიბუციას საცალო ავთიქებისათვის. ამასთანავე, ვინაიდან, შპს „BIH“ იმპორტირებულ მედიკამენტს სრულად აწვდიდა მხოლოდ შპს „კონცეპტ ფარმას“, ამავე მედიკამენტის ნაწილში დისტრიბუციის დონეზე, შპს „კონცეპტ ფარმას“ საბაზრო წილის დათვლისათვის სააგენტომ მხედველობაში მიიღო შპს „BIH“-ის იმპორტის მონაცემებიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მედიკამენტ ტრეპარინის შემთხვევაში, შესაბამისი ბაზრის იმპორტისა და პირველადი მიწოდების დონეზე დომინანტური მდგომარეობა 2021 წელს უფიქსირდება შპს „BIH“-ს, ხოლო დისტრიბუციის დონეზე ამავე წელს დომინანტურ მდგომარეობას ფლობდა შპს „კონცეპტ ფარმა“. ამასთან, ვინაიდან, აღნიშნული მედიკამენტის ნაწილში მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ფლობა დადასტურდა მხოლოდ 2021 წლისათვის, სააგენტომ გაიზიარა რა ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) მიერ განვითარებული მიდგომა, მიიჩნია, რომ დომინანტური მდგომარეობის არსებობის შეფასების ნაწილში რელევანტურია ეკონომიკური აგენტ(ებ)ის მიერ მხოლოდ სტაბილური და შედარებით გრძელვადიანი საბაზრო წილების ქონა.⁵³ აღნიშნულის გათვალისწინებით, მიჩნეულ იქნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში დომინანტური მდგომარეობის ფლობას, წლების განმავლობაში მათი საბაზრო წილების ცვლილების დინამიკის გათვალისწინებით, ვერ ექნებოდა სათანადო ეფექტი, რის გამოც სააგენტომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად, მედიკამენტ ტრეპარინის ნაწილში შეესწავლა მოპასუხეთა მიერ დადგენილი ფასების სიჭარბე.

⁵¹ საბროკერო საქმიანობის განმარტების შესახებ იხ. გადაწყვეტილების ნორმატიული ნაწილი, ქვეთავი 1.2.2, გვ. 17.

⁵² შპს „BIH“-ის 2024 წლის 13 მარტის N 01/1437 წერილის დანართით მოწოდებული ინფორმაცია.

⁵³ მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, საქმე Hoffmann-La Roche (1979) პარაგრაფები 39–41.

3.7. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – albendazole (ადაზალ ნეო)

2021-2022 წლებში albendazole ქვეყანაში ხელმისაწვდომი იყო შემდეგი სავაჭრო დასახელებებით: ჰელმიზოლი, ზესტავალი, ზენტელი, ალბენდაზოლი, ანდაზოლი, ადაზალ ნეო და ა.შ.

ადაზალ ნეოს იმპორტს ქვეყანაში ახორციელებდა შპს „ნუვეა ფარმაცევტიკალს“ 200 მგ. და 400 მგ. შეფუთვებით. ამასთან, 2021-2022 წლებში საქართველოდან ხორციელდებოდა ამავე მედიკამენტის ექსპორტიც. შესაბამისად, სააგენტოს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის მონაცემები. ამასთანავე, განსახილველი პრეპარატის ბუნების გათვალისწინებით, განსხვავებული დოზირების, თუმცა ერთი და იმავე სავაჭრო დასახელების მქონე მედიკამენტი სააგენტომ ერთიან ბაზრად განიხილა და შესაბამისად, საბაზრო წილების დასათვლელად ასეთი პრეპარატების ოდენობები დააჯამა.

ზემოაღნიშნულის შედეგად დადგინდა შემდეგი:

2021 წელს albendazole-ის შემცველი მედიკამენტების ბაზრის მოცულობამ შეადგინა 536 235 ტაბლეტი. აქედან, შპს „ნუვეა ფარმაცევტიკალსის“ მიერ განხორციელდა 6020 ტაბლეტი ადაზალ ნეოს იმპორტი, რამაც ბაზრის **1.13%** შეადგინა.

2022 წელს ამავე ბაზრის მოცულობამ შეადგინა 388 974 ტაბლეტი. შპს „ნუვეა ფარმაცევტიკალსის“ მიერ განხორციელდა 4 565 ტაბლეტი ადაზალ ნეოს იმპორტი, რაც ბაზრის **1.17%** იყო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მედიკამენტ **ადაზალ ნეოს** ნაწილში შპს „ნუვეა ფარმაცევტიკალსის“ მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ფლობა არ დადასტურდა.

3.8. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – aripiprazole (არიპრადა)

მედიკამენტ არიპრადას იმპორტი ქვეყანაში განხორციელდა მხოლოდ 2023 წელს, შპს „ბარდის“ მიერ. 2023 წელს aripiprazole ქვეყანაში ასევე ხელმისაწვდომი იყო შემდეგი სავაჭრო დასახელებებით: აბიზოლი, არიპრადა, არიპრაზოლი, აბილიფი, არიპიპრაზოლი ნორმონი, არიპირონი. ამასთანავე, ხორციელდებოდა სხვადასხვა დოზირების მქონე პრეპარატების იმპორტი, თუმცა სააგენტომ საბაზრო წილების დასათვლელად განსხვავებული დოზირების, თუმცა ერთი და იმავე სავაჭრო დასახელების მქონე პრეპარატების ოდენობები დააჯამა.

2023 წელს aripiprazole-ის შემცველი მედიკამენტების ბაზრის მოცულობამ ჯამურად შეადგინა 1 269 888 ტაბლეტი. აქედან, შპს „ბარდის“ მიერ განხორციელდა 400 020 ტაბლეტი არიპრადას იმპორტი, რაც შეადგენდა ბაზრის **31.5%-ს**.

შესაბამისად, მედიკამენტ არიპრადას ნაწილში შპს „ბარდის“ მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობა არ დადასტურდა.

3.9. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – erythromycin (ერიტრომიცინი)

2021-2023 წლებში erythromycin-ის იმპორტი იდენტური სავაჭრო დასახელებით ხორციელდებოდა სხვადასხვა ქვეყნიდან, 200მგ, 250მგ. და 500მგ. დოზირებებით.

მოკვლევის ფარგლებში, შეფასების საგანს წარმოადგენს შპს „გეას“ მიერ პოლონეთიდან იმპორტირებული ერიტრომიცინი. 2021-2022 წლებში მცირე რაოდენობით ხორციელდებოდა ამ მედიკამენტის ექსპორტიც. გამომდინარე იქიდან, რომ შპს „გეას“ მიერ ხორციელდებოდა მხოლოდ 200მგ.-იანი დოზირების მქონე ერიტრომიცინის იმპორტი, სააგენტომ საბაზრო წილების დასათვლელად განსხვავებული დოზირების, თუმცა ერთი და იმავე სავაჭრო დასახელების მქონე პრეპარატების ოდენობები დააჯამა.

2021 წელს erythromycin-ის შემცველი მედიკამენტების ბაზრის მოცულობამ შეადგინა 1196920 ტაბლეტი. შპს „გეას“ მიერ განხორციელდა 80 000 ტაბლეტი ერიტრომიცინის იმპორტი, რამაც ბაზრის **6.68%** შეადგინა.

2022 წელს ამავე ბაზრის მოცულობამ შეადგინა 1 782 540 ტაბლეტი. აქედან შპს „გეას“ მიერ განხორციელდა 208 640 ტაბლეტი ერიტრომიცინის იმპორტი - ბაზრის **11.70%**.

2023 წელს ბაზრის მოცულობამ შეადგინა 1 736 800 ტაბლეტი. შპს „გეას“ მიერ განხორციელდა 160 640 ტაბლეტი ერიტრომიცინის იმპორტი - ბაზრის **9.25%**.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მედიკამენტ ერიტრომიცინის ნაწილში, შპს „გეას“ მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობა არ დადასტურდა.

3.10. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – progesterone (ლუტეინა)

2021-2023 წლებში progesterone ბაზარზე ხელმისაწვდომი იყო სხვადასხვა დასახელებით, კერძოდ: პროგესტი, პროგესტერონი, რელანტანი, უტროჟესტანი, ციკლოგესტი, რეაფემი, ინჟესტა, ლუტეინა და ა.შ.

ლუტეინას იმპორტს ქვეყანაში ახორციელებდა შპს „გეა“. 2021-2023 წლებში, ხორციელდებოდა მედიკამენტების ექსპორტიც. შესაბამისად, იმპორტისა და ექსპორტის მონაცემების მხედველობაში მიღებით, დადგინდა შემდეგი:

2021 წელს progesterone-ის შემცველი მედიკამენტების ბაზრის მოცულობამ შეადგინა 3432927 ტაბლეტი. შპს „გეას“ მიერ ამავე პერიოდში განხორციელდა 300 000 ტაბლეტი ლუტეინას იმპორტი, რამაც ბაზრის **8.74%** შეადგინა.

2022 წელს ამავე ბაზრის მოცულობამ შეადგინა 2353555 ტაბლეტი. შპს „გეას“ მიერ განხორციელდა 150 000 ტაბლეტი ლუტეინას იმპორტი - ბაზრის **6.37%**.

2023 წელს ბაზრის მოცულობამ შეადგინა 4 182 600 ტაბლეტი. შპს „გეას“ მიერ ამავე წელს განხორციელდა 750 000 ტაბლეტი ლუტეინას იმპორტი - ბაზრის **17.93%**.

შესაბამისად, 2021-2023 წლებში მედიკამენტ ლუტეინას ნაწილში შპს „გეას“ მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობა არ დადასტურდა.

3.11. საერთაშორისო არაპატენტირებული დასახელება (INN) – lornoxicam (ლორნიკუსი)

2021 წელს საქართველოში პრეპარატ ლორნიკუსის იმპორტი არ ხორციელდებოდა. 2022-2023 წლებში lornoxicam ქვეყანაში ხელმისაწვდომი იყო შემდეგი სავაჭრო დასახელებებით: ქსეფოკამი და ლორნიკუსი.

ლორნიკუსის იმპორტს ქვეყანაში ახორციელებდა შპს „კროკუს ფარმა“. 2022 წელს ასევე განხორციელდა განსახილველი ჯგუფის მედიკამენტის ერთჯერადი ექსპორტიც.

2022 წელს, lornoxicam-ის შემცველი მედიკამენტების ბაზრის მოცულობამ შეადგინა 56 282 ამპულა. შპს „კროკუს ფარმას“ მიერ განხორციელდა 10 112 ამპულა ლორნიკუსის იმპორტი, რაც შეადგენდა ბაზრის **17.97%-ს**.

2023 წელს, ამავე ბაზრის მოცულობამ შეადგინა 35 731 ამპულა. შპს „კროკუს ფარმას“ მიერ განხორციელდა 6 131 ამპულა ლორნიკუსის იმპორტი, რამაც ბაზრის **17.16%** შეადგინა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „კროკუს ფარმას“ მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობა მედიკამენტ ლორნიკუსის ნაწილში არ დადასტურდა.

შუალედური დასკვნა

სააგენტომ შესაბამისი ბაზრების, მათზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისა და მათი საბაზრო წილების იდენტიფიცირების შედეგად, მოკვლევის ფარგლებში დაადგინა შემდეგი:

1. **შპს „გლობალ ცბს“-ს**, მედიკამენტ ოფლაბ-ოზის ნაწილში, 2022-2023 წლებში შესაბამის ბაზარზე ეკავა დომინანტური მდგომარეობა, ვინაიდან, მისი საბაზრო წილები 2022 წელს 48.5%-ს, ხოლო 2023 წელს 53.5%-ს შეადგენდა;
2. **შპს „გლობალ ცბს“-ს**, მედიკამენტ ჰაიზინის შემთხვევაში, 2022-2023 წლებში შესაბამის ბაზარზე ეკავა დომინანტური მდგომარეობა და მისი საბაზრო წილი შეადგენდა 100%-ს (თითოეულ წელს ცალ-ცალკე);
3. **შპს „გლობალ ცბს“**, მედიკამენტ იორილი-10-ის ნაწილში, 2022-2023 წლებში შესაბამის ბაზარზე ფლობდა დომინანტურ მდგომარეობას და მისი საბაზრო წილი შეადგენდა 100%-ს (თითოეულ წელს ცალ-ცალკე);

4. შპს „კონცეპტ ფარმას“ 2021, 2022 და 2023 წლებში, მედიკამენტ ფლოქსაზოლის ნაწილში შესაბამის ბაზარზე ეკავა დომინანტური მდგომარეობა, ვინაიდან, მისი საბაზრო წილები შეადგენდა 2021 წელს 100%-ს, 2022 წელს - 51.5%-ს, ხოლო 2023 წელს - 46.5%-ს;
5. შპს „გეას“ მედიკამენტ ბისეპტოლის (120 მგ და 480 მგ) ნაწილში 2021, 2022 და 2023 წლებში შესაბამის ბაზარზე ეკავა დომინანტური მდგომარეობა, ვინაიდან, მისი საბაზრო წილები შეადგენდა: 2021 წელს 93.3%-ს, 2022 წელს 75.58%-ს, ხოლო 2023 წელს 88.46%-ს;
6. შპს „რიჩ გრუპი“ მედიკამენტ ზინასენის შემთხვევაში, 2022-2023 წლებში შესაბამის ბაზარზე ფლობდა დომინანტურ მდგომარეობას. კერძოდ, აღნიშნული მედიკამენტის საბაზრო წილი 2022 წელს შეადგენდა 100%-ს, ხოლო 2023 წელს - 98.4 %-ს.

რაც შეეხება მოკვლევის ფარგლებში შესწავლილ დარჩენილ შემთხვევებს, მათ ნაწილში მოპასუხეთა მხრიდან შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ფლობა არ დადასტურდა, რის გამოც სააგენტომ, ბუნებრივია, აღარ შეაფასა მათი ქმედება შესაძლო არასამართლიანად მაღალი ფასების დაწესების კუთხით.

უფრო კონკრეტულად, დომინანტური მდგომარეობის ფლობა არ დადასტურდა:

1. შპს „ნუვეა ფარმაცევტიკალსის“ მხრიდან მედიკამენტ ადაზალ ნეოს (200მგ და 400მგ) ნაწილში;
2. შპს „ბარდის“ მიერ მედიკამენტ არიპრადას ნაწილში;
3. შპს „კროკუს ფარმას“ მიერ მედიკამენტ ლორნიკუსის ნაწილში;
4. შპს „გეას“ მხრიდან მედიკამენტ ერითრომიცინისა და ლუტეინას შემთხვევებში;
5. შპს „BIH-ის“ მიერ მედიკამენტ ტრეპარინის ნაწილში შესაბამისი ბაზრის იმპორტისა და პირველადი მიწოდების დონეზე, ხოლო შპს „კონცეპტ ფარმას“ მიერ ამავე ბაზრის დისტრიბუციის დონეზე (ამ შემთხვევასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ბაზრის ანალიზის შედეგად შპს „BIH-სა“ და შპს „კონცეპტ ფარმას“ დომინანტური მდგომარეობის ფლობა დაუდასტურდათ მხოლოდ 2021 წელს, რაც სააგენტომ არ ჩათვალა საკმარისად იმისათვის, რომ ეკონომიკური აგენტების ქმედებას ჰქონოდა კონკურენციის შემზღუდველი მნიშვნელოვანი ეფექტი ბაზარზე).

თავი IV. არასამართლიანად მაღალი ფასის შეფასების მეთოდოლოგია

ევროკავშირის სამართალში, არასამართლიანად მაღალი (ჭარბი) ფასის რეგულირების სამართლებრივი საფუძველი ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - TFEU) 102-ე მუხლის „ა“ პუნქტში გვხვდება.⁵⁴ ეს დებულება არ ეხება ცალსახად

⁵⁴ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება, მუხლი 102, 30.3.2010, OJ C 83.

ჭარბ ფასებს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ იგი გამოიყენება დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტის მიერ არასამართლიანად მაღალი ფასების დაწესების აღმოსაფხვრელად.⁵⁵ შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზე აკრძალულია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებადაც მიიჩნევა შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, დომინანტური მდგომარეობა გულისხმობს ისეთი ეკონომიკური ძალაუფლების ქონას, რომელიც საშუალებას იძლევა, სუბიექტმა იმოქმედოს თავისი კონკურენტების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად და შესაბამის ბაზარზე შეზღუდოს ეფექტიანი კონკურენცია.⁵⁶ კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად, ეკონომიკური აგენტის მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ფლობა თავისთავად არ წარმოადგენს დარღვევას, არამედ აკრძალულია ამგვარი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს ეკისრება სპეციალური პასუხისმგებლობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისმა ქმედებამ ზიანი არ მიაყენოს ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოს.⁵⁷

მართალია, განსხვავებული მეთოდები და მიდგომები შეიძლება იქნეს გამოყენებული იმის დასადგენად არის თუ არა განსახილველი (სადავო) ფასი არასამართლიანად მაღალი,⁵⁸ თუმცა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ *United Brands*-ის საქმეზე კუმულატიური ხასიათის ორსაფეხუროვანი ტესტი შემოიღო (*United Brands Test*), რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გააჩნია თუ არა შესაფასებელ ფასს გონივრული კავშირი მისაწოდებელი/მიწოდებული პროდუქტის/მომსახურების ეკონომიკურ ღირებულებასთან ე.ი. არის თუ არა ფასი არასამართლიანად მაღალი. ხსენებული ორსაფეხუროვანი ტესტი გამოიყურება შემდეგნაირად:

I საფეხური - არის თუ არა ფასი ჭარბი ეკონომიკური აგენტის ხარჯებთან მიმართებით;

II საფეხური - ფასი არასამართლიანია თავისთავად ან კონკურენტ(ებ)ის ფასთან შედარებით. ეს უკანასკნელი კონკურენციის უწყებამ უნდა გამოიკვლიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ტესტის I საფეხურზე დადასტურდება სადავო ფასის სიჭარბე.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება *United Brands*-ის საქმეზე ფუძემდებლური და პრეცედენტული მნიშვნელობის მატარებელია

⁵⁵ მაგ., საქმე 26/75 *General Motors v Commission* [1975] ECR 1367; საქმე 27/76 *United Brands v Commission* [1978] ECR 207; საქმე 30/87 *Corinne Bodson v Pompes Funebres* [1998] ECR 2479; საქმე 110/99 *Lucazeau v SACEM* [1989] ECR 2811.

⁵⁶ Case 27/76, “United Brands”, ECLI:EU:C:1978:22, პარაგრაფი 65.

⁵⁷ *Michelin v Commission* C-322/81, EU:C:1983:313, პარაგრაფი 57; საქმე *Attheraces*, პარაგრაფი 107; საქმე *Albion Water II*, პარაგრაფი 217.

⁵⁸ საქმე *United Brands*, ECLI:EU:C:1978:22, 27/76, პარაგრაფები 252-253.

დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტ(ებ)ის მიერ არასამართლიანად მაღალი ფასების დადგენის სფეროში და ის ევროკომისიისა და რიგი კონკურენციის უწყებების მიერ გამოიყენება მათ პრაქტიკაში. სააგენტომა, განსახილველ საქმეზე გადაწყვიტა გამოეყენებინა ზემოაღნიშნული ტესტი იმის დასადგენად არის თუ არა მოცემულ საქმეზე სადავო ფასი არასამართლიანად მაღალი.

4.1. United Brands-ის ტესტის პირველი საფეხური - ფასის სიჭარბე

United Brands-ის დამკვიდრებული ტესტის გამოყენება მოითხოვს კომპანიის მიერ რეალურად გაწეული ხარჯებისა და მის მიერ დაწესებული ფასის შედარებას, რათა დადგინდეს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის ფასი არის თუ არა ჭარბი. ეს კი თავის მხრივ მოითხოვს: 1) გაწეული ხარჯების განსაზღვრასა და 2) შეფასებას, შეიძლება თუ არა ფასი მიჩნეულ იქნეს როგორც ჭარბი.⁵⁹

გაწეულ ხარჯებთან მიმართებით მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც შესაფასებელ პროდუქტზე/მომსახურებაზე გაწეული პირდაპირი ხარჯები, ასევე ის არაპირდაპირი ხარჯები, რომლებიც გონივრულად მიეკუთვნება პროდუქტს/მომსახურებას შესაბამისი პროპორციის გათვალისწინებით.⁶⁰ ამდენად, რეალურად გაწეული⁶¹ და გონივრულად მიკუთვნებადი⁶² ხარჯების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება კონკრეტულად განსახილველი პროდუქტის მიწოდებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები⁶³ და სათანადოდ განაწილებული ის არაპირდაპირი ხარჯები, რომლებიც გონივრულად მიეკუთვნება განსახილველ პროდუქტს.⁶⁴ პირდაპირი ხარჯები შეიძლება მოიცავდეს პროდუქტის ღირებულებას, ასევე სასაწყობო და დისტრიბუციის ღირებულებას, დამატებით კი, ვინაიდან, სუბიექტი წევს ისეთ ხარჯებსაც, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული კონკრეტული პროდუქტის მიწოდებასთან, ისინი არაპირდაპირ ხარჯებად მოიაზრებიან. ამგვარი არაპირდაპირი ხარჯები შეიძლება მოიცავდეს: იმ საზიარო ხარჯებს, რომლებიც მომხმარებლისათვის ორი ან რამდენიმე პროდუქტის მიწოდებასთანაა დაკავშირებული; ხარჯებს, რომლებიც ბევრი პროდუქტისათვისაა მიკუთვნებადი, როგორცაა ადმინისტრაციული თანამშრომლების (ფინანსური და იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლები) ხელფასები, სათაო ოფისის ხარჯები (იჯარა, ინვენტარი და სხვა). ამგვარი ხარჯების შესაბამისი წილი კონკრეტულ პროდუქტს მიეკუთვნება ალოკაციის მეშვეობით. ხარჯების დადგენა გარკვეული ინდუსტრიების შემთხვევაში შესაძლოა ძალიან

⁵⁹ საქმე United Brands, პარაგრაფი 251–52.

⁶⁰ საქმე Albion Water II, პარაგრაფი 198; Scandlines, პარაგრაფი 29. United Brands, პარაგრაფი 254.

⁶¹ United Brands, EU:C:1978:22, პარაგრაფი 252; Albion Water II, პარაგრაფი 20.

⁶² Albion Water II, პარაგრაფი 198.

⁶³ Albion Water I, პარაგრაფი 314; Albion Water II, პარაგრაფი 89.

⁶⁴ United Brands, EU:C:1978:22, პარაგრაფი 254.

რთული, გარკვეულ შემთხვევებში კი შეუძლებელიც იყოს. მაგალითისათვის, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურმა აგენტმა შესაძლოა აწარმოოს სხვადასხვა პროდუქტი და, შესაბამისად, ხარჯები დაკავშირებული იყოს ბევრ სხვადასხვა პროდუქტთან. ამ ხარჯების განაწილება კი რთულია, ვინაიდან, არ არსებობს ერთიანი მიდგომა თუ რომელი მეთოდი უნდა იქნას უპირატესად გამოყენებული ასეთ შემთხვევებში.⁶⁵ თუმცა, მყარადაა დადგენილი, რომ ნებისმიერი ხარჯი უნდა იყოს გონივრულად და ეფექტურად გაწეული,⁶⁶ რადგან კონკრეტულ პროდუქტზე მისაკუთვნებელ ხარჯებში შესაძლებელია მხოლოდ ეფექტიანად გაწეული ხარჯების ჩათვლა.⁶⁷

ასევე, არ არის დადგენილი ერთი კონკრეტული მაჩვენებელი, რომლის ზემოთაც ფასი მიჩნეული იქნებოდა ჭარბად. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) საქმეზე AKKA/LAA დაადასტურა, რომ არ არსებობს წინასწარ დადგენილი მინიმალური მაჩვენებელი, რომლის ზემოთაც მარჟა ჩაითვლებოდა შესამჩნევლად დიდად, ვინაიდან, თითოეული საქმის კონკრეტული გარემოება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.⁶⁸ ამასთან, ამგვარი მოგების მარჟა შესაძლოა განსხვავდებოდეს ინდუსტრიების მიხედვით.

პროდუქტის მიწოდების პროცესში არსებული (გონივრულად მიკუთვნებული⁶⁹) კომპანიის ჯამური ხარჯების დადგენის შემდგომ, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განსაზღვროს „ხარჯი პლუს მარჟის“ „პლუს“ ელემენტი ე.ი. გონივრული მარჟა, რომელიც შემდგომ ეკონომიკური აგენტის მიერ გაწეული ხარჯების მონაცემს უნდა დაემატოს. ეს უკანასკნელი, ხარჯების მაჩვენებლის (Cost Figure) ფარგლებში გაითვალისწინება და მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ უნდა მოხდეს მისი შედარება კომპანიის მიერ დადგენილ ფასთან.

სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს - გონივრული მარჟის დადგენა იმის აღიარებას ემსახურება, რომ კომპანიას ესაჭიროება ფინანსური სტიმული იმისათვის, რომ მან საერთოდ მონაწილეობა მიიღოს პროდუქტის/მომსახურების მიწოდების პროცესში, რასაც იგი მხოლოდ მაშინ განახორციელებს, როდესაც ეცოდინება, რომ მისმა საქმიანობამ შესაბამისი შემოსავალი უნდა მოუტანოს იმ რისკების საკუთარ თავზე აღების სანაცვლოდ, რომელიც ჩვეულებრივ ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ევროკომისიამ ერთ-ერთ საქმეზე (Scandlines) მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ლეგიტიმურია ეკონომიკური აგენტის ინტერესი, რომელიც მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას ისახავს მიზნად.⁷⁰ აგრეთვე, ევროკომისიამ Aspen-ის საქმეზე მიუთითა, რომ კომპანიები უფლებამოსილნი არიან

⁶⁵ ხარჯების ალოკაციასთან დაკავშირებული სირთულეები ყველაზე მეტად რელევანტურია ტელეკომუნიკაციის სფეროში; 'Access to Telecommunications Networks'; M Canoy, P Bijl and R Kemp; 2003 (TILEC Discussion Paper; Vol. 2003-007).

⁶⁶ C-395/87 Ministère Public v Tournier, EU:C:1989:319, პარაგრაფი 42.

⁶⁷ Albion Water II, პარაგრაფი 88.

⁶⁸ AKKA/LAA, პარაგრაფი 55. Pfizer/Flynn-ის გადაწყვეტილებაში CMA-მ დაასკვნა, რომ 6%-იანი მოგება იქნებოდა გონივრული.

⁶⁹ საქმე Albion Water II, პარაგრაფი 88; Ministère Public v Tournier C-395/87, EU:C:1989:319, პარაგრაფი 42.

⁷⁰ Scandlines, პარაგრაფი 224.

გამოიმუშავონ გონივრული მარჯა საკუთარი გაწეული ხარჯების დაფარვის მიზნით.⁷¹ გონივრული მარჯის დადგენა რაციონალური განსჯის შედეგად უნდა მოხდეს და მისი განსაზღვრა ზუსტი მათემატიკური გამოთვლების საფუძველზე აუცილებელი არ არის.⁷² ბუნებრივია, ეკონომიკურ აგენტს შეუძლია დაადგინოს ფასი, რომელიც აღემატება „ხარჯი პლუს მარჯას“, რაც თავისთავად არ არის საკმარისი გარემოება მისი ჭარბად ან არასამართლიანად მაღალ ფასად მიჩნევისათვის.

იმის შეფასება, თუ რა მიიჩნევა გონივრული მარჯის ოდენობად, კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზეა დამოკიდებული. „ხარჯი პლუს მარჯას“ „პლუს“ ელემენტის განსაზღვრად არ არსებობს ერთი კონკრეტული მიდგომა, რომელიც სავალდებულოდ უნდა იქნას გაზიარებული.⁷³ ამასთან, ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მარჯის კონკრეტული ოდენობა გონივრულად მიიჩნია ერთ კონკრეტულ შესაბამის ბაზარზე ერთი განსახილველი პროდუქტის ან მომსახურების მიმართ, არ ნიშნავს იმას, რომ მარჯის იგივე ოდენობის გამოყენება შესაძლებელია სხვა შესაბამის ბაზარზე სხვა განსახილველი პროდუქტის/მომსახურების მიმართაც, მაშინაც კი როდესაც აღნიშნული პროდუქტები/მომსახურებები ერთსა და იმავე ბაზარს განეკუთვნებიან.

დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის ფასების, ხარჯებისა და გონივრული მარჯის განსაზღვრის შემდეგ, კონკურენციის ორგანომ უნდა დაადგინოს ის სხვაობა, რომლითაც კომპანიის ფასები აღემატება „ხარჯი პლუს მარჯას“ (კომპანიის მიერ რეალურად (ფაქტობრივად) გაწეული ხარჯებისა და მასზე დამატებული გონივრული მარჯის ჯამი). ამის შემდგომ, შეფასდება არის თუ არა კომპანიის მიერ მისაწოდებელ პროდუქტზე/მომსახურებაზე დადგენილ ფასსა და „ხარჯი პლუს მარჯას“ შორის სხვაობა ჭარბი, ვინაიდან სააგენტოს მიერ განსაზღვრული გონივრული მარჯა არ გულისხმობს გასაყიდ ფასში მაქსიმალური მარჯის დადგენას ეკონომიკური აგენტისათვის - მას შეუძლია ფასი დაადგინოს „ხარჯი პლუს მარჯაზე“ მაღლაც, თუმცა არა იმგვარად, რომ ეს ფასი იყოს ჭარბი ან არასამართლიანი. აღნიშნული შეფასება მოიცავს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებას კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ ფასი აღემატება „ხარჯი პლუს მარჯას“, გასათვალისწინებელია არის თუ არა აღნიშნული ნამეტი სხვაობა „არსებითი“ და „საკმარისად მაღალი“ იმისათვის, რომ განსახილველი ფასი ჭარბად ჩაითვალოს. იმის შეფასება, სხვაობა არის თუ არა ჭარბი, საჭიროებს გადაწყვეტილების მიმღებისაგან დისკრეციული განსჯის სათანადო ხარისხს.⁷⁴ შესაბამისად, გამოსაყენებელი ტესტის პირველი საფეხური შეიძლება განმარტებულ იქნეს

⁷¹ Aspen, პარაგრაფი 154.

⁷² Genzyme Limited v Office of Fair Trading [2005] CAT 32 ('Genzyme Remedy'), პარაგრაფი 279.

⁷³ Phenytoin CoA, პარაგრაფი 253.

⁷⁴ Albion Water II, პარაგრაფები 193 და 194.

როგორც სავარჯიშო (Screening Exercise) იმის შესაფასებლად, განსახილველი ფასი არის თუ არა საეჭვოდ მაღალი.⁷⁵ რაც შეეხება იმ საფასო სხვაობის მაჩვენებელს, რომელიც შესაძლებელია, მიჩნეულ იქნას ჭარბად, არც სასამართლოებსა და არც ევროკომისიას არ აქვთ დადგენილი ამგვარი ზუსტი მაჩვენებელი, რამეთუ ამ გარემოების დადგენა დამოკიდებულია კონკრეტულ პროდუქტსა და შესაბამის ბაზარზე.⁷⁶ მაგალითად, „ხარჯი პლუს მარჟასა“ და ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილ ფასს შორის არსებული სხვაობა გადაჭარბებულად იქნა მიჩნეული შემდეგ შემთხვევებში:

საქმეზე *Deutsche Post*, ევროკომისიამ ჭარბად მიიჩნია ფასი, რომელიც 25%-ით აღემატებოდა პროდუქტისადმი გონივრულად მიკუთვნებულ ხარჯებს.⁷⁷

საქმეზე *Aspen*, ევროკომისიამ დაადგინა, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი შესაბამის ბაზარზე ოპერირებდა არსებითად მაღალი ფასებით, რომელთა სხვაობაც „ხარჯი პლუს მარჟასთან“ შედარებით 40-50%-დან 400-420%-მდე შეადგენდა.⁷⁸

საქმეზე *Albion Water II*, სააპელაციო ტრიბუნალმა (CAT) ჭარბად მიიჩნია ფასები, რომელთა სხვაობაც „ხარჯი პლუს მარჟასთან“ შედარებით სულ მცირე 46.8%-ს შეადგენდა.⁷⁹

ამასთან, „ხარჯი პლუს მარჟას“ და ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილ ფასს შორის არსებული სხვაობის გამოთვლა მათემატიკურად შესაძლებელია ორი გზით:

ა) როგორც თანხობრივი ოდენობა, რომლითაც კომპანიის ფასი აღემატება „ხარჯი პლუს მარჟას“. მისი გამოთვლა შესაძლებელია კომპანიის ფასებისათვის „ხარჯი პლუს მარჟის“ გამოკლებით.

ბ) როგორც პროცენტი, რომლითაც კომპანიის ფასები აღემატება „ხარჯი პლუს მარჟას“. მისი გამოთვლა შესაძლებელია კომპანიის ფასებისათვის „ხარჯი პლუს მარჟის“ გამოკლებით და შემდგომ მიღებული სხვაობის „ხარჯი პლუს მარჟაზე“ გაყოფით.

⁷⁵ Commission Decision Case AT.39816 – Upstream Gas Supplies in Central and Eastern Europe, პარაგრაფი 65.

⁷⁶ Commission Decision Case AT.39816 – Upstream Gas Supplies in Central and Eastern Europe, პარაგრაფი 67.

⁷⁷ Commission Decision COMP/36.915 – Deutsche Post AG – Interception of cross border mail [2001] ('Deutsche Post'), პარაგრაფები 166 და 167.

⁷⁸ Aspen, პარაგრაფი 140.

⁷⁹ CAT, Case N 1046/2/4/04, პარაგრაფი 197.

4.2. United Brands-ის ტესტის მეორე საფეხური - ფასის არასამართლიანად მაღალი ხასიათი თავისთავად ან კონკურენტ პროდუქტთან/მომსახურებასთან შედარებით

კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის დასადასტურებლად, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილი ფასი უნდა იყოს როგორც ჭარბი, ასევე არასამართლიანად მაღალი. ცალკეულად ჭარბი ფასის დადგენა არ გულისხმობს იმას, რომ ეკონომიკური აგენტი ბოროტად იყენებს დომინანტურ მდგომარეობას. იმისათვის, რომ ჭარბი ფასის დაწესებით ეკონომიკური აგენტის მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დადგინდეს, **აუცილებელია აღნიშნული ფასი არასამართლიანად მაღალიც იყოს**. ფასის არასამართლიანობის ტესტი ძირითადად დაკავშირებულია პირველ საფეხურზე უკვე დადგენილი ფასის სიჭარბის გამართლებასთან.

ფასი, რომელიც ერთდროულად ჭარბი და არასამართლიანად მაღალია, მიიჩნევა იმგვარ ფასად, რომელსაც არ გააჩნია გონივრული კავშირი პროდუქტის ეკონომიკურ ღირებულებასთან. ასეთი ფასის დადგენის შედეგად, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტი ისეთ კომერციულ სარგებელს ნახულობს ბაზარზე, რომელსაც ის ვერ მიიღებდა ჯანსაღი და ეფექტური კონკურენციის პირობებში.

United Brands-ის საქმეზე გამოყენებული ტესტის მეორე საფეხური შეეხება სწორედ იმის განსაზღვრას არის თუ არა ჭარბი ფასი არასამართლიანი. ეს შეფასება ორი კუთხით შეიძლება განვითარდეს - ფასი არის არასამართლიანი თავისთავად ან სხვა კონკურენტ პროდუქტ(ებ)თან შედარებით. ტესტის მე-2 საფეხურს გააჩნია მეტად ალტერნატიული, ვიდრე კუმულატიური ხასიათი⁸⁰ და მისი ალტერნატიული ბუნებიდან გამომდინარე, საკმარისია ნებისმიერი ერთ-ერთი პირობის არსებობა, იმისათვის, რომ კანონდარღვევა საბოლოოდ დადგინდეს.⁸¹ ევროკომისიის მიერ გაკეთებული განმარტების თანახმად, გამოსაყენებელი ტესტის მე-2 საფეხურის ელემენტები ალტერნატიულ ხასიათს ატარებენ იმ თვალსაზრისით, რომ გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია უფლებამოსილება TFEU-ს 102-ე მუხლის დარღვევა დაადგინოს ნებისმიერი ერთ-ერთი ალტერნატივის მიხედვით და თავის მხრივ არ არის ვალდებული ორივე მათგანი გამოიკვლიოს.⁸² მაშასადამე, ფასის არასამართლიანობის დასადგენად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პირველი (არასამართლიანი თავისთავად) ან მეორე (არასამართლიანი კონკურენტ პროდუქტთან/მომსახურებასთან შედარებით) ალტერნატივა.⁸³ შესაბამისად, მოკვლევის ფარგლებში ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად დადგენის მიზნით,

⁸⁰ C-159/08 P Isabella Scippacercola and Ioannis Terezakis v Commission, EU:C:2009:188, პარაგრაფი 47; Albion Water II, პარაგრაფი 255; Phenytoin CoA, პარაგრაფი 259.

⁸¹ Phenytoin, პარაგრაფი 366.

⁸² Aspen, პარაგრაფი 196.

⁸³ Phenytoin CoA, paragraphs 259 and 269.

კონკურენციის ორგანომ უნდა შეაფასოს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ფასების არასამართლიანად მაღალი ბუნება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უპირველეს ყოვლისა სააგენტო იმსჯელებს გამოსაყენებელი ტესტის პირველ ალტერნატივაზე - განსახილველი ფასის არასამართლიანად მაღალ ხასიათზე თავისთავად. თუმცა ამავე გადაწყვეტილების ფარგლებში, სააგენტო საკუთარი ინიციატივით შეაფასებს ტესტის მე-2 საფეხურის მე-2 ალტერნატივასაც, რაც განპირობებულია მტკიცების მაღალი სტანდარტით და რომელსაც ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო Sanity Check-ის (სადი აზრის ტესტის) სახელწოდებით იცნობს.⁸⁴

თუკი ფასის სიჭარბე დადგენილია და არ იკვეთება რაიმე სახის გამამართლებელი ფაქტორის არსებობა, ფასი შესაძლოა მიჩნეულ იქნას თავისთავად არასამართლიანად - ფასი, რომელიც მნიშვნელოვნად აჭარბებს მიწოდებული პროდუქტის ეკონომიკურ ღირებულებას, *prima facie* იქნება ჭარბი და არასამართლიანი.⁸⁵ ამგვარი მიდგომა დადასტურებულია ევროკომისიის მიერ Aspen-ის საქმეზე. კომისიის ანალიზში ყურადღება გამახვილდა ფასების მატების გამამართლებელი ფაქტორების კვლევაზე. კომისიამ განიხილა პროდუქტის მახასიათებლები, ის, რომ მედიკამენტს ათწლეულების წინ გაუვიდა პატენტის ვადა (რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ კვლევა-განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ხარჯები ანაზღაურებულია), სახეზე არ არის კომერციულად სარისკო ქმედება, ინოვაცია, ინვესტიცია, გაუმჯობესება და სხვა.⁸⁶ კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საჭიროება განეხილა ტესტის მეორე ალტერნატივა - კონკურენტი პროდუქტებთან ფასების შედარება. თუმცა, მიუხედავად ამისა, ევროკომისია მაინც შეეცადა მოეძიებინა განსახილველი პროდუქტის ფასის მიმართ გონივრული შესადარი, რის შედეგადაც შესაბამისი პარამეტრი/პარამეტრები არ იქნა იდენტიფიცირებული.⁸⁷

არასამართლიანობის შეფასებისას შესასწავლი ფასის კონკურენტი პროდუქტ(ებ)ის ფასებთან შედარება არასდროს ყოფილა გამოყენებული განცალკევებულად. არასამართლიანობის შეფასებისას შესასწავლი ფასის შედარება კონკურენტი პროდუქტ(ებ)ის ფასებთან გარკვეულ საქმეებში ანალიზისას იქნა გამოყენებული, თუმცა საბოლოო ჯამში უარყოფილ იქნა. მაგალითად, Deutsche Post-ის საქმეზე ამგვარი შედარების შესაძლებლობა უარყოფილ იქნა, ვინაიდან, არ არსებობდნენ კონკურენტები. მსგავსად, Port of Helsingborg-ის საქმეზე კომისიამ მიიჩნია, რომ სხვა პორტებში არსებული გადასახადები ვერ იქნებოდა ვარგისი შესადარებელად. აგრეთვე, Aspen-ის უახლეს გადაწყვეტილებაში კომისიამ შემოთავაზებული შედარება კონკურენტი წამლებთან მიმართებით შეუსაბამოდ ცნო.⁸⁸ ეს არც

⁸⁴ Case C-177/16 Biedrība 'Autortiesību un komunikēšanās konsultāciju aģentūra – Latvijas Autoru apvienība' v Konkurences padome, პარაგრაფი 124.

⁸⁵ Attheraces CoA, პარაგრაფი 204; Albion Water II, პარაგრაფი 265.

⁸⁶ Aspen, პარაგრაფი 176.

⁸⁷ Aspen, პარაგრაფი 196-200.

⁸⁸ *Marinova M.*, Unmasking excessive pricing: evolution of EU law on excessive pricing from United Brands to Aspen, European Competition Journal Volume 20, 2024 - Issue 2, 315-339.

საფუძველს მოკლებულია, რადგან ასეთ საქმეებში მოკვლევა შეეხება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტებს, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი კონკურენტი პროდუქტის მოძიება შესაძლოა იყოს ძალიან რთული ან საერთოდ შეუძლებელი.

თავი V. ქმედების შეფასება

5.1. ფასების სიჭარბე

სააგენტო, განსახილველ მედიკამენტებზე დაწესებული ფასების სიჭარბის შეფასებას, პირველ რიგში მოპასუხეთა მიერ შესაბამის პერიოდში გაწეული ხარჯების იდენტიფიცირებით იწყებს. აღნიშნულისათვის სააგენტო ეყრდნობა მოკვლევის ფარგლებში მხარეთა მიერ მოწოდებულ და თავის მიერ გადამოწმებულ ინფორმაციას.

5.1.1. ერთეულ კოლოფზე გაწეული ხარჯები

დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილი ფასების არასამართლიანად მაღალი ხასიათის ობიექტურად და სათანადოდ შეფასების მიზნებისათვის, როგორც აღინიშნა, სააგენტო ეყრდნობა ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკას და იყენებს United Brands-ის საქმეზე დადგენილ არასამართლიანად მაღალი ფასის შეფასების ტესტს. აქედან გამომდინარე, სააგენტო თითოეული მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდის განმავლობაში განხორციელებული სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედების შეფასებისათვის გამოიყენებს ორსაფეხუროვან ტესტს, რისთვისაც პირველ რიგში იმსჯელებს მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ გაწეულ ხარჯებზე.

დადგენილი ფასების სიჭარბის შეფასებისათვის, პირველ რიგში, სააგენტოს მიზანია გამოკვლეულ და დადგენილ იქნეს დომინანტური მდგომარეობის მქონე თითოეული ეკონომიკური აგენტის ხარჯების შესახებ მონაცემები მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდის განმავლობაში. კერძოდ, იდენტიფიცირებულ იქნას მონაცემები იმ პირდაპირი/არაპირდაპირი ხარჯების თაობაზე, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული მედიკამენტის საბითუმო მიწოდებასთან. უნდა აღინიშნოს, რომ არასამართლიანად მაღალი ფასის დაწესების საქმეებისათვის ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კონკრეტული სახის მეთოდოლოგიას, რომლის გამოყენებითაც უნდა განისაზღვროს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ გაწეული ხარჯების ოდენობა. როგორც უკვე აღინიშნა, მსგავს საქმეებზე კონკურენციის ორგანოებს გააჩნიათ

დისკრეციული უფლებამოსილება აირჩიონ კონკრეტული განსახილველი საქმისათვის შესაბამისი მეთოდი, რომელსაც ხარჯების დასადგენად/მისაკუთვნებლად გამოიყენებენ.⁸⁹ განსახილველი საკითხი შესაძლებელია გადაწყდეს კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების (1), ბუღალტრული აღრიცხვის ტექნიკისა (2) და ეკონომიკური შეფასების (3) ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

5.1.1.1. შპს „გლობალ ცბს“ - მედიკამენტი ოფლახ-ოზი

მოკვლევის ფარგლებში შპს „გლობალ ცბს-ს“ მიერ განხორციელებული სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედება გულისხმობს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ არასამართლიანად მაღალი ფასების დადგენას, რასაც სააგენტოს დაკვირვებით შესაძლებელია ადგილი ჰქონოდა 2022-2023 წლებში. ამასთან, სააგენტოს მიერ დადგენილია, რომ შპს „გლობალ ცბს“-ს მედიკამენტ ოფლახ-ოზის (ofloxacin and ornidazole) ნაწილში 2022-2023 წლებში შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა ეკავა.

როგორც აღინიშნა, ფასების სიჭარბის შესაფასებლად პირველ რიგში, სააგენტოსათვის მნიშვნელოვანია, იდენტიფიცირებულ იქნას მონაცემები დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ გაწეული იმ პირდაპირი/არაპირდაპირი ხარჯების თაობაზე, რომლებიც დაკავშირებულია მედიკამენტ ოფლახ-ოზის ერთეული კოლოფის საბითუმო მიწოდებასთან მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდის განმავლობაში, განსახილველ შემთხვევაში - 2022-2023 წლებში.

რაც შეეხება ხარჯების მიკუთვნების მეთოდოლოგიას, განსახილველ შემთხვევაში, საქმის გარემოებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სააგენტოს ხარჯების მიკუთვნების/ალოკაციის ყველაზე შესაფერისად და გამოსადეგად მიაჩნია ე.წ. output-based მეთოდის გამოყენება. სააგენტო ამგვარ მიდგომას გამოიყენებს ყველა მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მედიკამენტების ნაწილში, თითოეულზე გონივრულად მიკუთვნებული ხარჯების ალოკაციისათვის. სააგენტოს შეფასებით, გაყიდვების მოცულობა კოლოფების დონეზე, კომპანიის სრული ასორტიმენტის ჯამური გაყიდვების მოცულობის გამოყენებით არაპირდაპირი ხარჯების ალოკაციისათვის ყველაზე შესაფერისი მეთოდი იქნება თითოეული განსახილველი მედიკამენტებისათვის ხარჯების ოდენობის მისაკუთვნებლად. ხარჯების დადგენის/მიკუთვნებისათვის ამ მეთოდის გამოყენების უარყოფით მხარედ შესაძლოა დასახელდეს ის, რომ სხვადასხვა სიძლიერის (დოზირების) მქონე მედიკამენტზე ერთი და იმავე ოდენობის ხარჯი შესაძლოა განაწილდეს ერთეული კოლოფისათვის. აღნიშნული კი იმის ფონზე, როდესაც მცირე დოზირების მქონე მედიკამენტს, ჩვეულებრივ, ნაკლები

⁸⁹ Phenytoin CoA [2020] EWCA Civ 339, პარაგრაფი 97 (iii).

ღირებულება აქვს, რის გამოც შესაძლოა მათზე უფრო დიდი პროპორციით გაითვალისწინოს არაპირდაპირი ხარჯების წილი მათი სრული ოდენობიდან. ეს უკანასკნელი შეამცირებს საერთო მარჟას მცირე დოზირების მქონე მედიკამენტებისათვის დიდი დოზირების მქონე პროდუქტთან შედარებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, სააგენტო მიიჩნევს, რომ გაყიდვების მოცულობის გამოყენებით ხარჯების მედიკამენტების თითოეულ კოლოფზე გადაანგარიშება (ე.წ. output-based მეთოდი), განსახილველი შემთხვევისათვის ხარჯების გასანაწილებლად/ალოკაციისათვის ყველაზე შესაფერისი მეთოდია. ამასთანავე, ეს მეთოდი გამჭვირვალე და ობიექტურია, იგი საიმედო და პრაქტიკული გადაწყვეტაა, ვინაიდან გაყიდული კოლოფების რაოდენობის შესახებ მონაცემები სრულად ხელმისაწვდომია.

მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა როგორც შესაბამისი ხარჯების ტიპები, ასევე მათი რაოდენობრივი მონაცემები. კერძოდ, 2022-2023 წლებში შპს „გლობალ ცბს-ს“ მიერ მედიკამენტ ოფლაბ-ოზის ერთეული კოლოფის მიმართ გაწეულ იქნა

2022-2023 წლების მიხედვით, დასახელებული ხარჯების წილი მედიკამენტის სადისტრიბუციო ღირებულებაში კომპანიის მიერ გამოყენებულ სადისტრიბუციო ფასნამატებთან ერთად შემდეგნაირად გამოიყურება:

გრაფიკი 1

ოფლაბ-ოზი - ფასწარმოქმნა საბითუმო დონეზე

კომპანიის მიერ მოწოდებული და სააგენტოს მიერ გადამოწმებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მედიკამენტ ოფლაბ-ოზის მიმართ იმპორტის დონიდან დისტრიბუციის ჩათვლით არსებული ყველა ხარჯის ჯამი (ნაერთი ხარჯი), ერთეულ კოლოფზე 2022 წელს შეადგენდა ლარს, ხოლო 2023 წელს ლარს. მედიკამენტის ერთეული კოლოფის დისტრიბუცია კი როგორც 2022, ასევე 2023 წელს ხორციელდებოდა ლარად. შესაბამისად, ფასნამატმა⁹⁰ აღნიშნულ მედიკამენტზე 2022 წელს შეადგინა ლარი (%), ხოლო 2023 წელს ლარი (%).

5.1.1.2. შპს „გლობალ ცბს“ - მედიკამენტი იორილი-10

სააგენტოს მიერ დადგენილია, რომ შპს „გლობალ ცბს“-ს მედიკამენტ იორილი-10-ის (isoxsuprine) შემთხვევაში შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა ეკავა 2022-2023 წლებში. განსახილველ მედიკამენტთან მიმართებითაც, პირველ რიგში, სააგენტოს მიზანია იდენტიფიცირებულ იქნას მონაცემები შპს „გლობალ ცბს“-ს იმ პირდაპირი/არაპირდაპირი ხარჯების თაობაზე, რომელიც დაკავშირებულია მედიკამენტ იორილი-10-ის ერთეული კოლოფის საბითუმო მიწოდებასთან მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდის განმავლობაში, იორილი 10-ის შემთხვევაში - 2022-2023 წლებში. რაც შეეხება ხარჯების მიკუთვნების მეთოდოლოგიას, როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო კონკრეტულ მედიკამენტზე ხარჯების მიკუთვნების/ალოკაციისათვის გამოიყენებს ე.წ. output-based მეთოდს.

მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა როგორც შესაბამისი ხარჯების ტიპები, ასევე მათი რაოდენობრივი მონაცემები. კერძოდ, 2022-2023 წლებში შპს „გლობალ ცბს“-ს მიერ მედიკამენტ იორილი-10-ის ერთეული კოლოფის მიმართ გაწეულ იქნა

2022-2023 წლების მიხედვით, დასახელებული ხარჯების წილი მედიკამენტის სადისტრიბუციო ღირებულებაში კომპანიის მიერ გამოყენებულ ფასნამატებთან ერთად შემდეგნაირად გამოიყურება:

⁹⁰ შენიშვნა: ფასნამატი - სხვაობა ნაერთ ხარჯსა და სადისტრიბუციო ფასს შორის.

იორილი - ფასწარმოქმნა საბითუმო დონეზე

კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მედიკამენტ იორილი-10-ის შემთხვევაში, იმპორტის დონიდან დისტრიბუციის ჩათვლით არსებული ყველა ხარჯის ჯამი (ნაერთი ხარჯი), ერთეულ კოლოფზე 2022 წელს შეადგენდა ლარს, ხოლო 2023 წელს ლარს. მედიკამენტის ერთეული კოლოფის დისტრიბუცია კი როგორც 2022, ასევე 2023 წელს ხორციელდებოდა ლარად. შესაბამისად, ფასნამატმა აღნიშნულ მედიკამენტზე 2022 წელს შეადგინა ლარი (%), ხოლო 2023 წელს ლარი (%).

5.1.1.3. შპს „გლობალ ცბს“ - მედიკამენტი ჰაიზინი

როგორც მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, შპს „გლობალ ცბს“-ს მედიკამენტ ჰაიზინის (hydroxyzine) ნაწილში შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა ეკავა 2022-2023 წლებში. განსახილველ მედიკამენტთან მიმართებითაც სააგენტო, პირველ რიგში, კომპანიის მიერ გაწეული იმ პირდაპირი/არაპირდაპირი ხარჯების თაობაზე მონაცემების იდენტიფიცირებას მოახდენს, რომლებიც დაკავშირებულია მედიკამენტ ჰაიზინის ერთეული შეფუთვის საბითუმო მიწოდებასთან მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდის განმავლობაში ანუ 2022-2023 წლებში. შესაბამის მონაცემთა ანალიზის შედეგად, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა როგორც შესაბამისი ხარჯების ტიპები, ასევე მათი რაოდენობრივი მონაცემები. შესაბამისი ხარჯების მიკუთვნებისა და

განსაზღვრისათვის/ალოკაციისათვის კი სააგენტომ ამ კონკრეტული მედიკამენტის ნაწილშიც გამოიყენა ე.წ. output-based მეთოდი. კერძოდ, 2022-2023 წლებში შპს „გლობალ ცბს-ს“ მიერ მედიკამენტ ჰაიზინის ერთეული შეფუთვის მიმართ გაწეულ იქნა

2022-2023 წლების მიხედვით, დასახელებული ხარჯების წილი მედიკამენტის სადისტრიბუციო ღირებულებაში კომპანიის მიერ გამოყენებულ ფასნამატებთან ერთად, შემდეგნაირად გამოიყურება:

გრაფიკი 3

ჰაიზინი - ფასწარმოქმნა საბითუმო დონეზე

კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მედიკამენტ ჰაიზინის მიმართ იმპორტის დონიდან დისტრიბუციის ჩათვლით არსებული ყველა ხარჯის ჯამი (ნაერთი ხარჯი), ერთეულ კოლოფზე 2022 წელს შეადგენდა ლარს, ხოლო 2023 წელს ლარს. მედიკამენტის ერთეული შეფუთვის დისტრიბუცია კი როგორც 2022, ასევე 2023 წელს ხდებოდა ლარად. შესაბამისად, ფასნამატმა აღნიშნულ მედიკამენტზე 2022 წელს შეადგინა ლარი (%), ხოლო 2023 წელს ლარი (%).

5.1.1.4. შპს „კონცეპტ ფარმა“ - მედიკამენტი ფლოქსაზოლი

მოკვლევის ფარგლებში დადგენილია, რომ შპს „კონცეპტ ფარმა“ მედიკამენტ ფლოქსაზოლის ნაწილში შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა ეკავა 2021-2023 წლებში. მედიკამენტზე დადგენილი სადისტრიბუციო ფასების სიჭარბის შესაფასებლად სააგენტო პირველ რიგში ეკონომიკური აგენტის მიერ გაწეული იმ პირდაპირი/არაპირდაპირი ხარჯების თაობაზე შეისწავლის მონაცემებს, რომლებიც 2021-2023 წლებში მედიკამენტ ფლოქსაზოლის ერთეული კოლოფის საბითუმო მიწოდებასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება არაპირდაპირი ხარჯების მიკუთვნების მეთოდოლოგიას, სააგენტომ მედიკამენტ ფლოქსაზოლის მიმართ შესაბამისი ხარჯების მიკუთვნებისა და ალოკაციისათვის გამოიყენა ე.წ. output-based მეთოდი. თუმცა, განსხვავებით სხვა მედიკამენტებისაგან, სააგენტოს ალოკაციისათვის ასევე დასჭირდა ხელახლა განესაზღვრა კომპანიის მიერ ფლოქსაზოლის ერთეულ კოლოფზე გაწეული არაპირდაპირი ხარჯების ჯამური ოდენობაც.

მიღებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად, დადგინდა შემდეგი:

ინფორმაციის დამატებითი ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სააგენტომ, ქმედების შეფასების ნაწილში, კომპანიის სასარგებლოდ მიიღო რიგი გადაწყვეტილებები, კერძოდ:

⁹¹ სსიპ შემოსავლების სამსახურში წარდგენილი საშემოსავლო დეკლარაციებში არსებული ინფორმაცია.

⁹² სსიპ შემოსავლების სამსახურში წარდგენილი საშემოსავლო დეკლარაციებში არსებული ინფორმაცია.

⁹³ სააგენტოს 2025 წლის 29 მაისის წერილი N 02/2357.

კომპანიის მიერ 2021-2023 წლებში მედიკამენტ ფლოქსაზოლზე დასაქმებული პირებისათვის
გაცემული ანაზღაურების ოდენობა შემდეგნაირი იყო:

რეალიზებული კოლოფების ჯამური რაოდენობა
ფლოქსაზოლის წილი:

და

რაც შეეხება საბონუსე თანხის გამოთვლას, სააგენტომ განსაზღვრა კომპანიის მიერ მედიკამენტ ფლოქსაზოლიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა 2021-2023 წლებისათვის ამავე მედიკამენტის რეალიზაციის მაჩვენებლების გათვალისწინებით და, შესაბამისად, ამ შემოსავლის % შეაფარდა რეალიზებული კოლოფების რაოდენობასთან.

დამატებით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სხვა ისეთი ხარჯების შემთხვევაში, როგორიცაა მაგ. ადმინისტრაციული ხარჯები, სააგენტომ იხელმძღვანელა კომპანიის მიერ მოწოდებული კალკულაციით. თუმცა,

დაკავშირებით, სააგენტომ კომპანიის მიერ ამ მიმართულებით გაწეული საერთო ხარჯებისა და განსახილველი მედიკამენტის რეალიზებული მოცულობების გათვალისწინებით გამოიყენა ალოკაციის მეთოდი. შედეგად, ამგვარი ხარჯის ტიპმა, ერთეულ კოლოფზე გადაანგარიშებით, 2021 წელს შეადგინა ლარი, 2022 წელს - ლარი, ხოლო 2023 წელს - ლარი.

საბოლოო ჯამში, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა როგორც შესაბამისი ხარჯების ტიპები, ასევე მათი რაოდენობრივი მონაცემები. კერძოდ, 2021-2023 წლებში შპს „კონცეპტ ფარმას“ მიერ მედიკამენტ ფლოქსაზოლის ერთეული კოლოფის მიმართ გაწეული ხარჯები დაიყო

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მონაცემთა დამუშავების შედეგად სააგენტომ დაადგინა, რომ 2021-2023 წლების მიხედვით,⁹⁴ დასახელებული ხარჯების წილი მედიკამენტის სადისტრიბუციო ღირებულებაში კომპანიის მიერ გამოყენებულ ფასნამატებთან ერთად, შემდეგნაირად გამოიყურება:

⁹⁴ 2022 წლის მაჩვენებლები სააგენტომ გამოიყენა 2022 წლის ოქტომბრის თვემდე და მის შემდგომ პერიოდებად, ვინაიდან, ამავე თვეში კომპანიის მხრიდან გაიზარდა შესასწავლ მედიკამენტზე დადგენილი სადისტრიბუციო ფასი ლარიდან ლარამდე.

ფლოქსაზოლი - ფასწარმოქმნა საბითუმო დონეზე

როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკიდანაც იკვეთება, დამუშავებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მედიკამენტ ფლოქსაზოლის მიმართ იმპორტის დონიდან დისტრიბუციის ჩათვლით არსებული ყველა ხარჯის ჯამი (ნაერთი ხარჯი), ერთეულ კოლოფზე 2021 წელს შეადგენდა ლარს, 2022 წელს - ლარს, ხოლო 2023 წელს - ლარს. მედიკამენტის ერთეული კოლოფის დისტრიბუცია კი 2021 წელს ხორციელდებოდა ლარად, 2022 წლის 20 ოქტომბრამდე - ლარად, 2022 წლის 20 ოქტომბრიდან ამავე წლის ბოლომდე - ლარად, ხოლო 2023 წელს ასევე - ლარად. შესაბამისად, ფასნამატმა აღნიშნულ მედიკამენტზე 2021 წელს შეადგინა ლარი (%), 2022 წლის 20 ოქტომბრამდე - ლარი (%), 2022 წლის 20 ოქტომბრიდან ამავე წლის ბოლომდე - ლარი (%), ხოლო 2023 წელს - ლარი (%).

5.1.1.5. შპს „რიჩ გრუპი“ - მედიკამენტი ზინასენი

მოკვლევის ფარგლებში დადგენილია, რომ შპს „რიჩ გრუპს“ მედიკამენტ ზინასენის ნაწილში შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა ეკავა 2022-2023 წლებში. მედიკამენტზე დადგენილი სადისტრიბუციო ფასების სიჭარბის შესაფასებლად სააგენტო პირველ რიგში ეკონომიკური აგენტის მიერ გაწეული იმ პირდაპირი/არაპირდაპირი ხარჯების

თაობაზე შეისწავლის მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია მედიკამენტ ზინასენის ერთეული კოლოფის საბითუმო მიწოდებასთან 2022-2023 წლებში. რაც შეეხება ხარჯების მიკუთვნების მეთოდოლოგიას, სააგენტომ როგორც წინა შემთხვევებში, მედიკამენტ ზინასენის მიმართაც შესაბამისი არაპირდაპირი ხარჯების მიკუთვნებისა და ალოკაციისათვის გამოიყენა ე.წ. output-based მეთოდი.

სააგენტომ შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად დაიანგარიშა კომპანიის მიერ გასაცემი ხელფასების ყოველწლიური ოდენობა. მიღებული მაჩვენებელი კი, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანია ასევე რიცხავდა პრემიებსაც, თანხვედრაში აღმოჩნდა ეკონომიკური აგენტის მიერ ფაქტობრივად გაცემული შრომის ანაზღაურების ოდენობებთან. სააგენტომ გამოარკვია, რომ

ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა არაპირდაპირი ხარჯების შესახებ მოწოდებული კრებსითი მონაცემები სააგენტომ ასევე განსაზღვრული მეთოდოლოგიით შეწონა კომპანიის პროდუქციის სრული ასორტიმენტის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სრულყოფილი დამუშავების შედეგად, საბოლოოდ იდენტიფიცირებულ იქნა როგორც მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ გაწეული შესაბამისი ხარჯების ტიპები, ასევე მათი რაოდენობრივი მონაცემები. კერძოდ, 2022-2023 წლებში შპს „რიჩ გრუპის“ მიერ მედიკამენტ ზინასენის ერთეული კოლოფის მიმართ გაწეული ხარჯები დაიყო

2022-2023 წლების მიხედვით, დასახელებული ხარჯების წილი მედიკამენტის სადისტრიბუციო ღირებულებაში კომპანიის მიერ გამოყენებულ ფასნამატებთან ერთად, შემდეგნაირად გამოიყურება:

გრაფიკი 5

ზინასენი - ფასწარმოქმნა საბითუმო დონეზე

ამდენად, შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მედიკამენტ ზინასენის მიმართ იმპორტის დონიდან დისტრიბუციის ჩათვლით არსებული ყველა ხარჯის ჯამი (ნაერთი ხარჯი), ერთეულ კოლოფზე 2022 წელს შეადგენდა ლარს, ხოლო 2023 წელს - ლარს. მედიკამენტის ერთეული კოლოფის დისტრიბუცია კი როგორც 2022, ისევე 2023 წლებში ხორციელდებოდა ლარად. შესაბამისად, ფასნამატმა აღნიშნულ მედიკამენტზე 2022 წელს შეადგინა ლარი (%), ხოლო 2023 წელს - ლარი (%).

5.1.1.6. შპს „გეა“ - მედიკამენტი ბისეპტოლი 120 მგ

მოკვლევის ფარგლებში დადგენილია, რომ შპს „გეას“ მედიკამენტ ბისეპტოლის (120 მგ.) ნაწილში შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა ეკავა 2021-2023 წლებში. მედიკამენტზე დადგენილი სადისტრიბუციო ფასების სიჭარბის შესაფასებლად სააგენტო პირველ რიგში შპს „გეას“ მიერ გაწეული იმ პირდაპირი/არაპირდაპირი ხარჯების თაობაზე შეისწავლის მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია მედიკამენტ ბისეპტოლის (120 მგ.) ერთეული კოლოფის საბითუმო მიწოდებასთან 2021-2023 წლებში. რაც შეეხება ხარჯების მიკუთვნების მეთოდოლოგიას, სააგენტომ როგორც წინა შემთხვევებში, მედიკამენტ ბისეპტოლის მიმართაც შესაბამისი ხარჯების მიკუთვნებისა და განსაზღვრისათვის /ალოკაციისათვის გამოიყენა ე.წ. output-based მეთოდი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მეთოდი იქნა შესაფერისად მიჩნეული თავად მხარის მიერაც, ვინაიდან, სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაცია ხარჯების შესახებ შპს „გეამაც“ ანალოგიური მეთოდოლოგიით დაამუშავა.⁹⁵ თუმცა, სააგენტო აქვე უთითებს, რომ მიუხედავად ანალოგიური მეთოდის გამოყენებისა, კომპანიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ კალკულაციებში ფიქსირდებოდა რიგი უზუსტობები. კერძოდ, მონაცემების შესწავლის შემდგომ დადგინდა, რომ მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა რეალიზებული კოლოფების საერთო რაოდენობის განსახილველ მედიკამენტებთან შეფარდების შემდეგ, შეწონვის კოეფიციენტი/პროცენტი, ასევე რაოდენობა და ხარჯები შეკრიბა, მიღებული ჯამური მონაცემების შედარებით გამოთვალა ერთეულ კოლოფზე გაწეული ხარჯების წილი საერთო ხარჯებში. ეკონომიკური აგენტის მიერ შესრულებულ კალკულაციასთან დაკავშირებით სააგენტო მიუთითებს, რომ თითოეული განსახილველი მედიკამენტის შეწონვის კოეფიციენტის განსაზღვრის მნიშვნელობას რეალიზებული კოლოფების საერთო რაოდენობაში წარმოადგენს ის, რომ ზუსტად იქნას იდენტიფიცირებული განსახილველ მედიკამენტზე გაწეული ხარჯი, ხოლო კომპანიის მხრიდან დაჯამებული კოეფიციენტის გამოყენება იწვევს სხვადასხვა მედიკამენტებზე გამოყენებული ხარჯის განმეორებით აღრიცხვას თითოეულ განსახილველ მედიკამენტთან მიმართებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ ეკონომიკური აგენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავებით, ხელახლა გადაიანგარიშა ერთეულ კოლოფზე

⁹⁵ შპს „გეას“ 2025 წლის 06 მაისის წერილი (სააგენტოში რეგ. N01/2834).

მისაკუთვნებელი გაწეული არაპირდაპირი ხარჯების ოდენობა შესაბამისი მედიკამენტების დონეზე.

სააგენტო დაეთანხმა კომპანიის მიერ გამოყენებულ მეთოდოლოგიას დისტრიბუციისა და ყველა სხვა ხარჯის განცალკევებული აღრიცხვის ნაწილში. ამასთან, დისტრიბუციის ხარჯის გამოთვლის მიზნით, გაითვალისწინა მხოლოდ საქართველოში რეალიზებული, ხოლო ყველა სხვა ხარჯის გამოთვლის მიზნით მხედველობაში მიიღო როგორც ქვეყანაში რეალიზებული, ასევე ექსპორტირებული მედიკამენტების რაოდენობა.

სააგენტო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პროდუქტზე დადგენილი ფასის სიჭარბის შესწავლის ნაწილში შესაბამისი ხარჯების იდენტიფიცირების მნიშვნელობასა და იმას, რომ ამ კუთხით რელევანტურია მხოლოდ კონკრეტულ პროდუქტთან (განსახილველ შემთხვევაში მედიკამენტ ბისეპტოლის საბითუმო მიწოდებასთან) დაკავშირებული და მისთვის გონივრულად მიკუთვნებული პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები. აქედან გამომდინარე, ვინაიდან, სააგენტომ მხარის მიერ წარმოდგენილი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის⁹⁶ შესწავლის შემდგომ გამოავლინა რიგი ისეთი ხარჯებისა, რომლებიც ასახული იყო მხარის მიერ წარმოდგენილ მონაცემებში, თუმცა მათ არ შეიძლებოდა რაიმე გონივრული კავშირი ჰქონოდათ მედიკამენტ ბისეპტოლთან, სწორი სურათის მისაღებად, ამგვარი ხარჯები გამოაკლდა მხარის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სააგენტომ მხარის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს გამოაკლო მხოლოდ ისეთი ხარჯების ოდენობები, რომლებიც **ცალსახად** არ შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული მედიკამენტ ბისეპტოლთან. ყველა სხვა ეჭვი ან ბუნდოვანება კონკრეტული ხარჯის მედიკამენტ ბისეპტოლთან კავშირის ნაწილში გადაწყდა მხარის სასარგებლოდ. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის მიერ მოწოდებული ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილის არაპირდაპირი კავშირი შესასწავლ მედიკამენტთან ვერ დასტურდებოდა, სააგენტომ ამგვარი ხარჯები მაინც სრულად გაითვალისწინა ერთეულ კოლოფზე მისაკუთვნებელი ხარჯების ოდენობის გამოთვლის პროცესში.

სიცხადისათვის, სააგენტო აქვე ჩამოთვლის თუ რა ტიპის ხარჯების გათვალისწინება არ მოხდა. სააგენტომ არ გაითვალისწინა მხარის მიერ წარმოდგენილი ისეთი ხარჯები, რომლებიც წარმოადგენდა ცალსახად უშუალოდ სხვა მედიკამენტზე გაწეულ პირდაპირ ხარჯს და არანაირი კავშირი არ ჰქონდა ბისეპტოლთან (არ იყო საზიარო ან ბისეპტოლთან სხვაგვარად დაკავშირებული ხარჯი). ამასთანავე, ისეთი ხარჯები, რომლებიც ცალსახად იყო დაკავშირებული კომპანიის მიერ კონკრეტულად საცალო დონეზე ოპერირებასთან, კერძოდ, იმ უძრავი ქონებების იჯარის თანხები, სადაც აფთიაქებია განთავსებული, მათი რემონტის ხარჯი, კომუნალური გადასახადები, სამეურნეო ხარჯი და სხვა. ამასთანავე, ისეთი ღონისძიებების გამართვისათვის გაწეული ხარჯები, რომლებიც არათუ დაკავშირებული არ

⁹⁶ შპს „გეას“ 2025 წლის 06 მაისის წერილი (რეგ. N 01/2834).

შეიძლება იყოს ყოფილიყო ბისეპტოლთან, არამედ აბსოლუტურად განსხვავებულ პროფილს განეკუთვნებოდა (სტომატოლოგია, კოსმეტოლოგია და სხვა),

, ასევე „სამოტივაციო ღონისძიებების გამართვაზე“ გაწეული ხარჯები, როგორცაა

. ამასთანავე, ექიმებთან შეხვედრებზე (მათ შორის, არაფორმალურ გარემოში შეხვედრებზე) გაწეული ხარჯები, დამატებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მათი პროფილი იყო სრულიად განსხვავებული განსახილველი მედიკამენტისაგან. ამასთანავე, და

, იმ ავტომობილების ხარჯები, რომლებსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდათ მედიკამენტ ბისეპტოლთან (გარდა მათზე გაწეული ისეთი ხარჯებისა, რომლების გამომიჯვნაც შეუძლებელი იყო).

სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული ამგვარი ხარჯების (რომლებიც ცალსახად არ იყო გონივრულად მისაკუთვნებელი მედიკამენტ ბისეპტოლისათვის) ჯამმა 2021 წლისათვის შეადგინა ლარი, 2022 წლისათვის - , ხოლო 2023 წლისათვის - ლარი. ყველა სხვა ისეთი არაპირდაპირი ხარჯის შემთხვევაში კი, რომელთა კავშირი მედიკამენტ ბისეპტოლთან იყო ბუნდოვანი, ან საეჭვო იყო, რომ იგი შესაძლოა საზიარო ხარჯი ყოფილიყო, ჩათვლილ იქნა და სააგენტომ ისინი გაითვალისწინა არაპირდაპირი ხარჯების ერთეულ კოლოფზე მიკუთვნების ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ დამატებით გაითვალისწინა მხარის მიერ წარმოდგენილი ამ ტიპის ხარჯებიც, თუმცა არა სრულად. კერძოდ, სააგენტომ სამუშაო აღწერილობებზე⁹⁷ დაყრდნობით, არ გაითვალისწინა ისეთი პირების ხელფასები, რომელთა ფუნქციებიდან გამომდინარეც, მათი საქმიანობა უშუალოდ ბისეპტოლთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და შესაბამისად ამ მედიკამენტზე გაწეული ხარჯებისათვის გონივრულად მისაკუთვნებელი, მაგალითად, და . სხვა შემთხვევებში, სააგენტომ მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შესაბამისად, ბისეპტოლისათვის

⁹⁷ შპს „გეას“ 2024 წლის 29 აპრილის წერილით (რეგ. N 01/2460) მოწოდებული ინფორმაცია.

⁹⁸ შპს „გეას“ 2025 წლის 25 ივლისის წერილი (სააგენტოში რეგ. N 01/4430).

მისაკუთვნებელ ხარჯებში ასახა ხელფასების ოდენობა სათანადო პროპორციით. კერძოდ,
მხარის მიერ მოწოდებულ მიმართებით
სააგენტომ შემდეგნაირად ასახა გაწეული ხარჯები:

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მედიკამენტის თვითღირებულების საწყის წერტილად სააგენტო ითვალისწინებს საინვოისო ღირებულებას ლარის გაცვლითი კურსის გათვალისწინებით, რადგან საინვოისო ღირებულებიდან საბაჟო ღირებულებამდე არსებული ხარჯების გათვალისწინება სააგენტოს პოზიციით მოხდა კომპანიის მიერ მოწოდებული სრული ხარჯების ერთეულ კოლოფზე ალოკაციის ნაწილში. შესაბამისად, მედიკამენტის თვითღირებულების მაჩვენებლად საბაჟო ღირებულების გამოყენება, გამოიწვევდა ერთი და იმავე ხარჯის დუბლირებას.⁹⁹

⁹⁹ 2021 წლის იმპორტის მონაცემები 120მგ. ბისეპტოლის შემთხვევაში მოპასუხეს არ მოუწოდებია, შესაბამისად გამოყენებულ იქნა კომპანიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი მაჩვენებელი მედიკამენტის თვითღირებულებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა როგორც შესაბამისი ხარჯების ტიპები, ასევე მათი რაოდენობრივი მონაცემები. კერძოდ, 2021-2023 წლებში შპს „გეას“ მიერ მედიკამენტ ბისეპტოლის (120 მგ.) ერთეული კოლოფის მიმართ გაწეული ხარჯები დაიყო

2021-2023 წლების მიხედვით, დასახელებული ხარჯების წილი მედიკამენტის სადისტრიბუციო ღირებულებაში კომპანიის მიერ გამოყენებულ ფასნამატებთან ერთად, შემდეგნაირად გამოიყურება:

ბისექტოლი 120 მგ. კოლოფი - ფასწარმოქმნა საბითუმო დონეზე

ამდენად, შესაბამისი ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მედიკამენტ ბისექტოლის (120 მგ.) მიმართ იმპორტის დონიდან დისტრიბუციის ჩათვლით არსებული ყველა ხარჯის ჯამი (ნაერთი ხარჯი), ერთეულ კოლოფზე 2021 წელს შეადგენდა ლარს, 2022 წელს - ლარს, ხოლო 2023 წელს - ლარს. მედიკამენტის ერთეული კოლოფის დისტრიბუცია კი 2021 წელს ხორციელდებოდა ლარად, 2022 წელს - ლარად, ხოლო 2023 წელს - ლარად. შესაბამისად, ფასწარმოქმნა აღნიშნულ მედიკამენტზე 2021 წელს შეადგინა ლარი (%), 2022 წელს - ლარი (%), ხოლო 2023 წელს - ლარი (%).

5.1.1.7. შპს „გეა“ - მედიკამენტი ბისექტოლი 480 მგ

მოკვლევის ფარგლებში დადგენილია, რომ შპს „გეა“ მედიკამენტ ბისექტოლის (480 მგ.) ნაწილში შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა ეკავა 2021-2023 წლებში. სააგენტო აღნიშნულ მედიკამენტზე დადგენილი სადისტრიბუციო ფასების სიჭარბის შეფასებას დაიწყო შპს „გეა“ მიერ გაწეული იმ პირდაპირი/არაპირდაპირი ხარჯების თაობაზე არსებული იმ მონაცემების შესწავლით, რომლებიც დაკავშირებულია მედიკამენტ ბისექტოლის (480 მგ.) ერთეული კოლოფის საბითუმო მიწოდებასთან 2021-2023 წლების

განმავლობაში. სააგენტო განსახილველ მედიკამენტთან მიმართებითაც არაპირდაპირი ხარჯების ალოკაციისათვის იყენებს ე.წ. output-based მეთოდს. ამასთან, ისევე, როგორც 120 მგ.-იანი დოზირების მქონე ბისეპტოლის ნაწილში, 480 მგ.-იან ბისეპტოლთან მიმართებითაც მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა ანალოგიური მეთოდი გამოიყენა, თუმცა შეწონვის კოეფიციენტი ამ შემთხვევაშიც შეკრიბა და მიღებული ჯამური კოეფიციენტის მეშვეობით გამოთვალა ერთეულ კოლოფზე გაწეული ხარჯების წილი საერთო ხარჯებში. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც სააგენტომ იმავე პრინციპით იმოქმედა, რაც გამოიყენა 120 მგ.-იან ბისეპტოლზე გაწეული ხარჯების ალოკაციისათვის. ამასთანავე, სააგენტო 120 მგ.-იან ბისეპტოლთან დაკავშირებით გამოყენებული მიდგომითვე ხელმძღვანელობს 480 მგ.-იანი ბისეპტოლის სადისტრიბუციო ფასის განსაზღვრის შემთხვევაშიც. სააგენტომ 120 მგ.-იანი ბისეპტოლის ნაწილში გამოყენებულის ანალოგიური მიდგომებითა და მეთოდებით დაიანგარიშა 480 მგ.-იანი ბისეპტოლის მიმართ გაწეული და გონივრულად მისაკუთვნებელი ხარჯების ოდენობები.

ამდენად, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად სააგენტომ განსაზღვრა როგორც შესაბამისი ხარჯების ტიპები, ასევე მათი რაოდენობრივი მონაცემები. კერძოდ, 2021-2023 წლებში შპს „გეას“ მიერ მედიკამენტ ბისეპტოლის (480 მგ.) ერთი კოლოფის მიმართ გაწეული ხარჯები დაიყო

2021-2023 წლების მიხედვით, დასახელებული ხარჯების წილი მედიკამენტის სადისტრიბუციო ღირებულებაში კომპანიის მიერ გამოყენებულ ფასნამატებთან ერთად, შემდეგნაირად გამოიყურება:

ბისექტოლი 480 მგ. კოლოფი - ფასწარმოქმნა საბითუმო დონეზე

შესაბამისად, კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მედიკამენტ ბისექტოლის (480 მგ.) მიმართ იმპორტის დონიდან დისტრიბუციის ჩათვლით არსებული ყველა ხარჯის ჯამი (ნაერთი ხარჯი), ერთეულ კოლოფზე 2021 წელს შეადგენდა ლარს, 2022 წელს - ლარს, ხოლო 2023 წელს - ლარს. მედიკამენტის ერთეული კოლოფის დისტრიბუცია კი 2021 წელს ხორციელდებოდა ლარად, 2022 წელს - ლარად, ხოლო 2023 წელს - ლარად. შესაბამისად, ფასნამატმა აღნიშნულ მედიკამენტზე 2021 წელს შეადგინა ლარი (%), 2022 წელს - ლარი (%), ხოლო 2023 წელს - ლარი (%).

5.1.2. გონივრული მარჯის ოდენობა

ვინაიდან, სააგენტომ მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდის გათვალისწინებით, თითოეულ წელთან მიმართებით (ცალკეულ მედიკამენტებთან დაკავშირებით 2022-2023, ხოლო ნაწილ შემთხვევებში 2021-2023 წლები) დაადგინა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ გაწეული ხარჯების ოდენობა შესაბამისი მედიკამენტების ერთეულ კოლოფზე გაანგარიშებით, იმისათვის, რომ დადგინდეს „ხარჯი პლუს მარჯის“ „პლუს“ ელემენტი,

საჭიროა სააგენტომ განსაზღვროს გონივრული მარჟის ოდენობა თითოეული მედიკამენტის ერთეული კოლოფისათვის.

სააგენტო აქვე უთითებს, რომ თითოეული შესაფასებელი მედიკამენტის ერთეულ კოლოფზე გონივრული მარჟის ოდენობის დაანგარიშებისათვის, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს თუ რა მეთოდი/პრინციპი იქნება გამოყენებული საზომ ერთეულად და მხოლოდ ამის შემდგომ, ამ მეთოდის გამოყენებით იქნას გამოთვლილი თუ რა იქნება „პლუს“ ელემენტის ზუსტი ოდენობა თითოეული შემთხვევისათვის.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული მეთოდი შეიძლება იქნას გამოყენებული გონივრული მარჟის დადგენისათვის, როგორცაა მაგალითად, ROCE, EBIT, EBITDA, და სხვა, ამასთანავე, შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოყენებულ იქნას საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული მარჟის ოდენობაც. თუ რა მეთოდი იქნება არჩეული გამოსაყენებლად, დამოკიდებულია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებაზე შესაბამისი საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

იმ მიზნით, რომ დადგინდეს გონივრული მარჟის ოდენობა განსახილველი მედიკამენტების ერთეული კოლოფისათვის, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია გამოიყენოს გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის მოქმედი ქართული ნორმატიული დანაწესი, რომელიც შეეხება რეფერენტული საცალო ფასის გამოთვლისას სააფთიაქო დარიცხვის პროცენტული ოდენობების განსაზღვრას. სააგენტოს მოსაზრებით, ამ კონკრეტული მოკვლევის ფარგლებში მოპასუხეთა მედიკამენტების მიმართ ერთეულ კოლოფზე გონივრული მარჟის დადგენის მიზნით რაიმე სახის სპეციალური მეთოდოლოგიის (როგორცაა მაგალითად, ROS, ROCE, EBIT, EBITDA) გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს, ვინაიდან, სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის ნორმატიულად დადგენილია მედიკამენტის რეფერენტული საცალო ფასი, რომლის დაანგარიშების პრინციპიც მდგომარეობს მედიკამენტის სადისტრიბუციო ღირებულების გათვალისწინებით მის საბითუმო ფასზე შესაბამისი სააფთიაქო დარიცხვის პროცენტული ოდენობის განსაზღვრაში (რაც იქნება საცალო ფასის მაქსიმალური ოდენობა). სააგენტოს შეფასებით, მარჟის დადგენისათვის ამგვარი მეთოდის გამოყენება განსახილველ შემთხვევაში აკმაყოფილებს გონივრულობის კრიტერიუმს. ამასთან, სააგენტო კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს - იმის შეფასება თუ რა მიიჩნევა გონივრული მარჟის ოდენობად, კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზეა დამოკიდებული და ემსახურება მხოლოდ United Brands-ის საქმეზე დადგენილი კუმულატიური ხასიათის ორსაფეხუროვანი ტესტის გამოყენებით სააგენტოს მიერ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების ფასისმიერი ქმედებების შესწავლას. შესაბამისად, მოკვლევის ფარგლებში მოპასუხე ეკონომიკური

აგენტების მხრიდან დადგენილი ფასების სიჭარბის შეფასებისათვის სააგენტოს მიერ გამოყენებულ მეთოდოლოგიას არანაირი კავშირი არ აქვს საბითუმო დონეზე სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეფერენტული ფასების დადგენის მეთოდოლოგიასთან, რის გამოც არ იქნება სწორი და რელევანტური მათი ერთმანეთთან შედარება ან სხვაგვარად დაკავშირება.

რაც შეეხება ფარმაცევტული პროდუქტის რეფერენტული საცალო ფასის გამოთვლის წესს, რომელიც განსახილველი მოკვლევის ფარგლებში სააგენტოს მიერ გამოყენებული იქნება „გონივრული მარჟის“ ოდენობის განსასაზღვრად, მას ადგენს „ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის, წესისა და პირობების და ფარმაცევტული პროდუქტის მართული შესვლის შეთანხმებით შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგია, წესი და პირობები და ფარმაცევტული პროდუქტის მართული შესვლის შეთანხმებით შესყიდვის წესის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტი. აღნიშნული წესის თანახმად, რეფერენტული საცალო ფასი გამოითვლება რეფერენტული საბითუმო ფასიდან, სააფთიაქო დარიცხვის პროცენტის ან საცალო კოეფიციენტის საშუალებით. რეფერენტული საცალო ფასის გამოთვლის წესი შემდეგნაირია: 1) თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 5 ლარამდეა – მას ემატება 40% დარიცხვა; 2) თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 5-დან 10 ლარამდეა – მას ემატება 35% დარიცხვა; 3) თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 10-დან 20 ლარამდეა – მას ემატება 30% დარიცხვა; 4) თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 20-დან 30 ლარამდეა – მას ემატება 25% დარიცხვა; 5) თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 30-დან 50 ლარამდეა – მას ემატება 20% დარიცხვა; 6) თუ რეფერენტული საბითუმო ფასი 50 ლარი ან მეტია – მას ემატება 15% დარიცხვა, მაგრამ არაუმეტეს 60 ლარსა.

სააგენტო მიიჩნევს, რომ ამგვარი მიდგომის გამოყენებით მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისათვის გონივრული მარჟის ანუ „კლუზ“ ელემენტის ოდენობის იმგვარი მაჩვენებელი განისაზღვრება, რომ შეუძლებელია მათი მხრიდან რაიმე სახის მითითებას ჰქონდეს ადგილი მარჟის არასაკმარისობაზე ბიზნესის წარმართვისა და მისი მოგებაუნარიანობის, ასევე გარკვეული მინიმალური ფინანსური ინტერესის არსებობის ნაწილში, რასაც ზოგადად ემსახურება „კლუზ“ ოდენობის განსაზღვრა ფასების სიჭარბის შეფასებისას.

სააგენტო ამავე თავში განმარტავს, თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ საცალო რეალიზაციის დონეზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სააფთიაქო დარიცხვების პროცენტული ოდენობის გამოყენება განსახილველ საქმეზე გონივრული მარჟების დასადგენად რელევანტური იქნებოდა.

სააგენტო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ფარმაცევტულ ბაზარს, ისევე როგორც რიგ სხვა ინდუსტრიებს, გააჩნია სპეციფიკური მიწოდების ჯაჭვი. ფარმაცევტული ბაზრის

შემთხვევაში, შეიძლება გამოიყოს ამ ჯაჭვის სამი ძირითადი რგოლი, ესენია: მედიკამენტების წარმოება, დისტრიბუცია გაცემის (სარეალიზაციო) პუნქტამდე და საცალო რეალიზაცია საბოლოო მომხმარებლისათვის. აქვე, წარმოების ნაწილში ერთმანეთისაგან უნდა გამოიყოს ამ რგოლში მონაწილე ორი ტიპის საქმიანობით დაკავებული სუბიექტი: 1) აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტის (API) მწარმოებელი, რომელიც ამზადებს იმ ნივთიერებას, რომელიც შემდგომ გამოიყენება უშუალოდ მედიკამენტის წარმოებისათვის და 2) სუბიექტები, რომლებიც უკვე საბოლოო სახის მედიკამენტებს (მზა პროდუქტს) აწარმოებენ, რომელიც გამოიყენება უშუალოდ პაციენტების მიერ. ამასთანავე, საბოლოო სახით არსებული მედიკამენტების მწარმოებლები ასევე შეიძლება დაიყონ ორ ჯგუფად - ორიგინალი (პატენტის მქონე) მედიკამენტებისა და გენერიკების მწარმოებელ კომპანიებად.

ჯაჭვის თითოეული რგოლის დონეზე გაწეული ხარჯებისა და დამატებული ფასნამატის ოდენობა განსხვავებულია, რაც შემდგომში ერთობლიობაში განაპირობებს მედიკამენტის საბოლოო ფასსაც. თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, წინამდებარე თავის მიზნებისათვის, იმისათვის, რომ აიხსნას, თუ რატომ გადაწყვიტა სააგენტომ სააფთიაქო დარიცხვების გამოყენება მოპასუხეთა მედიკამენტებზე „კლუს“ ელემენტის განსასაზღვრად, მნიშვნელოვანია სადისტრიბუციო და საცალო დონეებზე გაწეული ხარჯების შედარებითი ანალიზი.

მედიკამენტების დისტრიბუციას ხშირ შემთხვევაში იმპორტიორები ან საბითუმო მოვაჭრეები ახდენენ, რომლებიც, თავის მხრივ, პროდუქტის მწარმოებლებისა და საცალო რეალიზატორების დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენენ მედიკამენტების უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად. დისტრიბუციის დონეზე, ძირითადად, გვხვდება ლოგისტიკური სირთულეები, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა მწარმოებლისაგან მედიკამენტების შესყიდვიდან მათი საცალო რეალიზაციის დონემდე მიწოდებასთან. იმპორტიორი დისტრიბუტორების ნაწილში, მათთვის დამატებითი საფეხურია იმ პროცედურების გავლა, რაც დაკავშირებულია მედიკამენტების ქვეყანაში შემოტანასთან. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამ საქმიანობის განხორციელებისათვის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუცილებელია კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის დამადასტურებელი სერტიფიკატის ქონაც.¹⁰⁰ დისტრიბუციის დონეზე გასაწევ ძირითად ხარჯებს წარმოადგენს: მედიკამენტების ღირებულება (ძირითადად თავად მწარმოებლისაგან), შენახვა-გადაზიდვა-დისტრიბუციის ხარჯი, ვადაგასული ან დაზიანებული პროდუქციის ხარჯები, ე.წ. "capital costs", სარეკლამო და საგანმანათლებლო ხარჯები და სხვა.

რაც შეეხება საცალო რეალიზაციის (ე.წ. რითეილ) დონეს, ამგვარი საქმიანობით დაკავებული ეკონომიკური აგენტების მიერ გასაწევი ხარჯები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად

¹⁰⁰ დისტრიბუტორებისთვის GDP სტანდარტის დაკმაყოფილება სავალდებულო 2022 წლის 1 იანვრიდან გახდა.

- ფიქსირებული ხარჯები და ცვლადი ხარჯები, რომლებიც დამოკიდებულია ბიზნესის ზომაზე. ფიქსირებული ხარჯები მოიაზრებს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას (ფარმაცევტებისა და სხვა პირების ხელფასები), ინვენტარის, აღჭურვილობისა და ობიექტების ხარჯებს (მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიების), დაზღვევას და სხვა. რაც შეეხება ცვლად ხარჯებს, მათში შესაბამისი გაყიდვების მოცულობის გათვალისწინებით მოიაზრება მედიკამენტების შესყიდვის ხარჯები, ვადაგასული ან დაზიანებული მედიკამენტების ხარჯები, ე.წ. "capital costs", სარეკლამო ხარჯები და სხვა.

შესაბამისად, სადისტრიბუციო და საცალო დონეზე გასაწევი ხარჯების კუთხით, ე.წ. რითეილ სექტორს მეტი ხარჯი აქვს, რაც განპირობებულია მათი მაღალი საოპერაციო ხარჯებით თანამშრომლების, ობიექტების, ინვენტარის, აღჭურვილობისა და სხვა საჭიროებების სიმრავლიდან გამომდინარე. თავისთავად, უფრო მაღალია მათ მიერ შესასყიდი მედიკამენტის ღირებულებაც, ვინაიდან, მას ქვედა დონეზე უკვე დაემატა საბითუმოდ მოვაჭრის მიერ გაწეული ხარჯები ფასნამატთან ერთად. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ლიტერატურაში შესაბამის დაკვირვებებზე დაყრდნობით უთითებენ, ზოგადად, ფარმაცევტული ბაზრის საცალო სარეალიზაციო დონეზე დადგენილი მარჟა აღემატება დისტრიბუციის დონეზე დაწესებულ ფასნამატს.¹⁰¹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამის საკანონმდებლო ჩანაწერში მითითებული სააფთიაქო დარიცხვების პროცენტული ოდენობები თავის თავში მოიაზრებს სრულ ნამატს სადისტრიბუციო ფასსა და საცალო სარეალიზაციო ფასს შორის, ამასთან, ვინაიდან საცალო დონეზე ხარჯი ბევრად უფრო მაღალია, ხოლო ამგვარი სააფთიაქო დარიცხვების პირობებში რითეილ სექტორი ჩვეულებრივ ოპერირებს (რა თქმა უნდა მათ აქვთ ფინანსური სარგებელიც), ამავე პროცენტული ოდენობით „პლუს“ ელემენტის განსაზღვრა მოპასუხე ეკონომიკური აგენტებისათვის მით უფრო საკმარისი და საკმაოდ ლოიალური მაჩვენებელიც უნდა იყოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი მოკვლევის ფარგლებში მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ შესაბამისი მედიკამენტების მიმართ 2022-2023 და ცალკეულ შემთხვევებში 2021-2023 წლებში დადგენილი სადისტრიბუციო ფასების სავარაუდო სიჭარბისა და არასამართლიანად მაღალი ხასიათის სათანადოდ შესწავლის მიზნით, სააგენტო „პლუს“ ელემენტის გამოთვლისას დაეყრდნობა „ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგიის, წესისა და პირობების და ფარმაცევტული პროდუქტის მართული შესვლის შეთანხმებით შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგია, წესი და პირობები და ფარმაცევტული პროდუქტის მართული

¹⁰¹ M. Aitken, Understanding the pharmaceutical value chain, pharmaceuticals policy and law, 2016.

შესვლის შეთანხმებით შესყიდვის წესის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სააფთიაქო დარიცხვის პროცენტულ ოდენობებს შესაბამისი მედიკამენტების ნაწილში მათი ნაერთი ხარჯების ოდენობის მიხედვით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სააგენტო მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში შესასწავლი მედიკამენტების ერთეული კოლოფის მიმართ მარჯის გონივრულ პარამეტრად მიიჩნევს გაწეული ხარჯის 40%-ს, თუკი ნაერთი ხარჯი კონკრეტულ მედიკამენტზე არ აღემატება 5 ლარს, 35%-ს - თუკი იგი მერყეობს 5 - 10 ლარს შორის და ა.შ. - საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

5.1.3. ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილი სადისტრიბუციო ფასისა და „ხარჯი პლუს მარჟას“ სხვაობის სიჭარბე

სააგენტო, კომპანიების მიერ მათთვის შესაბამის რელევანტურ პერიოდებში დადგენილი სადისტრიბუციო ფასის სიჭარბის შესაფასებლად, ეკონომიკური აგენტების მიერ დაწესებულ სადისტრიბუციო ფასებს შეადარებს თითოეულის „ხარჯი პლუს მარჟის“ ოდენობას, როგორც შედარებისათვის გონივრულ პარამეტრს. სააგენტო სწორედ აღნიშნულის შედეგად მიღებული სხვაობის ოდენობას შეაფასებს თუ რამდენად არის იგი ჭარბი.

სააგენტო აქვე განმარტავს, რომ ფასის სიჭარბის შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს და შესაბამისად, ადრეულ საქმეებზე დადგენილი ფასის სიჭარბის დონეები არ მიიჩნევა გადამწყვეტ პარამეტრად სხვა საქმეებისათვის თუნდაც ისინი ერთსა და იმავე ინდუსტრიას შეეხებოდეს.

5.1.3.1. შპს „გლობალ ცბს“ - მედიკამენტი ოფლაბ-ოზი

როგორც აღინიშნა, შპს „გლობალ ცბს-ს“ მიერ 2022-2023 წლებში მედიკამენტ ოფლაბ-ოზის მიმართ დადგენილი სადისტრიბუციო ფასი შეადგენდა ლარს (თითოეული წლისათვის, ცალ-ცალკე). წინამდებარე გადაწყვეტილების 6.1.2. ქვეთავში განმარტებული პრინციპის შესაბამისად, ამავე მედიკამენტზე კომპანიისათვის „ხარჯი პლუს მარჟას“ ოდენობა 2022 წლისათვის - , ხოლო 2023 წლისათვის - ლარს გაუტოლდებოდა. ამგვარი კალკულაციის ფონზე კი ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მედიკამენტისათვის დადგენილმა ფასმა ორივე წელს ლარი შეადგინა. აღნიშნულის

გათვალისწინებით, კომპანიის მიერ მედიკამენტ ოფლაბ-ოზისათვის დადგენილ ფასსა და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის სხვაობამ 2022 წლისათვის ლარი შეადგინა, რისი პროცენტული გამოსახულებაც გაუტოლდა 140.64%-ს¹⁰². ამასთან, 2023 წლისათვის ამავე სხვაობამ შეადგინა ლარი ანუ 114.81%.

სააგენტოს შეფასებით, შპს „გლობალ ცბს-ს“ მიერ მედიკამენტ ოფლაბ-ოზისათვის ფაქტობრივად დაწესებულ ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის ამგვარი სხვაობა არსებითი და საკმარისად მაღალია იმისათვის, რომ იგი ჭარბად იქნეს შეფასებული. აღნიშნულ დასკვნას ამყარებს ის ფაქტი, რომ ეს სხვაობა ბევრად უფრო მაღალია ვიდრე: ევროკომისიის მიერ Deutsche Post-ის საქმეზე ფასის სიჭარბისათვის დადგენილი ზღვრული ნიშნული (25%) 2022 წლისათვის დამატებით 115.64%-ით, ხოლო 2023 წლისათვის - 89.81%-ით; Aspen-ის საქმეზე დადგენილი ზღვრული ნიშნული (40%) 2022 წლისათვის დამატებით 100.64%-ით, ხოლო 2023 წლისათვის - 64.81%-ით; სააპელაციო ტრიბუნალის (CAT) მიერ Albion Water II-ის საქმეზე დადგენილი ზღვრული ნიშნული (46.8%) 2022 წლისათვის დამატებით 93.84%-ით, ხოლო 2023 წლისათვის - 68.01%-ით. მოკვლევის ფარგლებში დადგენილი 140.64%-იანი და 114.81%-იანი სხვაობები თავის მხრივ აღემატება დიდი ბრიტანეთის კონკურენციის ორგანოს (CMA) მიერ დადგენილ ზღვრულ ნიშნულებს Pfizer/Flynn-ის საქმეზეც: კომპანია ფაიზერის შემთხვევაში 25 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ არსებულ ზღვრულ ნიშნულს (24%) – 116.64%-ით (2022 წელი) და 90.81%-ით (2023 წელი), 50 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ არსებულ ზღვრულ ნიშნულს (91%) – 49.64%-ით (2022 წელს) და 23.81%-ით (2023 წელს), კომპანია ფლინის შემთხვევაში 25 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ არსებულ ზღვრულ ნიშნულს (139%) 1.64%-ით 2022 წლის შემთხვევაში, 50 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ არსებულ ზღვრულ ნიშნულს (77%) 63.64%-ით (2022 წელს) და 37.81%-ით (2023 წელს), 100 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ არსებულ ზღვრულ ნიშნულს (37%) 103.64%-ით (2022 წელს) და 77.81%-ით (2023 წელს), ხოლო 300 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ არსებულ ზღვრულ ნიშნულს (42%) 98.64%-ით (2022 წელს) და 72.81%-ით (2023 წელს). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი ამგვარ ქმედებას ახორციელებდა ორი წლის განმავლობაში.

ამდენად, შპს „გლობალ ცბს-ს“ მიერ დადგენილი ფასის სიჭარბის დონე „ხარჯი პლუს მარჟასთან“ მიმართებით ზემოთ ხსენებულ საქმეებზე დადგენილ ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, ერთმნიშვნელოვნად ამყარებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ 2022-2023 წლებში (ორი წლის განმავლობაში უწყვეტად) დადგენილი სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასი (ლარი) ჭარბია. კერძოდ, 2022-2023 წლებში მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილი სადისტრიბუციო ფასის პროცენტული სხვაობა სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ხარჯი პლუს მარჟასთან“ მიმართებით აშკარად აღემატება ზემოთ ხსენებულ საქმეებზე დადგენილი ჭარბი სხვაობების პროცენტულ მაჩვენებლებს.

¹⁰² გამოსახულების დონეზე მონაცემები ყველგან დამრგვალებულია ასეულის თანრიგით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ გამოყენებული ტესტის პირველი საფეხურის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „გლობალ ცბს“-მ 2022-2023 წლებში მედიკამენტ ოფლაბ-ოზის სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასის ლარის ოდენობით განსაზღვრით ჭარბი ფასი დაადგინა.

5.1.3.2. შპს „გლობალ ცბს“ - მედიკამენტი იორილი-10

მედიკამენტ იორილი-10-თან მიმართებით, სააგენტოს მიერ განსაზღვრული პრინციპის შესაბამისად კომპანიისათვის დაანგარიშებული „ბარჯი პლუს მარჟას“ ოდენობა 2022 წლისათვის იქნებოდა , ხოლო 2023 წლისათვის - ლარი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მედიკამენტისათვის ფაქტობრივად დადგენილი სადისტრიბუციო ფასი როგორც 2022, ასევე 2023 წლებში შეადგენდა ლარს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მარტივი კალკულაციით დგინდება, რომ კომპანიის მიერ მედიკამენტ იორილი-10-სათვის დადგენილ ფასსა და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ბარჯი პლუს მარჟას“ შორის სხვაობა 2022 წლისათვის გაუტოლდა ლარს, რამაც პროცენტულად შეადგინა 96.57%, ხოლო 2023 წლისათვის ამავე სხვაობამ შეადგინა ლარი ანუ 16.49%.

სააგენტოს შეფასებით, შპს „გლობალ ცბს-ს“ მიერ მედიკამენტ იორილი-10-ზე 2022 წლისათვის ფაქტობრივად დაწესებულ ფასსა და „ბარჯი პლუს მარჟას“ შორის სხვაობა არსებითი და საკმარისად მაღალია იმისათვის, რომ იგი ჭარბად იქნეს შეფასებული. სააგენტოს ამგვარ შეფასებას ამყარებს ის ფაქტი, რომ იგი ბევრად უფრო მაღალია ვიდრე: ევროკომისიის მიერ Deutsche Post-ის საქმეზე ფასის სიჭარბისათვის დადგენილი ნიშნული (25%) - დამატებით 71.95%-ით; Aspen-ის საქმეზე დადგენილი ნიშნული (40%) - 56.95%-ით; სააპელაციო ტრიბუნალის (CAT) მიერ Albion Water II-ის საქმეზე დადგენილი ნიშნული (46.8%) - დამატებით 50.15%-ით. მოკვლევის ფარგლებში დადგენილი და 2022 წელს მოქმედი 96.95%-იანი სხვაობა თავის მხრივ აღემატება დიდი ბრიტანეთის კონკურენციის ორგანოს (CMA) მიერ დადგენილ ნიშნულებს Pfizer/Flynn-ის საქმეზეც: კომპანია ფაიზერის შემთხვევაში 25 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ არსებულ ნიშნულს (24%-ს) – 72.95%-ით, 50 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ არსებულ ნიშნულს (91%-ს) – 5.95%-ით, კომპანია ფლინის შემთხვევაში 50 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ არსებულ ნიშნულს (77%) – 19.57%-ით, 100 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ არსებულ ნიშნულს (37%) – 59.57%-ით, 300 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ არსებულ ნიშნულს (42%) – 54.57%-ით.

ამდენად, შპს „გლობალ ცბს-ს“ მიერ მედიკამენტ იორილი-10-სათვის 2022 წელს დადგენილი ფასის სიჭარბის დონე „ბარჯი პლუს მარჟასთან“ მიმართებით ზემოთ ხსენებულ

საქმეებზე დადგენილ ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, ერთმნიშვნელოვნად ამყარებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ 2022 წელს დადგენილი სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასი (ლარი) ჭარბია. კერძოდ, 2022 წელს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილი სადისტრიბუციო ფასის პროცენტული სხვაობა სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ხარჯი პლუს მარჟასთან“ მიმართებით აშკარად აღემატება ზემოთ ხსენებულ საქმეებზე დადგენილი ჭარბი სხვაობების პროცენტულ მაჩვენებლებს.

რაც შეეხება ეკონომიკური აგენტის მიერ 2023 წლისათვის დადგენილ სადისტრიბუციო ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის 16.49%-იან სხვაობას, სააგენტომ განსახილველ შემთხვევაში მიიჩნია, რომ იგი არ იყო არსებითად და საკმარისად მაღალი, რათა წინამდებარე თავის მიზნებისათვის ცნობილი ყოფილიყო ჭარბად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ გამოყენებული ტესტის პირველი საფეხურის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „გლობალ ცბს“-მ 2022 წელს მედიკამენტ იორილი-10-ის სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასის ლარის ოდენობით განსაზღვრით ჭარბი ფასი დაადგინა.

5.1.3.3. შპს „გლობალ ცბს“ - მედიკამენტი ჰაიზინი

როგორც აღინიშნა, შპს „გლობალ ცბს-ს“ მიერ 2022-2023 წლებში მედიკამენტ ჰაიზინის მიმართ დადგენილი სადისტრიბუციო ფასი შეადგენდა ლარს (ორივე წელს, ცალ-ცალკე). სააგენტოს მიერ განსაზღვრული პრინციპის შესაბამისად, ამავე მედიკამენტზე კომპანიისათვის „ხარჯი პლუს მარჟას“ ოდენობა განისაზღვრა 2022 წლისათვის -

ხოლო 2023 წლისათვის - ლარით. ამგვარი კალკულაციის ფონზე, ეკონომიკურ აგენტის მიერ ამ მედიკამენტისათვის დადგენილმა ფაქტობრივმა სადისტრიბუციო ფასმა ორივე წლისათვის შეადგინა ლარი. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით კი, კომპანიის მიერ მედიკამენტ ჰაიზინისათვის დადგენილ ფასსა და სააგენტოს მიერ ამავე პროდუქტისათვის განსაზღვრულ „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის სხვაობა 2022 წლისათვის შეადგენდა ლარს, რაც პროცენტულად გაუტოლდა 38.22%-ს. 2023 წლისათვის კი ამავე მედიკამენტზე დადგენილი ფასის სხვაობა მხოლოდ ხარჯებთან შეადგენდა ლარს ანუ 5.01%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში კომპანიის ფასნამატი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ გონივრულ მარჟას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, 2023 წელს შპს „გლობალ ცბს-ს“ მიერ მედიკამენტ ჰაიზინისათვის დადგენილი სადისტრიბუციო ფასი, ნათელია, რომ არ უნდა შეფასდეს როგორც ჭარბი. რაც შეეხება ამავე კომპანიის მიერ 2022 წელს დადგენილ ჰაიზინის

სადისტრიბუციო ფასს, როგორც გამოვლინდა, იგი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ბარჯი პლუს მარჟას“ აღემატებოდა 38.22%-ით, რაც, სააგენტოს შეფასებით, არსებითი და საკმარისად მაღალია იმისათვის, რომ იგი ჭარბად იქნას შეფასებული. კერძოდ, მოპასუხის მიერ დადგენილი სადისტრიბუციო ფასის სიჭარბის დონე „ბარჯი პლუს მარჟასთან“ შედარებით დამატებით 13.22%-ით აღემატება ევროკომისიის მიერ Deutsche Post-ის საქმეზე ფასის სიჭარბისათვის დადგენილ ნიშნულს (25%). ამასთანავე, იგი აღემატება CMA-ის მიერ Pfizer/Flynn-ის საქმეზე კომპანია ფაიზერის ნაწილში 25 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ დადგენილ ნიშნულს (24%) - 14.22%-ით, ხოლო კომპანია ფლინის ნაწილში 100 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ დადგენილ ნიშნულს (37%) - 1.22%-ით.

ამდენად, შპს „გლობალ ცბს“-ს მიერ დადგენილი ფასის სიჭარბის დონე „ბარჯი პლუს მარჟასთან“ მიმართებით ზემოხსენებულ საქმეებზე დადგენილ ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, ამყარებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ 2022 წელს დადგენილი სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასი (ლარი) ჭარბია. კერძოდ, 2022 წელს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილი სადისტრიბუციო ფასის პროცენტული სხვაობა სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ბარჯი პლუს მარჟასთან“ მიმართებით აშკარად აღემატება ზემოხსენებულ საქმეებზე დადგენილ ჭარბი სხვაობის პროცენტულ მაჩვენებლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ გამოყენებული ტესტის პირველი საფეხურის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „გლობალ ცბს“-მ 2022 წელს მედიკამენტ ჰაიზინის სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასის ლარის ოდენობით განსაზღვრით ჭარბი ფასი დაადგინა.

5.1.3.4. შპს „კონცეპტ ფარმა“ - მედიკამენტი ფლოქსაზოლი

მედიკამენტ ფლოქსაზოლთან მიმართებით, სააგენტოს მიერ განსაზღვრული პრინციპის შესაბამისად კომპანიისათვის დაანგარიშებული „ბარჯი პლუს მარჟას“ ოდენობა 2021 წლისათვის იქნებოდა _____, 2022 წლისათვის - _____, ხოლო 2023 წლისათვის - _____ ლარი. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მედიკამენტისათვის ფაქტობრივად დადგენილი სადისტრიბუციო ფასი 2021 წლიდან 2022 წლის 20 ოქტომბრამდე შეადგენდა _____ ლარს, ხოლო 2022 წლის 20 ოქტომბრიდან 2023 წლის ჩათვლით - _____ ლარს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მარტივი კალკულაციით დგინდება, რომ კომპანიის მიერ მედიკამენტ ფლოქსაზოლისათვის დადგენილ ფასსა და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ბარჯი პლუს მარჟას“ შორის სხვაობა 2021 წლისათვის გაუტოლდა _____ ლარს, რამაც პროცენტულად შეადგინა 4.97%, 2022 წლის 20 ოქტომბრამდე პერიოდისათვის ამავე სხვაობამ შეადგინა _____ ლარი ანუ 14.27%, 2022 წლის 20 ოქტომბრიდან

ამავე წლის ბოლომდე ფლოქსაზოლის ფაქტობრივ სადისტრიბუციო ფასსა და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „*ხარჯი პლუს მარჟას*“ სხვაობა იყო ლარი ანუ 34.42%, ხოლო 2023 წლისათვის ამ ორ მაჩვენებელს შორის სხვაობა გაუტოლდა ლარს ანუ 50.8%-ს.

სააგენტოს შეფასებით, შპს „კონცეპტ ფარმას“ მიერ მედიკამენტ ფლოქსაზოლზე 2023 წლისათვის ფაქტობრივად დაწესებულ ფასსა და „*ხარჯი პლუს მარჟას*“ შორის სხვაობა არსებითი და საკმარისად მაღალია იმისათვის, რომ იგი ჭარბად იქნეს შეფასებული. კერძოდ, სააგენტოს ამგვარ შეფასებას ამყარებს ის ფაქტი, რომ იგი უფრო მაღალია ვიდრე: ევროკომისიის მიერ Deutsche Post-ის საქმეზე ფასის სიჭარბისათვის დადგენილი ნიშნული (25%) - დამატებით 25.8%-ით; *Aspen-ის* საქმეზე დადგენილი ნიშნული (40%) – 10.8%-ით; სააპელაციო ტრიბუნალის (*CAT*) მიერ *Albion Water II-ის* საქმეზე დადგენილი ნიშნული (46.8%) - დამატებით 4%-ით. მოკვლევის ფარგლებში დადგენილი და 2023 წელს მოქმედი 50.8%-იანი სხვაობა თავის მხრივ აღემატება დიდი ბრიტანეთის კონკურენციის ორგანოს (*CMA*) მიერ *Pfizer/Flynn-ის* საქმეზე კომპანია ფაიზერის შემთხვევაში 25 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ დადგენილ ნიშნულს (24%-ს) – 26.8%-ით, ხოლო კომპანია ფლინის შემთხვევაში 100 და 300 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ დადგენილ ნიშნულებს (37% და 42%) – შესაბამისად, 13.8%-ითა და 8.8%-ით.

ამასთანავე, სააგენტომ 2022 წლის ოქტომბრის თვიდან ამავე წლის ბოლომდე ფაქტობრივად დაწესებულ ფასსა და „*ხარჯი პლუს მარჟას*“ შორის სხვაობაც მიიჩნია არსებითად და დაადგინა, რომ იგი საკმარისად მაღალია იმისათვის, რომ ჭარბად იქნეს შეფასებული. სააგენტოს ამგვარ შეფასებას ამყარებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული სხვაობა აღემატება ევროკომისიის მიერ Deutsche Post-ის საქმეზე ფასის სიჭარბისათვის დადგენილ ნიშნულს (25%) - დამატებით 9.42%-ით, ხოლო ბრიტანეთის კონკურენციის ორგანოს (*CMA*) მიერ *Pfizer/Flynn-ის* საქმეზე კომპანია ფაიზერის 25 მილიგრამიანი კაფსულების შემთხვევაში დადგენილ ნიშნულს (24%) – 10.42%-ით.

ამდენად, შპს „კონცეპტ ფარმას“ მიერ მედიკამენტ ფლოქსაზოლისათვის 2022 წლის 20 ოქტომბრიდან სრულად 2023 წლის ჩათვლით დადგენილი ფასის სიჭარბის დონე „*ხარჯი პლუს მარჟასთან*“ მიმართებით ზემოთ ხსენებულ საქმეებზე დადგენილ ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, ერთმნიშვნელოვნად ამყარებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ 2022 წლის 20 ოქტომბრიდან ამავე წლის ბოლომდე და 2023 წლის განმავლობაში დადგენილი სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასი (ლარი) ჭარბია. კერძოდ, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული სადისტრიბუციო ფასის პროცენტული სხვაობა სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „*ხარჯი პლუს მარჟასთან*“ მიმართებით აშკარად აღემატება ზემოთ ჩამოთვლილ საქმეებზე დადგენილი ჭარბი სხვაობების პროცენტულ მაჩვენებლებს.

რაც შეეხება ეკონომიკური აგენტის მიერ 2021 წლისათვის და 2022 წლის 20 ოქტომბრამდე დადგენილ სადისტრიბუციო ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის 4.97%-იან და 14.27%-იან სხვაობებს, სააგენტომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევებში სხვაობის მაჩვენებლები არ იყო საკმარისად მაღალი, რათა ისინი ცნობილი ყოფილიყო ჭარბად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ გამოყენებული ტესტის პირველი საფეხურის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „კონცეპტ ფარმამ“ 2022 წლის 20 ოქტომბრიდან 2023 წლის ჩათვლით მედიკამენტ ფლოქსაზოლის სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასის ლარის ოდენობით განსაზღვრით ჭარბი ფასი დაადგინა.

5.1.3.5. შპს „რიჩ გრუპი“ - მედიკამენტი ზინასენი

როგორც აღინიშნა, შპს „რიჩ გრუპის“ მიერ 2022-2023 წლებში მედიკამენტ ზინასენის მიმართ დადგენილი სადისტრიბუციო ფასი შეადგენდა ლარს (თითოეული წლისათვის, ცალ-ცალკე). წინამდებარე გადაწყვეტილების 6.1.2. ქვეთავში განმარტებული პრინციპის შესაბამისად, ამავე მედიკამენტზე კომპანიისათვის „ხარჯი პლუს მარჟას“ ოდენობა 2022 წლისათვის - , ხოლო 2023 წლისათვის - ლარი იქნებოდა. ამგვარი კალკულაციის ფონზე კი ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მედიკამენტისათვის დადგენილმა ფასმა ორივე წელს ლარი შეადგინა. შესაბამისად, კომპანიის მიერ მედიკამენტ ზინასენის დადგენილ ფასსა და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის სხვაობა 2022 წლისათვის შეადგენდა ლარს, რისი პროცენტული გამოსახულებაც გაუტოლდა 77.6%-ს.¹⁰³ ამასთან, 2023 წლისათვის ამავე სხვაობის მაჩვენებელი იყო ლარი ანუ 53.79%.

სააგენტოს შეფასებით, შპს „რიჩ გრუპის“ მიერ მედიკამენტ ზინასენისათვის ფაქტობრივად დაწესებულ ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის სხვაობა როგორც 2022, ასევე 2023 წლისათვის არსებითი და საკმარისად მაღალია იმისათვის, რომ იგი ჭარბად იქნეს შეფასებული. აღნიშნულ დასკვნას ამყარებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული სხვაობები ბევრად უფრო მაღალია ვიდრე: ევროკომისიის მიერ Deutsche Post-ის საქმეზე ფასის სიჭარბისათვის დადგენილი ნიშნული (25%) 2022 წლისათვის დამატებით 52.6%-ით, ხოლო 2023 წლისათვის - 28.79%-ით; Aspen-ის საქმეზე დადგენილი ნიშნული (40%) 2022 წლისათვის დამატებით 37.6%-ით, ხოლო 2023 წლისათვის - 13.79%-ით; სააპელაციო ტრიბუნალის (CAT) მიერ Albion Water II-ის საქმეზე დადგენილი ნიშნული (46.8%) 2022 წლისათვის დამატებით 30.8%-ით, ხოლო 2023 წლისათვის - 6.99%-ით. მოკვლევის ფარგლებში დადგენილი 77.6%-იანი და 53.79%-იანი სხვაობები თავის მხრივ აღემატება დიდი ბრიტანეთის კონკურენციის ორგანოს

¹⁰³ გამოსახულების დონეზე მონაცემები ყველგან დამრგვალებულია ასეულის თანრიგით.

(CMA) მიერ Pfizer/Flynn-ის საქმეზე კომპანია ფაიზერის შემთხვევაში 25 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ დადგენილ ნიშნულს (24%-ს) – 53.6%-ით (2022 წელი) და 29.79%-ით (2023 წელი), კომპანია ფლინის შემთხვევაში 50 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ დადგენილ ნიშნულს (77%-ს) – 0.6%-ით (2022 წელი), 100 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ დადგენილ ნიშნულს (37%-ს) – 40.6%-ით (2022 წელს) და 16.79%-ით (2023 წელს), 300 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ დადგენილ ნიშნულს (42%-ს) – 35.6%-ით (2022 წელს) და 11.79%-ით (2023 წელს). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი ამგვარ ქმედებას ახორციელებდა ორი წლის განმავლობაში.

ამდენად, შპს „რიჩ გრუპის“ მიერ დადგენილი ფასის სიჭარბის დონე „ხარჯი პლუს მარჯასთან“ მიმართებით ზემოთ ხსენებულ საქმეებზე დადგენილ ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, ერთმნიშვნელოვნად ამყარებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ 2022-2023 წლებში (ორი წლის განმავლობაში უწყვეტად) დადგენილი სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასი (ლარი) ჭარბია. კერძოდ, 2022-2023 წლებში მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილი სადისტრიბუციო ფასის პროცენტული სხვაობა სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ხარჯი პლუს მარჯასთან“ მიმართებით აშკარად აღემატება ზემოთ ხსენებულ საქმეებზე დადგენილი ჭარბი სხვაობების პროცენტულ მაჩვენებლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ გამოყენებული ტესტის პირველი საფეხურის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „რიჩ გრუპმა“ 2022-2023 წლებში მედიკამენტ ზინასენის სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასის ლარის ოდენობით განსაზღვრით ჭარბი ფასი დაადგინა.

5.1.3.6. შპს „გეა“ - მედიკამენტი ბისეპტოლი 120 მგ

როგორც აღინიშნა, შპს „გეას“ მიერ 2021-2023 წლებში მედიკამენტ ბისეპტოლის (120 მგ.) მიმართ დადგენილი სადისტრიბუციო ფასი 2021 წელს შეადგენდა ლარს, 2022 წელს - ლარს, ხოლო 2023 წელს - ლარს. სააგენტოს მიერ „პლუს“ ელემენტის გამოთვლისათვის განსაზღვრული პრინციპის შესაბამისი კალკულაციის თანახმად, ამავე მედიკამენტზე კომპანიისათვის „ხარჯი პლუს მარჯას“ ოდენობა 2021 წლისათვის იქნებოდა , 2022 წლისათვის - ხოლო 2023 წლისათვის - ლარი. ამგვარი კალკულაციის ფონზე კი ეკონომიკურ აგენტის მიერ ამ მედიკამენტისათვის დადგენილ ფასებსა და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ხარჯი პლუს მარჯას“ შორის სხვაობა 2021 წლისათვის შეადგენდა ლარს, რაც პროცენტულად გაუტოლდა 25.39%-ს. 2022 წელს ამ მაჩვენებელმა მიაღწია ლარს (32%), ხოლო 2023 წლისათვის ამავე სხვაობამ შეადგინა ლარი ანუ 30.50%.

სააგენტოს შეფასებით, შპს „გეას“ მიერ მედიკამენტ ბისეპტოლისათვის (120 მგ) დადგენილ ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის სხვაობა 2021-2023 წლებში (თითოეული წლისათვის) არსებითი და საკმარისად მაღალია იმისათვის, რომ იგი კარბად იქნეს შეფასებული. აღნიშნულ დასკვნას ამყარებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული სხვაობები აღემატება: ევროკომისიის მიერ Deutsche Post-ის საქმეზე ფასის სიჭარბისათვის დადგენილ ნიშნულს (25%) 2021 წლისათვის დამატებით 0.39%-ით, 2022 წელს - 7%-ით, ხოლო 2023 წლისათვის - 5.5%-ით; დიდი ბრიტანეთის კონკურენციის ორგანოს (CMA) მიერ Pfizer/Flynn-ის საქმეზე კომპანია ფაიზერის შემთხვევაში 25 მილიგრამიანი კაფსულების მიმართ დადგენილ ნიშნულს (24%) - 1.39%-ით (2021 წელი), 8%-ით (2022 წელი) და 6.5%-ით (2023 წელი). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი ამგვარ ქმედებას ახორციელებდა სამი წლის განმავლობაში უწყვეტად.

ამდენად, შპს „გეას“ მიერ დადგენილი ფასების სიჭარბის დონე „ხარჯი პლუს მარჟასთან“ მიმართებით ზემოთ ხსენებულ საქმეებზე დადგენილ ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით, ერთმნიშვნელოვნად ამყარებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ 2021-2023 წლებში (სამი წლის განმავლობაში უწყვეტად) დადგენილი სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასები (2021 წელს - , 2022 წელს - , 2023 წელს - ლარი) ჭარბია. კერძოდ, 2021-2023 წლებში მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილი სადისტრიბუციო ფასის პროცენტული სხვაობა სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ხარჯი პლუს მარჟასთან“ მიმართებით აღემატება ზემოთ ხსენებულ საქმეებზე დადგენილი ჭარბი სხვაობების პროცენტულ მაჩვენებლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიერ გამოყენებული ტესტის პირველი საფეხურის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „გეამ“ 2021 წელს მედიკამენტ ბისეპტოლის (120 მგ.) სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასის ლარის, 2022 წელს - ლარის, ხოლო 2023 წელს - ლარის ოდენობით განსაზღვრით ჭარბი ფასი დაადგინა.

5.1.3.7. შპს „გეა“ - მედიკამენტი ბისეპტოლი 480 მგ

როგორც აღინიშნა, შპს „გეას“ მიერ 2021-2023 წლებში მედიკამენტ ბისეპტოლის (480 მგ.) მიმართ დადგენილი სადისტრიბუციო ფასი 2021 წელს შეადგენდა ლარს, 2022 წელს - ლარს, ხოლო 2023 წელს - ლარს. ზემოთ აღწერილი პრინციპის შესაბამისად, გონივრული მარჟის ოდენობის დაანგარიშების შედეგად დადგინდა, რომ ამავე მედიკამენტზე კომპანიისათვის „ხარჯი პლუს მარჟას“ ოდენობა 2021 წლისათვის იქნებოდა 2022 წლისათვის - , ხოლო 2023 წლისათვის - ლარი. ამგვარი კალკულაციის ფონზე, ეკონომიკური აგენტის მიერ ამ მედიკამენტისათვის 2021 წელს

დადგენილი სადისტრიბუციო ფასი ჩამოუვარდება სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ხარჯი პლუს მარჟას“ ოდენობას 1.42%-ით. რაც შეეხება 2022 და 2023 წლებისათვის დადგენილ სადისტრიბუციო ფასებს, 2022 წელს მასსა და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის სხვაობამ შეადგინა ლარი ანუ 23.26%, ხოლო 2023 წელს - ლარი ანუ 16%. სააგენტოს შეფასებით, შპს „გეას“ მიერ მედიკამენტ ბისეპტოლისათვის (480 მგ.) დადგენილ ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის არსებული სხვაობა 2023 წლისათვის არ არის საკმარისად მაღალი იმისათვის, რომ ის შეფასებულ იქნას როგორც ჭარბი. თუმცა, ამავე მედიკამენტზე 2022 წელს დადგენილ ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის სხვაობა სააგენტოს მიერ მიიჩნევა საკმარისად დიდად იმისათვის, რომ იგი ჭარბად იქნას შეფასებული. სააგენტომ გარდა „ხარჯი პლუს მარჟას“ და კომპანიის მიერ დადგენილ ფასს შორის არსებული სიჭარბის პროცენტული მაჩვენებლისა, დამატებით გაითვალისწინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ფაქტი, რომ კომპანიის მხრიდან 2022 წელს დადგენილი ფასი 2021 წელთან შედარებით გაიზარდა, ხოლო წლიური ხარჯი კომპანიას შეუმცირდა - ამდენად, ფასის ზრდა მოხდა ხარჯების კლების ფონზე, გაუმართლებლად; 480 მგ.-იანი ბისეპტოლის გაყიდვების მაჩვენებელი; მისი პროცენტული წილი როგორც შესაბამის ბაზარზე, ასევე ზოგადად მედიკამენტ ბისეპტოლის ჯამურ იმპორტსა და რეალიზაციაში. ყოველივე ამის შეჯერებით კი გამოიტანა დასკვნა, რომ 2022 წელს 480 მგ.-იანი ბისეპტოლისათვის კომპანიის მიერ დადგენილ ფასსა და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის 23.26%-იანი სხვაობა არის საკმარისი და არსებითი იმისათვის, რომ იგი ჭარბად შეფასდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოკვლევის ფარგლებში გამოყენებული ტესტის პირველი საფეხურის ფარგლებში სააგენტომ შპს „გეას“ მიერ მედიკამენტ ბისეპტოლისათვის (480 მგ) 2022 წელს დადგენილი სადისტრიბუციო (საბითუმო) ფასი ლარი შეაფასა როგორც ჭარბი.

თავი VI. ფასის არასამართლიანად მაღალი ხასიათი თავისთავად ან კონკურენტ პროდუქტთან/მომსახურებასთან შედარებით

როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ფასების არასამართლიანად მაღალი ბუნების შესაფასებლად სააგენტო უპირველეს ყოვლისა იმსჯელებს გამოსაყენებელი ტესტის პირველ ალტერნატივაზე - განსახილველი ფასის არასამართლიანად მაღალ ხასიათზე თავისთავად.

6.1. ფასის არასამართლიანად მაღალი ხასიათი თავისთავად

სააგენტო მიუთითებს, რომ მედიკამენტების შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდეს ხარჯებთან არადაკავშირებული გარკვეული სახის ფაქტორი (*Non-Cost Related Factor*), რომელიც გაზრდიდა მათ ეკონომიკურ ღირებულებას „ხარჯი პლუს მარჟის“ მიღმა. შესაბამისად, სააგენტომ მედიკამენტის ეკონომიკური ღირებულების შეფასებისას გაითვალისწინა ყველა შესაძლო გონივრული ფაქტორი, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა ამავე მომსახურების გაწევასთან. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური ღირებულება შეფასებითი კატეგორიაა, რომლის შინაარსიც უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტულ საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების ობიექტური შეფასებიდან. მოკვლევის მხარეთა სუბიექტური მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ჩაითვლება „სამართლიან“ ან „გონივრულ“ ფასად სამართლებრივი შეფასებისთვის არარელევანტურია.

პროდუქტის ეკონომიკურმა ღირებულებამ მისსავე „ხარჯი პლუს მარჟას“ შეიძლება გადააჭარბოს იმ შემთხვევაში, თუ ხარჯებთან არადაკავშირებული ისეთი სახის ფაქტორი იარსებებს, როგორიცაა მაგალითად, „დამატებითი ბენეფიტები, რომელიც არ აისახება მიწოდების ხარჯებში“. კერძოდ, განსახილველი პროდუქტის ეკონომიკური ღირებულების შეფასებისას განსაკუთრებით გასათვალისწინებელია *მოთხოვნის მხარეს* არსებული ასპექტები, რამეთუ მომხმარებლები ხშირად თანახმა არიან გადაიხადონ მეტი იმ პროდუქტსა თუ მომსახურებაში, რომელიც მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით ღირებულად მიაჩნიათ. აღნიშნული სპეციფიკური მახასიათებელი აუცილებლად არ გამოიხატება მიმწოდებლის მაღალ დანახარჯებში, თუმცა მიუხედავად ამისა, სწორედ ამ თავისებურების გათვალისწინებით, განსახილველი მომსახურება/პროდუქტი ღირებულია როგორც მომხმარებლისთვის, აგრეთვე მიმწოდებლისთვისაც, რაც ზრდის პროდუქტის ეკონომიკურ ღირებულებას.¹⁰⁴ შესაბამისად, პოზიტიური სხვაობა ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ფასი არასამართლიანია, თუ ამ სხვაობას გონივრული კავშირი გააჩნია მომსახურების/პროდუქტის ეკონომიკურ ღირებულებასთან. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული სხვაობა ექვემდებარება გონივრულ ახსნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მედიკამენტის ფასის თავისთავად არასამართლიანად მაღალი ბუნების შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობას:

- მედიკამენტების ბუნება

უპირველეს ყოვლისა, მოკვლევის ფარგლებში განსახილველი მედიკამენტების კუთხით აღსანიშნავია, რომ პროდუქტები მოძველებულია (1) და მედიკამენტების პატენტებს

¹⁰⁴ *Commission Decision Scandlines v Port of Helsingborg* COMP/36.568 (“Scandlines”), პარაგრაფები 226-227.

ვადა აქვს გასული (2). განსახილველი მედიკამენტები წარმოადგენენ ე.წ. გენერიკებს.¹⁰⁵ შესაბამისად, როგორც ბრენდირებული, აგრეთვე გენერიკული პრეპარატები, რომელთა პატენტსაც ვადა აქვთ გასული, არ იმყოფებიან ინტელექტუალური საკუთრების დაცვის რეჟიმის ქვეშ და მათ ახასიათებთ საერთო თავისებურება - კონკურენტულ ბაზრებზე, როგორც წესი, მათი ღირებულება კლებულობს (იმის გათვალისწინებით, რომ ისინი არ არიან დაცულნი ექსკლუზიურობის უფლებით).¹⁰⁶ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც მედიკამენტების პატენტს ვადა დიდი ხანია გასული აქვთ (როგორც მოცემულ საქმეზეც გამოვლინდა), ამ კუთხით არ არსებობს ისეთი ფაქტორი, რაც გაზრდიდა ფარმაცევტული პროდუქტების ეკონომიკურ ღირებულებას, თუნდაც ისინი პაციენტებისათვის სარგებლის მოტანას განაგრძობდნენ.

- ინოვაციის არარსებობა

მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდის განმავლობაში არ დგინდება მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ განსახილველი მედიკამენტების იმპორტისა და დისტრიბუციის მიმართულებით რაიმე ისეთი სახის სიახლის დანერგვის ფაქტი, რომელიც გაამართლებდა დადგენილი ჭარბი ფასნამატის ოდენობას. მოპასუხე ეკონომიკური აგენტები მოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში არ მიუთითებდნენ რაიმე ისეთი სახის გარემოებ(ებ)ის არსებობაზე განსახილველ მედიკამენტებთან დაკავშირებით, რაც ინოვაციური ხასიათის ცვლილების მაჩვენებელი იქნებოდა. ასეთის არსებობა არ გამოვლენილა არც სააგენტოს მხრიდან შესწავლის პროცესში. გარდა ზეპირსიტყვიერი ან/და წერილობითი მითითების არარსებობისა, მოპასუხე ეკონომიკურ აგენტებს, ცხადია, ასევე არ წარმოუდგენიათ ისეთი სახის მტკიცებულება/მტკიცებულებებიც, რომელიც/რომლებიც რაიმე სახით დაადასტურებდა ინოვაციის არსებობას. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტები წარმოდგენილნი არიან არა წარმოების, არამედ იმპორტისა და დისტრიბუციის დონეზე, რის გამოც მათ მიერ უშუალოდ მედიკამენტის მიმართ რაიმე ინოვაციის დანერგვა შეუძლებელი იქნებოდა.

- გაუმჯობესების არარსებობა

მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ მოკვლევისათვის რელევანტურ პერიოდში არ დგინდება მედიკამენტების იმპორტისა და დისტრიბუციის მიმართულებით რაიმე ისეთი სახის გაუმჯობესების ფაქტის არსებობა, რომელიც გაამართლებდა დადგენილ ჭარბ ფასნამატს. მოპასუხე ეკონომიკური აგენტები მოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში არ

¹⁰⁵ „გენერიკად“ ითვლება მედიკამენტი, რომელსაც აქტიური ნივთიერებების ისეთივე რაოდენობრივი/ხარისხობრივი შემადგენლობა (1) და ფარმაცევტული ფორმა (2) გააჩნია, როგორიც ორიგინალურ პროდუქტს და რომლის ბიოეკვივალენტურობაც რეფერენტულ სამედიცინო მედიკამენტთან მიმართებით დემონსტრირებულია. ორიგინალურ მედიკამენტად ითვლება პროდუქტი, რომელიც ახალია ან/და ინოვატორულია (ახალი აქტიური ნივთიერებით) და მისი ბაზარზე დაშვების ეტაპზევე საპატენტო დაცვის ქვეშ იმყოფება.

¹⁰⁶ *Aspen*, პარაგრაფი 129.

მიუთითებდნენ რაიმე ისეთი სახის გარემოების/გარემოებების არსებობაზე განსახილველ მედიკამენტებთან დაკავშირებით, რაც ამ უკანასკნელის გაუმჯობესებაზე მიანიშნებდა. გარდა ზეპირსიტყვიერი ან/და წერილობითი მითითების არარსებობისა, მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მხრიდან ასევე არ არის წარმოდგენილი ისეთი სახის მტკიცებულება/მტკიცებულებები, რომელიც/რომლებიც რაიმე სახით დაადასტურებდა განსახილველი პერიოდის განმავლობაში მედიკამენტის გაუმჯობესების ფაქტს.

- **ინვესტიციის არარსებობა**

მოკვლევისათვის რელევანტურ პერიოდში მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან არ დგინდება მედიკამენტების მიმართ რაიმე ისეთი სახის ინვესტირების ფაქტი, რომელიც გაამართლებდა ფასნამატის ჭარბ ხასიათს. მოპასუხე ეკონომიკური აგენტები მოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში არ ადასტურებდნენ ისეთი გარემოების/გარემოებების არსებობას მედიკამენტებთან დაკავშირებით, რაც მათ მიმართ ინვესტიციის განხორციელებაზე მიუთითებდა. მსგავსის არსებობა არ გამოიკვეთა არც სააგენტოს მხრიდან მონაცემთა დამუშავების პროცესში. გარდა ზეპირსიტყვიერი ან/და წერილობითი მითითებების არარსებობისა, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ ასევე არ არის წარმოდგენილი ისეთი სახის მტკიცებულება/მტკიცებულებები, რომელიც/რომლებიც რაიმე სახით დაადასტურებდა განსახილველი პერიოდის განმავლობაში მედიკამენტის მიმართ ინვესტიციის განხორციელების ფაქტს. ამასთან, ვინაიდან, მოპასუხე ეკონომიკური აგენტები წარმოდგენილნი არიან იმპორტისა და დისტრიბუციის დონეზე და ისინი არ არიან მედიკამენტის ან მისთვის საჭირო აქტიური ნივთიერების მწარმოებლები, შეუძლებელია მათ ჰქონდეთ გაწეული ისეთი ხარჯები, როგორიცაა R&D (ბაზრის კვლევისა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები). შესაბამისად, მათ შემთხვევაში ამგვარი ინვესტირების შემთხვევის არსებობა უბრალოდ შეუძლებელი იყო.

- **განსაკუთრებული კომერციული ხასიათის რისკის არარსებობა**

მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდის განმავლობაში განსახილველი მედიკამენტების მიმართ მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან ასევე არ დგინდება რაიმე ისეთი განსაკუთრებული სახის კომერციული ხასიათის რისკის არსებობის ფაქტი, რომელიც გაამართლებდა დადგენილ ფასნამატს. მოპასუხე ეკონომიკური აგენტები მოკვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში არ უთითებდნენ რაიმე ისეთი სახის გარემოების/გარემოებების არსებობაზე მედიკამენტებთან დაკავშირებით, რაც ამ უკანასკნელის მიმართ განსაკუთრებული კომერციული ხასიათის რისკის აღებაზე მიუთითებდა. გარდა ზეპირსიტყვიერი ან/და წერილობითი მითითებების არარსებობისა, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ ასევე არ არის წარმოდგენილი ისეთი სახის მტკიცებულება/მტკიცებულებები, რომელიც/რომლებიც რაიმე სახით დაადასტურებდა განსახილველი პერიოდის განმავლობაში მედიკამენტის მიმართ განსაკუთრებული კომერციული ხასიათის რისკის საკუთარ თავზე აღების ფაქტს.

- რეგულატორული წნეხის არარსებობა

სააგენტო ადასტურებს, რომ მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდის განმავლობაში (2021-2023 წლები) საქართველოში არ არსებობდა ისეთი სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც უშუალოდ განსახილველ მედიკამენტებთან მიმართებით იქნებოდა მოწესრიგებული სარეალიზაციო ფასები (საბითუმო თუ საცალო დონეზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, 2021-2023 წლები განსახილველი მედიკამენტების ნაწილში სარეალიზაციო ფასის (როგორც საბითუმო, ასევე საცალო სარეალიზაციო ფასების) ზღვრული მაქსიმალური ოდენობის საკითხი ქართული კანონმდებლობის თანახმად დერეგულირებული იყო, რაც დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მიერ ამავე მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის დამატებით პირობას ქმნიდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოსაყენებელი ტესტის მე-2 საფეხურის პირველი ალტერნატივის ნაწილში არ გამოიკვეთა ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც გაამართლებდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ მოკვლევისათვის რელევანტური პერიოდის განმავლობაში ჭარბი ფასების დადგენას. ამასთანავე, სააგენტო კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიუთითებს, რომ ზემოჩამოთვლილი გარემოებები საერთო და დამახასიათებელია ტესტის ამ საფეხურზე განსახილველი ყველა მედიკამენტისათვის, რის გამოც არცერთი მათგანის ნაწილში არ დადასტურდა ჭარბი ფასის დაწესების გამამართლებელი გარემოების არსებობა.

6.2. ფასის არასამართლიანად მაღალი ხასიათი კონკურენტ პროდუქტთან შედარებით

ტესტის მე-2 საფეხურის პირველი ალტერნატივის ფარგლებში განსახილველი ფასების თავისთავად არასამართლიანად მაღალი ხასიათის დადასტურების შემდგომ, სააგენტო დამატებით იმსჯელებს იმაზეც, არის თუ არა ეს ფასები ასევე არასამართლიანად მაღალი კონკურენტ პროდუქტებთან შედარებით. სააგენტო კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტესტის მე-2 საფეხური წარმოდგენილია ორი ალტერნატივის სახით, რაც გულისხმობს იმას, რომ კანონდარღვევის საბოლოოდ დადასტურებისათვის საკმარისია ნებისმიერი ერთ-ერთი პირობის არსებობა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ალტერნატივის ფარგლებში გარკვეულ მედიკამენტებთან მიმართებით უკვე დადასტურდა ფასების თავისთავად არასამართლიანად მაღალი ხასიათი, სააგენტო მაინც იმსჯელებს მათ არასამართლიან ბუნებაზე კონკურენტ პროდუქტებთან შედარებითაც. ამისათვის სააგენტოს მიერ ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, იდენტიფიცირებულია რამდენიმე მეთოდი,¹⁰⁷ რომელთა მეშვეობითაც

¹⁰⁷ Hou L., Excessive Prices within EU Competition Law, European Competition Journal, Vol. 7, No. 1, 2011, 26-27.

შესაძლებელი იქნება ტესტის მე-2 საფეხურის მე-2 ალტერნატივის გამოკვლევა და შემდგომ შეფასება.

1) პირველი ასეთი მეთოდი შეიძლება იყოს იმავე შესაბამის ბაზარზე დომინანტი ეკონომიკური აგენტის კონკურენტების მიერ დადგენილი ფასების შედარება მოპასუხე კომპანიის მიერ დადგენილ სადავო ფასებთან

იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ შემთხვევაში ტესტის მეორე საფეხურზე ფასდება 7 მედიკამენტზე დაწესებული ფასები, რომლებიც სხვადასხვა შესაბამის ბაზარს განეკუთვნებიან, სააგენტო თითოეულ შემთხვევას ცალკე შეაფასებს.

როგორც წინამდებარე გადაწყვეტილების 3.1. ქვეთავშია აღნიშნული, მედიკამენტი ოფლავ-ოზი და ფლოქსაზოლი ერთსა და იმავე ბაზარზე არიან წარმოდგენილნი, ისინი შეიცავენ აქტიურ ნივთიერებას - ofloxacin and ornidazole (კომბინირებული მედიკამენტი). 2021 წლისათვის აღნიშნულ ბაზარზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი მედიკამენტი - ფლოქსაზოლი, რის გამოც შეუძლებელია მისი ფასის რომელიმე სხვა პროდუქტის ღირებულებასთან შედარება - ამ პერიოდისათვის ბაზარზე მისი კონკურენტი პროდუქტი არ არსებობდა. რაც შეეხება 2022-2023 წლებს, ამ პერიოდში ბაზარზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი მედიკამენტი - ფლოქსაზოლი და ოფლავ-ოზი. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ განსახილველი მოკვლევის ფარგლებში ორივე ამ მედიკამენტის ფასს სწავლობს სააგენტო და, მათ შორის, უკვე დადგინდა, რომ ორივე მათგანზე დაწესებული ფასი თავისთავად არასამართლიანად მაღალ ხასიათს ატარებდა, ბუნებრივია, მათი ფასების შედარება არ იქნება გონივრული და ტესტის მე-2 საფეხურის მე-2 ალტერნატივის ნაწილში შესაფასებელი საკითხისათვის არარელევანტური იქნება ამ ორი მედიკამენტის ფასების შედარება.

რაც შეეხება მედიკამენტ იორილი-10-ს, როგორც შესაბამის ბაზარზე საბაზრო წილების განსაზღვრის შედეგად დადგინდა, ამ მედიკამენტს 2022-2023 წლებში (შესასწავლ პერიოდზე სრულად) შესაბამის ბაზარზე 100%-იანი წილი ეკავა და, შესაბამისად, მას არ ჰყავდა კონკურენტი, რომლის ფასების შედარებაც მოხდებოდა ამ მეთოდის მეშვეობით. ამდენად, ცალსახაა, რომ ამ შემთხვევაშიც შეუძლებელია ამ მეთოდის გამოყენება.

ანალოგიური მდგომარეობაა პრეპარატ ჰაიზინის ნაწილშიც, ვინაიდან, ეს მედიკამენტიც შესაბამის ბაზარზე 2022-2023 წლებში იკავებდა 100%-ს. შესაბამისად, შპს „გლობალ ცბს“ წარმოადგენდა ამ ბაზარზე მოქმედ ერთადერთ ეკონომიკურ აგენტს და მას არ ჰყავდა კონკურენტი, რომლის მიერ დადგენილი ფასებიც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო გონივრულ შესადარად. აქედან გამომდინარე, ამ მედიკამენტის ნაწილშიც შეუძლებელია ამ მეთოდის გამოყენება.

რაც შეეხება, შპს „რიჩ გრუპის“ მიერ იმპორტირებულ მედიკამენტ ზინასენს, ეს პრეპარატი 2022 წლისათვის შესაბამისი ბაზრის 100%-ს იკავებდა, ხოლო 2023 წლისათვის მისი საბაზრო წილი შემცირდა 98.4%-მდე. ცხადია, 2022 წლის მონაცემებით ზინასენის ფასების შედარება კონკურენტ პროდუქტთან შეუძლებელია იმ მარტივი მიზეზის, გამო რომ ამ პერიოდისათვის მას არ ჰყავს კონკურენტი და წარმოადგენს ერთადერთ პროდუქტს შესაბამის ბაზარზე. რაც შეეხება 2023 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ბაზარზე გამოჩნდა მეორე მედიკამენტიც სიბელიუმის სახით, მისი საბაზრო წილი იმდენად უმნიშვნელოა და კვლავ იმდენად მაღალი მაჩვენებელი აქვს ზინასენს, რომ სააგენტოს შეფასებით სიბელიუმის ფასის გამოყენება ვერ მოხდებოდა გონივრულ შესადარად.

2021-2023 წლებში მედიკამენტ ბისეპტოლთან ერთად იმავე შესაბამის ბაზარზე ხელმისაწვდომი იყო რამდენიმე სხვა ფარმაცევტული პროდუქტიც, თუმცა ამ შემთხვევაშიც განსახილველი მედიკამენტის მაღალი საბაზრო წილიდან გამომდინარე, სააგენტოს მოსაზრებით, არ იქნებოდა გონივრული ამავე ბაზარზე წარმოდგენილი მცირე საბაზრო წილის მქონე პრეპარატების ფასებთან ბისეპტოლის (120 მგ. და 480 მგ.) ფასების შედარება. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბაზარზე წარმოდგენილი მედიკამენტები განსხვავებული დოზებით იყო ხელმისაწვდომი, რასთან დაკავშირებითაც სააგენტო მიიჩნევს, რომ მათი არსებითად განსხვავებული ფასწარმოქმნის გამო არ იქნებოდა გონივრული ამ მეთოდის ფარგლებში მათი შესადარად გამოყენება. ამდენად, ამ მედიკამენტის ნაწილშიც სააგენტომ მიიჩნია, რომ განსახილველი მეთოდისათვის ბისეპტოლის შესაბამის ბაზარზე წარმოდგენილი სხვა პრეპარატების ფასები არ იქნებოდა გონივრული შესადარი.

2) სადავო ფასის შედარება დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ იმავე შესაბამის ბაზარზე სხვა პროდუქტისათვის დადგენილ ფასთან

მოცემული მოკვლევის ფარგლებში სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას აღნიშნული მეთოდი გამოიყენოს მედიკამენტ ზინასენთან, ფლოქსაზოლთან, ოფლაბ-ოზთან, ჰაიზინთან და იორილ-10-თან მიმართებით, რადგან სააგენტოს მიერ განსაზღვრული და შესწავლილი შესაბამისი ბაზრების ანალიზიდან ცალსახად იკვეთება, რომ ზემოაღნიშნული პრეპარატების ნაწილში არცერთი მოპასუხე ეკონომიკური აგენტის შემთხვევაში არ ფიქსირდება ერთსა და იმავე შესაბამის ბაზარზე ორი პროდუქტით ოპერირების ფაქტი, რაც შესაძლებელს გახდიდა ურთიერთთანაცვლებადი პროდუქტების ფასები შედარებულიყო. რაც შეეხება მედიკამენტ ბისეპტოლს, როგორც უკვე მრავალჯერ აღინიშნა, შპს „გეა“ შესაბამის ბაზარზე წარმოდგენილი იყო ერთი და იმავე სავაჭრო დასახელების მქონე, თუმცა სხვადასხვა დოზირების მედიკამენტით - 120 მგ.-იანი და 480 მგ.-იანი ბისეპტოლი. სააგენტო ამ შემთხვევასთან მიმართებით უთითებს, რომ სხვადასხვა დოზირების (სიძლიერის) მქონე მედიკამენტის ღირებულება და ფასწარმოქმნა, მათ შორის ხარჯების სტრუქტურა, იმდენად განსხვავებულია, რომ სააგენტომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად ამ ორი პრეპარატის ფასების შედარება. სააგენტოს შეფასებით, 4-ჯერ დიდი სიძლიერის მქონე, თუნდაც იმავე სავაჭრო

დასახელების მედიკამენტის ფასი არ უნდა იქნას მიჩნეული გონივრულ შესადარად. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ორი პროდუქტის ფასების შედარება არარელევანტური იქნებოდა კიდევ ერთი მარტივი მიზეზის გამო - განსახილველი მოკვლევის ფარგლებში სააგენტო ორივე მათგანის ფასს სწავლობს და ტესტის პირველი საფეხურისა და მეორე საფეხურის პირველ ალტერნატივაზე დაყრდნობით უკვე დადგინდა, რომ ორივე მათგანზე დაწესებული ფასი თავისთავად არასამართლიანად მაღალ ხასიათს ატარებდა. ამდენად, სააგენტოს შეფასებით, ამგვარი მეთოდის გამოყენება განსახილველ შემთხვევაში შეუძლებელია.

3) სადავო ფასის შედარება დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ შესაბამისი ბაზრისგან განსხვავებული გეოგრაფიული საზღვრის მქონე ბაზარზე იმავე პროდუქტისათვის დადგენილ ფასთან

სააგენტო აღნიშნავს, რომ განსახილველი მოკვლევის ფარგლებში ის მოკლებულია შესაძლებლობას აღნიშნული მეთოდი გამოიყენოს, ვინაიდან სააგენტოს მიერ შესაბამისი ბაზრების გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულია ეროვნული დონე - საქართველოს ტერიტორია, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში სააგენტოს განსახილველ პრეპარატებზე დადგენილი სადავო ფასები უნდა შეედარებინა იმავე პროდუქტებისათვის სხვა ქვეყნებში დადგენილი ფასებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაც, სააგენტოს მოსაზრებით, განსახილველი საქმისათვის რელევანტური რიგი გარემოებების გათვალისწინებით არ იქნებოდა გონივრული შესადარი. ამასთანავე, მოკვლევის განმავლობაში, გარდა მედიკამენტ ბისეპტოლისა (120 მგ. და 480 მგ.) არ დადგინდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მხრიდან ანალოგიური პროდუქტებით ოპერირების ფაქტი შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრისგან განსხვავებულ გეოგრაფიულ საზღვრებში.

4) შესასწავლი ფასების შედარება სხვა შესაბამის ბაზრებზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების მიერ მსგავს პროდუქტზე დადგენილ ფასებთან

წინამდებარე მეთოდი დაფუძნებულია შედარებისათვის სხვა შესაბამის ბაზარზე არსებული „შესადარი“ პროდუქტის ფასების გამოყენებაზე. „შესადარი“ პროდუქტი არ უნდა იქნას გაიგივებული „იმავე“ პროდუქტთან, რამდენადაც იგი არ არის აუცილებელი სადავო ფასის მქონე პროდუქტის შესაბამის ბაზარზე იყოს წარმოდგენილი. აღნიშნული მეთოდის გამოსაყენებლად აუცილებელია, რომ პროდუქტებს ჰქონდეთ მსგავსი ფასწარმოქმნა, რის გამოც ეს მეთოდი პრაქტიკაში ნაკლებად გამოყენებადია, ვინაიდან, პროდუქტის ფასს ბევრი სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, მოთხოვნა-მიწოდების პირობები კი სხვადასხვა ბაზარზე მეტად სავარაუდოა, რომ განსხვავებული იყოს. ამასთან, მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტების თანახმად, შესადარი პროდუქტები კონკურენტული ბაზრებიდან უნდა იქნას

არჩეული.¹⁰⁸ შესაბამისად, მონოპოლიურ ან რეგულირებულ ბაზრებზე წარმოდგენილი პროდუქტები ამ მეთოდის ფარგლებში შესადარ პროდუქტად არ უნდა განიხილებოდეს. ჰელსინბორგის პორტის საქმეზე კომისიამ განმარტა, რომ ამ მეთოდის ფარგლებში ფასების გონივრული შედარება უნდა მოიაზრებდეს იმას, რომ პროდუქტები უნდა იყოს შესადარი და მათზე გასაწევი ხარჯების სტრუქტურა უნდა იძლეოდეს გონივრული შედარების შესაძლებლობას.¹⁰⁹ იმაზე მსჯელობისას, პროდუქტები შესადარია თუ არა კრიტერიუმად არ უნდა იქნას გამოყენებული პროდუქტთა მსგავსი ან იდენტური დასახელება, ვინაიდან, მნიშვნელოვანია არა დასახელებათა მსგავსება, არამედ მათი მახასიათებლების ერთგვაროვნება. ამდენად, შედარებისას გასათვალისწინებელია შესადარ პროდუქტთა ტიპი, მასშტაბი და ხარისხი.¹¹⁰ აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი და შესადარი იყოს ამ პროდუქტთა ხარჯების სტრუქტურაც, ვინაიდან ხარჯებს შორის არსებული ნებისმიერი განსხვავება სხვადასხვა ფასწარმოქმნის განმაპირობებელი იქნება. ხარჯების კუთხით, განსაკუთრებით საყურადღებოა პირდაპირი საოპერაციო (როგორცაა შრომის ანაზღაურებისა და იჯარის ხარჯები, ე.წ. capital costs და სხვა), ამორტიზაციისა და ინვესტიციებზე გაწეული ხარჯების სტრუქტურის მსგავსება. ამდენად, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება კონკურენციის უწყებამ გამოიყენოს ეს მეთოდი, თუკი გამოიკვეთება, რომ შესადარებელი პროდუქტი არის შესადარი როგორც მახასიათებლების, ასევე ხარჯების სტრუქტურის მიხედვით. დამატებით აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული ასევე ეკონომიკურ აგენტთა საფასო პოლიტიკა და მისი განსაზღვრის პრინციპებიც, რათა პროდუქტები გამოსადეგი იყოს შესადარებლად.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სააგენტომ მიიჩნია, რომ ამ მეთოდის გამოყენება ასევე შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან, სააგენტოს მიერ ვერ იქნა შერჩეული ისეთი შესადარი პროდუქტი, რომლის ფასებიც ამ მეთოდის არსიდან გამომდინარე გამოსადეგი იქნებოდა სადავო ფასებთან შესადარებლად. შესაბამისად, სააგენტომ მიიჩნია, რომ ამ მეთოდის ფარგლებში ვერ მოხდა ისეთი კონკრეტული შესადარი პროდუქტის ამორჩევა, რომელიც მე-2 საფეხურის მე-2 ალტერნატივის მიზნებისათვის სწორ სურათს მოგვცემდა და ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდა ამ მეთოდის გამოყენებაც.

5) სადავო ფასის შედარება დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ სხვა ისეთ პროდუქტზე დადგენილ ფასთან, რომელიც სხვა ბაზარზეა წარმოდგენილი, თუმცა განსახილველ პროდუქტთანაა დაკავშირებული

ამ მეთოდის ფარგლებში სადავო ფასები შესაძლოა შედარებულ იქნას მოპასუხე ეკონომიკური აგენტის ასორტიმენტში შემავალი ისეთი პროდუქტის ფასებთან, რომელიც არ არის წარმოდგენილი იმავე შესაბამის ბაზარზე, თუმცა დაკავშირებულია სადავო

¹⁰⁸ Corrine Bodson, supra n 23, პარაგრაფი 31.

¹⁰⁹ Scandlines, supra n 36, პარაგრაფი 175.

¹¹⁰ Scippacercola, supra n 45, პარაგრაფები 66 და 84.

პროდუქტთან. იმისათვის, რომ დაკავშირებული პროდუქტის ფასი გამოყენებადი იყოს შედარებისათვის, იგი მიჩნეულ უნდა იქნას გონივრულ შესადარად. შესაბამისად, ამ მეთოდის ფარგლებში შესადარად მიჩნეული დაკავშირებული პროდუქტი უნდა ავლენდეს იმგვარ მსგავსებებს და მათ შორის, ხარჯების თვალსაზრისით იმგვარი გადაკვეთა უნდა ჰქონდეს სადავო ფასის მქონე პროდუქტთან, რომ შესაძლებელი იყოს მის ფასებთან შედარებით რელევანტური შედეგის მიღება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტო აღნიშნავს, რომ მოცემული მოკვლევის ფარგლებში ის მოკლებულია შესაძლებლობას აღნიშნული მეთოდი გამოიყენოს, რადგან მოკვლევის განმავლობაში ვერ იქნა შერჩეული იმგვარი შესადარი დაკავშირებული პროდუქტი, რომელიც მართალია შესაბამისი ბაზრისგან განსხვავებულ ბაზარზე იქნებოდა მომხმარებლებისათვის შეთავაზებული, მაგრამ ასევე დაკავშირებული იქნებოდა გამოსაკვლევ მედიკამენტებთან და მისი ფასწარმოქმნის სტრუქტურა გამოსადეგი იქნებოდა ფასების შესადარებლად.

6) სადავო ფასების შედარება დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ შესასწავლ მედიკამენტებთან დაკავშირებით წარსულ პერიოდზე დადგენილ ფასებთან

აღნიშნული მეთოდი შესაძლოა ფასის სიჭარბის ყველაზე კარგი მანიშნებელი იყოს, ვინაიდან, ფასის ზრდა, ზოგადად, თანხვედრაში უნდა იყოს ხარჯების ზრდასთან. ამდენად, თუკი დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ფასის ზრდა არ არის ხარჯის ზრდის პროპორციული, ივარაუდება, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მისი მხრიდან ჭარბი ფასების დაწესებას. თუმცა, როგორც მისი აღწერიდანვე ცალსახად იკვეთება, აღნიშნული მეთოდი გამოსადეგია იმ შემთხვევებისათვის, როდესაც კონკურენციის უწყება სწავლობს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მხრიდან ფასების ზრდის საკითხს. განსახილველ შემთხვევაში კი მედიკამენტ ზინასენის, ოფლაბ-ოზის, ჰაიზინისა და იორილ-10-ის ნაწილში ეკონომიკური აგენტების მხრიდან ფასების ცვლილება არ ფიქსირდება, შესასწავლ პერიოდზე სრულად ოთხივე მედიკამენტის შემთხვევაში ფასები საწყის ნიშნულზე ნარჩუნდება. სააგენტოს მიერ შესასწავლი მონაცემებით დგინდება, რომ მედიკამენტი ზინასენი 2022 წლამდე არ იყო საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილი, იგი პირველად შემოიტანეს 2022 წელს და შესაბამისად, სააგენტო სწავლობს მასზე ამ დროს დადგენილ ფასს, რომელიც არც 2023 წელს შეცვლილა. ანალოგიური მდგომარეობაა მედიკამენტ ოფლაბ-ოზის შემთხვევაშიც. რაც შეეხება ჰაიზინსა და იორილ-10-ს, მათი იმპორტი სხვადასხვა პერიოდულობით ხორციელდებოდა 2022 წლამდეც, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ 2021 წლიდან მოყოლებული ამ მედიკამენტებზე ფასი არ შეცვლილა, არც ამ შემთხვევაშია რელევანტური ფასის ზრდის საკითხი შესწავლის პერიოდისათვის. ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო კი, სააგენტოს მიაჩნია, რომ ამ მედიკამენტების შემთხვევაში წინამდებარე მეთოდის გამოყენება არ არის გამოსადეგი, ვინაიდან, შესწავლის საგანი არ არის ფასის გაუმართლებელი ზრდა და წლების განმავლობაში ეკონომიკური აგენტის ხარჯებისა და ფასების ცვალებადობის დინამიკის შესწავლაც არარელევანტურია.

რაც შეეხება მედიკამენტ ფლოქსაზოლს, ზემოჩამოთვლილი ოთხი მედიკამენტისგან განსხვავებით, მის ნაწილში 2022 წლის ოქტომბრის თვიდან ფიქსირდება სადისტრიბუციო ფასის ზრდა. შესაბამისად, ამ ნაწილში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას წარსულ პერიოდზე დადგენილ ფასებთან შედარების მეთოდი. თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის მიერ 2022 წლის ოქტომბერში გაზრდილი ფასისა და შესაბამისი ხარჯების შედარება შესაძლებელია მხოლოდ 2021 წლის მონაცემებთან, ვინაიდან, 2021 წლამდე კომპანიას ქვეყანაში ამ პრეპარატის იმპორტი არ უფიქსირდება.¹¹¹ მედიკამენტთან დაკავშირებული ხარჯებისა და დადგენილი ფასების შესახებ 2021 და 2022 წლების მონაცემების შედარებითი ანალიზიდან კი ვლინდება, რომ 2022 წელს შპს „კონცეპტ ფარმას“ ნაერთი ხარჯი 2021 წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით არათუ გაზრდილია, არამედ შემცირებულია 8.2%-ით, ამის ფონზე კი კომპანიის მიერ მედიკამენტ ფლოქსაზოლზე დადგენილმა სადისტრიბუციო ფასმა მოიმატა 17.63%-ით. შესაბამისად, აღნიშნული მეთოდის გამოყენებით დგინდება, რომ შპს „კონცეპტ ფარმას“ მიერ ფასის ამგვარი ზრდა არ არის განპირობებული და გამართლებული ხარჯების ზრდით და შეუსაბამოა მის ცვლილებასთან. რაც შეეხება ამავე მედიკამენტზე 2023 წლისათვის დაწესებულ ფასს, იმის გამო, რომ იგი ემთხვევა 2022 წლის ოქტომბერში გაზრდილ ფასს, არ მომხდარა მისი შემდგომი ზრდა ან სხვაგვარი ცვლილება, სააგენტოს მოსაზრებით, ამ ნაწილში ასევე შეუძლებელია წინამდებარე მეთოდის გამოყენება.

მედიკამენტ ბისეპტოლის ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური აგენტის მხრიდან ფასის ზრდა უშუალოდ არ წარმოადგენს მოკვლევის საგანს და სააგენტო სწავლობს 2021-2023 წლებში დაფიქსირებული ფასების სიჭარბეს განცალკევებულად, იმის გათვალისწინებით, რომ ფასის მცირედი ზრდა როგორც 120 მილიგრამიანი, ასევე 480 მილიგრამიანი ბისეპტოლის ნაწილში ფიქსირდება ერთ წელზე - 2022 წელს, სააგენტო ამ მეთოდის ფარგლებში დააკვირდება ფასის ზრდა განპირობებული იყო თუ არა ხარჯების ზრდით.

120 მილიგრამიანი ბისეპტოლის შემთხვევაში, მედიკამენტის ფასი 2022 წელს 2.27%-ით - ლარიდან ლარამდე გაიზარდა. ხარჯი კი წინა წლის მონაცემებთან შედარებით, კომპანიას არათუ გაეზარდა, არამედ შემცირდა 2.89%-ით. ამდენად, შპს „გეას“ მიერ ფასის ზრდა არ უნდა ყოფილიყო განპირობებული და გამართლებული ხარჯების ზრდით და შეუსაბამო აღმოჩნდა მის ცვლილებასთან. ამასთანავე, სააგენტო მიუთითებს იმაზეც, რომ 120 მგ. ბისეპტოლზე 2021 წელს დადგენილი ფასი თავად წარმოადგენდა შესწავლის საგანს და შედეგად, მოკვლევის ფარგლებში იგი მიჩნეულ იქნა კიდევ ჭარბად. მაშასადამე, ფასის დამატებითი ზრდა ხარჯის შემცირების ფონზე განსახილველი მეთოდის ფარგლებში ნამდვილად ვერ შეფასდება გამართლებულად.

¹¹¹ ფარმაცევტული პროდუქტების იმპორტის შესახებ საჯარო ინფორმაცია იხ. <<https://pharmacy.moh.gov.ge/Pages/Products.aspx>> [04.06.2025].

რაც შეეხება 480 მილიგრამიან ბისეპტოლს, ამ ნაწილშიც ანალოგიური ვითარებაა - კერძოდ, სააგენტოს შესწავლის საგანს უშუალოდ ფასის ზრდა არ წარმოადგენს, თუმცა განსახილველი მეთოდის ფარგლებში, რადგანაც ამ მედიკამენტზე 2022 წელს ფასის მატება დაფიქსირდა, სააგენტო შეაფასებს რამდენად იყო გამოწვეული ამგვარი ზრდა ხარჯების ზრდით. 2022 წელს 480 მილიგრამიანი ბისეპტოლის ფასი 2021 წელთან შედარებით გაიზარდა 1.1%-ით - ლარიდან ლარამდე, რის ფონზეც ამავე პერიოდზე კომპანიას უფიქსირდება ხარჯების შემცირება. უფრო ზუსტად, ფასის ზრდის ფონზე ეკონომიკური აგენტის მიერ ამავე მედიკამენტზე გაწეული ხარჯი - 19.09%-ით შემცირდა. ამდენად, 480 მილიგრამიანი ბისეპტოლის შემთხვევაშიც არ დგინდება, რომ შპს „გეას“ მიერ ფასის ამგვარი ზრდა განპირობებული და გამართლებული იყო ხარჯების ზრდით და ამდენად, შეუსაბამო აღმოჩნდა მის ცვლილებასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტესტის მე-2 საფეხურის მე-2 ალტერნატივის ფარგლებში მედიკამენტების: ოფლაბ-ოზის, იორილი-10-ის, ჰაიზინისა და ზინასენის ნაწილში, ასევე პრეპარატ ფლოქსაზოლის ნაწილში 2023 წლისათვის, ხოლო 120 მგ.-იანი და 480 მგ.-იანი ბისეპტოლის შემთხვევაში 2021 და 2023 წლებისათვის დადგენილი ფასების ნაწილში ვერცერთი მეთოდი ვერ იქნა გამოყენებული იმის დასადგენად, იყო თუ არა შესასწავლი ფასები თავისთავად არასამართლიანთან ერთად კონკურენტ პროდუქტთან შედარებით არასამართლიანად მაღალიც. ამ შემთხვევებისათვის, შეფასების შედეგად, ვერცერთი ზემოთ მითითებული მეთოდი ვერ იქნა მიჩნეული გონივრულ შესადარად. ამდენად, მე-2 ალტერნატივის ფარგლებში არ არსებობდა სადავო ფასებისათვის გონივრული შესადარი და, მაშასადამე სააგენტო ამ მედიკამენტების შემთხვევაში დაეყრდნობა მხოლოდ ტესტის მე-2 საფეხურის პირველი ალტერნატივის ფარგლებში მიღებულ შედეგებს. რაც შეეხება მედიკამენტ ფლოქსაზოლზე 2022 წლის ოქტომბრის თვიდან ფასის ზრდას - როგორც აღინიშნა, ამ პრეპარატის შემთხვევაში სააგენტომ მიიჩნია, რომ შესაძლებელი იყო სადავო ფასისა და დომინანტი ეკონომიკური აგენტის მიერ შესასწავლ მედიკამენტებთან დაკავშირებით წარსულ პერიოდზე დადგენილი ფასის შედარების მეთოდის გამოყენება. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, 2022 წლის მონაცემების წინა, ანუ 2021 წლის მონაცემებთან შედარებით კი დადგინდა, რომ შპს „კონცეპტ ფარმას“ მიერ მედიკამენტ ფლოქსაზოლზე დადგენილი ფასის ზრდა არ იყო განპირობებული ხარჯების ზრდით, იყო შეუსაბამო ხარჯის ცვლილებასთან და შესაბამისად, იყო გაუმართლებელი, რაც თავის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ მედიკამენტ ფლოქსაზოლის ნაწილში 2022 წლის ოქტომბრის თვეში გაზრდილი ფასი თავისთავად არასამართლიანთან ერთად იყო არასამართლიანი კონკურენტ პროდუქტთან შედარებითაც, ანუ იგი არასამართლიანად იქნა მიჩნეული მე-2 საფეხურის ორივე ალტერნატივის ფარგლებში. სააგენტოს მიერ გამართლებულად არ იქნა მიჩნეული არც შპს „გეას“ მხრიდან 2022 წლისათვის ფასის ზრდა 120 მგ.-იან და 480 მგ.-იან ბისეპტოლზე.

თავი VII. მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებული და შემაჯამებელ სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციები

გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით, მოსაზრებები და პოზიციები წარმოადგინა ოთხმა ეკონომიკურმა აგენტმა: შპს „კონცეპტ ფარმა“, შპს „გეა“, შპს „რიჩ გრუპი“ და შპს „გლობალ ცბს“.¹¹² წარმოდგენილ პოზიციებში ძირითად შემთხვევაში იდენტურ საკითხებზე იყო ხაზი გასმული, შესაბამისად სააგენტო მათ ერთობლივ კონტექსტში განიხილავს. რაც შეეხება განსხვავებულ პოზიციებს ან მხარეთა მიერ დაფიქსირებულ ისეთ საკითხებს, რომლებიც ინდივიდუალურია თითოეული სუბიექტისათვის, სააგენტო განიხილავს ინდივიდუალურ კონტექსტში. ამასთანავე, შემაჯამებელ სხდომაზე კომპანიების მიერ დაფიქსირებული პოზიციები ძირითად შემთხვევებში იმეორებდა გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილ წერილობით პოზიციებს, შესაბამისად, ეს საკითხები ერთობლიობაში იქნება განხილული.

საკითხი N1 - შესაბამისი ბაზარი:

მხარეთა პოზიცია - სააგენტოში წარმოდგენილ პოზიციებში ორ მხარეს მითითებული ჰქონდა, რომ ჩანაცვლებადობის განსაზღვრა უნდა მომხდარიყო მიმწოდებლის მხრიდან. ასევე, მათი მოსაზრებით, სააგენტომ არასწორად შეაფასა საკითხი მომხმარებლის შეზღუდული არჩევანის შესახებ, რადგან კანონმდებლობით გათვალისწინებული რეცეპტული მედიკამენტების მიმოქცევის წესი მხოლოდ ფურცელზე არსებობს და პრაქტიკაში არ სრულდება. ამავე მხარეებმა ასევე მიუთითეს, რომ კონკურენტული წნეხის თაობაზე სააგენტოს მსჯელობა დაუსაბუთებელია. შპს „გლობალ ცბს“-ს ასევე ყურადღება ჰქონდა გამახვილებული იმაზე, რომ მედიკამენტი ჰაიზინი არ წარმოადგენს ცალკე ბაზარს და იგი გამოიყენება არა მხოლოდ ბავშვებში, არამედ ზრდასრულებშიც, როგორც სხვა ATC5 დონეზე განსაზღვრულ შესაბამის ბაზარზე არსებული მედიკამენტები. ამასთან, იგი მედიკამენტ ოფლაბ-ოზის ნაწილში მიუთითებდა, რომ სააგენტოს არ ჰქონდა ნამსჯელი იყო თუ არა ჩამანაცვლებელი კომბინირებული მედიკამენტისათვის მისი შემადგენილი მოლეკულებიდან ცალკეულად ერთ-ერთი მათგანის შემცველი მედიკამენტები. შპს „რიჩ გრუპი“ ასევე უთითებდა, რომ ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის დადგენის პროცესში, სააგენტოს უნდა გამოეკვლია შემდეგი გარემოებები: 1. მიზეზები იმის თაობაზე, თუ რატომ არ შევიდნენ გამოსაკვლევი პერიოდის განმავლობაში ახალი სუბიექტები შესაბამის ბაზარზე; 2. არსებობდა თუ არა შესაბამის ბაზარზე შესვლის მაღალი ბარიერები - მაგალითად, განსაკუთრებული

¹¹² შპს „გეას“ მიერ წარმოდგენილი პოზიცია (სააგენტოში რეგ. N01/4316; 17.07.2025); შპს „რიჩ გრუპის“ მიერ წარმოდგენილი პოზიცია (სააგენტოში რეგ. N01/4232; 15.07.2025); შპს „გლობალ ცბს“-ს მიერ წარმოდგენილი პოზიცია (სააგენტოში რეგ. N01/4311; 17.07.2025); შპს „კონცეპტ ფარმას“ მიერ წარმოდგენილი პოზიცია (სააგენტოში რეგ. N01/3594; 16.06.2025).

კავშირები მწარმოებელთან, ექსკლუზიური ხელშეკრულებები, რეგულაციური ბარიერები; 3. 2022-2023 წლებში არსებობდა თუ არა სხვა შემცვლელი პრეპარატი, რომელიც რეალურად იძებნებოდა და მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი იყო.

სააგენტოს პოზიცია - სააგენტო არ ეთანხმება მხარეთა შეფასებას მიმწოდებლის მხრიდან ბაზრის განსაზღვრის საჭიროების თაობაზე და განმარტავს, რომ შესასწავლი ქმედების არსიდან გამომდინარე, მომხმარებლისა და მიმწოდებლის მხრიდან შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები რადიკალურად განსხვავებული იქნება. ამ კუთხით არსებითი და აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მიმწოდებლისათვის შეიძლება ჩანაცვლებადი იყოს ისეთი მედიკამენტები, რაც არცერთი პაციენტისათვის არ არის რეალურად მოხმარების კუთხით ჩანაცვლებადი და შეუძლებელი იყოს პაციენტისათვის მათი შეცვლა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ მიმწოდებლისათვის ჩანაცვლებადობის შეფასებისას რელევანტურია ისეთი საკითხები, როგორიცაა ეკონომიკური ფაქტორები (მათ შორის პროდუქტის ღირებულება), მიწოდების სპეციფიკა (მათ შორის ლოგისტიკური საკითხები), მწარმოებელთან ურთიერთობის სირთულეები, მოთხოვნა, ადმინისტრაციული და სხვა სახის საკითხები, რაც ისეთი სპეციფიკური პროდუქტის მომხმარებლისათვის, როგორც მედიკამენტია, სრულიად არარელევანტურია მათ შორის, თერაპიული თვალსაზრისით. შესაბამისად, სააგენტოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ფაქტორებზე გადიოდეს მედიკამენტების ჩანაცვლებადობის საკითხი. ამასთან, ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მიხედვით, მიწოდების მხრიდან ჩანაცვლებადობის შეფასების დროს მნიშვნელოვანი საკითხია მიმწოდებლის მხრიდან ერთი პროდუქტის წარმოებიდან / მიწოდებიდან მეორე პროდუქტის წარმოებაზე/მიწოდებაზე გადასვლის სიმარტივე - ბაზარზე არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით კი, მიმწოდებელს შეუძლია კონკრეტული განსახილველი პროდუქტის მიწოდებიდან გადაერთოს სრულიად განსხვავებულ პროდუქტზე, რომელიც საერთოდ არ არის კავშირში ამ პროდუქტთან თერაპიული თვალსაზრისით. ამდენად, სააგენტო ვერ დაეთანხმება მხარის მოსაზრებას.

მხარეები ასევე უთითებენ, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოთხოვნა-მიწოდების სპეციფიკური ჯაჭვიც. აღნიშნული სააგენტოს მსჯელობაში მნიშვნელოვანი ასპექტი იყო. სწორედ ბაზრისა და მიწოდების ჯაჭვის სტრუქტურის სპეციფიკის გათვალისწინებით მიიჩნია არარელევანტურად სააგენტომ მიმწოდებლის მხრიდან ჩანაცვლებადობის განსაზღვრა.

რაც შეეხება მხარეთა პოზიციას, რომ სააგენტოს მსჯელობა საკანონმდებლო ნორმებზე დაყრდნობით არ უნდა განვეითარებინა და „სააგენტოს მსჯელობა და დასკვნები მომხმარებლის არჩევანზე არის მხოლოდ თეორიაზე დაფუძნებული“, სააგენტო განმარტავს, რომ სააგენტოს მიერ მოხმობილი საკანონმდებლო აქტები აწესრიგებენ და ადგენენ ფარმაცევტულ სექტორში რეგულაციული წამლების მიმოქცევის წესს, შესაბამისად, ისინი ადგენენ იმ წესრიგსაც, რომელიც არის ქცევის ნორმა, ხოლო ამ ნორმიდან გადახვევა

დარღვევაა და არა ახალი ქცევის წესი. რა თქმა უნდა, სააგენტო მხედველობაში იღებს მართლწესრიგის დამდგენ ნორმებს, ეყრდნობა რა საკანონმდებლო რეგულაციებს და იყენებს მათ ანალიზის პროცესში, ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ქცევის წესს კანონი ადგენს და არა ბაზრის მოთამაშეთა ნება-სურვილი. თუკი რომელიმე სუბიექტი მართლაც გასცემს რეცეპტულ წამალს ურეცეპტოდ, ეს არის კანონის პირდაპირი დარღვევა, რაც საფრთხეს უქმნის პაციენტს და ეწინააღმდეგება სამართლებრივ წესრიგს.

ამასთან, როგორც აღინიშნა, შპს „გლობალ ცბს“ იმის დასასასაბუთებლად, რომ გალენური ფორმის მიხედვით ბაზრის დავიწროება არასწორია, უთითებს მხოლოდ იმაზე, რომ განსახილველი მედიკამენტი შეიძლება მოზრდილებშიც იქნას გამოყენებული. თუმცა, სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ ჩანაცვლებადობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, პროდუქტები იყოს არა ცალმხრივად, არამედ **ურთიერთჩამანაცვლებელი**. სააგენტოს მსჯელობა, თუ რატომ დაავიწროვა მედიკამენტ ჰაიზინის შემთხვევაში შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები დამატებით, მოცემულია წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამის თავში. მედიკამენტ ოფლაბ-ოზთან დაკავშირებით კი სააგენტო მიიჩნევს, რომ მსგავსი საკითხის განხილვის საჭიროება არ არსებობდა შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრებიდან გამომდინარე, რადგანაც ორი მოლეკულის შემცველი მედიკამენტი და ერთი მოლეკულის შემცველი მედიკამენტი მოლეკულურ დონეზე, ქიმიური შემადგენლობის თვალსაზრისით ვერ იქნებიან ჩამანაცვლებლები. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ კომბინირებული ფარმაცევტული პროდუქტი მიეკუთვნება იმ საგამონაკლისო შემთხვევას, როდესაც დასაშვებია რეცეპტის გამოწერა არამხოლოდ გენერიკული დასახელების, არამედ სავაჭრო დასახელების დონეზეც, რასაც შეუძლია კიდევ უფრო დაავიწროებს მისი ჩანაცვლების შესაძლებლობას.

რაც შეეხება კონკურენტული წნეხის საკითხს, პირველ რიგში, შპს „გლობალ ცბს“-ის ორი მედიკამენტის შემთხვევაში მხარის საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე 100% იყო - როგორ შეიძლება ამგვარ მდგომარეობაში რაიმე სახის კონკურენტულ წნეხზე იყოს საუბარი, როდესაც კონკურენცია ბაზარზე თეორიულ დონეზეც კი არ არსებობს და მხოლოდ ერთი ეკონომიკური აგენტია მასზე წარმოდგენილი. ამავე კომპანიის მესამე მედიკამენტის შემთხვევაში კი, რომელთან დაკავშირებითაც მხარე შემდგომში მიუთითებს, რომ ძლიერი კონკურენცია არსებობდა, ბაზარზე სულ ორი ეკონომიკური აგენტი იყო წარმოდგენილი, რომელთა ფასთა შორის სხვაობაც ნათელია, თუმცა ახალი სუბიექტის შესვლასა და ფასთა შორის ამგვარი სხვაობის გაჩენას არანაირი გავლენა არ მოუხდენია საფასო პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე ახლად შესულმა ეკონომიკურმა აგენტმა მნიშვნელოვანი საბაზრო წილი მოიპოვა, ამან ვერანაირი გავლენა ვერ იქონია მეორის საფასო პოლიტიკაზე. სააგენტოს შეფასებით, რეალური კონკურენტული წნეხის პირობებში ამგვარ გარემოებებს ბუნებრივად უნდა ჰქონდეს გავლენა საფასო პოლიტიკაზე. კონკურენტული წნეხი არ არის თეორიული ცნება, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხე ეკონომიკური აგენტების დაკავებული არიან მხოლოდ მედიკამენტების იმპორტითა და დისტრიბუციით, მთავარი მიმართულება, სადაც

კონკურენტული წნეხი შესაძლოა არსებობდეს არის პროდუქტის სარეალიზაციო ფასი, იგი კი მოკვლევისათვის რელევანტურ პერიოდში არცერთ განსახილველ მედიკამენტზე არ შეცვლილა, უმრავლეს შემთხვევაში იგი წლების განმავლობაში არის იდენტური ან პირიქით, იზრდებოდა. შესაბამისად, სააგენტოს შეფასებით, განსახილველ შესაბამის ბაზარზე კონკურენტული წნეხი არ არსებობდა.

შპს „რიჩ გრუპის“ მიერ მითითებული პოზიციის საპასუხოდ, სააგენტო შემდეგ საკითხებზე მიუთითებს: გამოსაკვლევ პერიოდში (2022-2023 წლები) შესაბამის ბაზარზე ახალი სუბიექტების არშესვლის მიზეზების კვლევა არ არის სავალდებულო, იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ კომპანიას 2 (ორი) წლის განმავლობაში განსაკუთრებით მაღალი საბაზრო წილების ქონა დაუდგინდა. კერძოდ, 2022 წელს აღნიშნული კომპანია ფლობდა 100%-იან წილს. რაც შეეხება 2023 წელს - კომპანიის წილი უმნიშვნელოდ (1.6%-ით) შემცირდა. შესაბამისად, იმ დაშვების გათვალისწინებითაც, რომ შესაბამის ბაზარზე ახალი სუბიექტები არ შევიდნენ საკუთარი მარკეტინგული გადაწყვეტილების ან/და პროდუქტის არამომგებიანობის გამო, კომპანიის მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობა, როგორც შესაბამის პერიოდზე არსებული საბაზრო მოცემულობა, ვერ იქნება გამორიცხული. შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერების შეფასებისას, სააგენტო ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კომპანიის დომინანტური მდგომარეობის დასადგენად, ზოგადად აღნიშნული პარამეტრის გამოყენებაც შესაძლებელია. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მისი დადგენა არ არის სავალდებულო, მათ შორის არასამართლიანად მაღალი ფასის საქმეებზეც. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ შესაბამისმა ბაზარმა უახლოეს მომავალში მაღალი ფასების კორექტირება მოახდინოს პოტენციური კონკურენტებისგან მომდინარე კონკურენტული წნეხის არარსებობის გამო. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთისა (CMA) და იტალიის კონკურენციის უწყებათა (ICA) მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.¹¹³ კერძოდ, Aspen-ის საქმეზე, ეკონომიკურ აგენტს ფარმაცევტულ სექტორში საქმიანობის განხორციელების მიზნით მხოლოდ ლიცენზიების მოპოვება ევალებოდა, რადგან განსახილველი პროდუქტისთვის არ არსებობდა რაიმე სახის პატენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერი დაბალი იყო. მეორე მხრივ, Pfizer/Flynn-ის საქმეზე, განსახილველი წამლის პატენტს 15 წელზე მეტი ხნით ჰქონდა ვადა გასული და აგრეთვე, 5 წლის განმავლობაში რეგულირების მიღმა იყო დარჩენილი. შესაბამისად, ამ საქმის ფარგლებშიც, შესაბამის ბაზარზე ძალიან დაბალი შესვლის ბარიერები არსებობდა ან შესაძლებელია ითქვას, რომ ასეთი სახის ბარიერი არც არსებობდა.¹¹⁴ მიუხედავად აღნიშნულისა, ორივე საქმეში, კონკურენციის უწყებებმა განმარტეს, რომ მიუხედავად

¹¹³ CMA ('Pfizer/Flynn'), CE/9742-13 (2016); Decision - Unfair Pricing in Respect of the Supply of Phenytoin Sodium Capsules in the UK, Case 50908 (2022); Autorita Garante della Concorrenza e del Mercato, A 480—Incremento prezzi farmaci/Aspen ('Aspen') (2017).

¹¹⁴ Ayata Z., A Comparative Analysis of the Control of Excessive Pricing by Competition Authorities in Europe, Tulane European & Civil Law Forum, Vol. 35, 2020, 128.

ბაზარზე შესვლის დაბალი ბარიერებისა, მაინც არ არსებობდა პოტენციური კონკურენტებისგან მომდინარე კონკურენტული წნეხი. იტალიისა და დიდი ბრიტანეთის კონკურენციის უწყებები შესაბამის ბაზრებზე ინტერვენციას ახორციელებდნენ მაშინაც, როდესაც შესვლის ბარიერები დაბალი იყო ან არ არსებობდა. ასეთ პირობებში, კონკურენციის უწყებებმა აღნიშნეს, რომ პოტენციური კონკურენცია სუსტი და განსახილველ ბაზრებზე ახალი მოთამაშეების შესვლა ნაკლებად მოსალოდნელი იყო.¹¹⁵ მოცემული მოკვლევის ფარგლებშიც, განსახილველ მედიკამენტებთან დაკავშირებით (მათ შორის ზინასენტან მიმართებაშიც) დგინდება კონკურენტული წნეხის სისუსტე/არარსებობა (იხ., წინამდებარე გადაწყვეტილების 2.1.4. თავი - კონკურენტული წნეხის ხარისხი, როგორც დამატებითი ფაქტორი). შესაბამისად, მოცემული მოკვლევის ფარგლებში რაიმე დამატებითი სახის გამოკვლევა შესაბამისი ბაზრის შესვლის ბარიერებთან დაკავშირებით არარელევანტურია.

კომპანიის პოზიციის მიხედვით, შესაბამისი ბაზარი უნდა განისაზღვროს ATC4 (თერაპიულ) დონეზე, რის მაგალითადაც მოჰყავს *Astrazeneca-ს* საქმე. აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტო მიუთითებს, რომ შესაბამისი ბაზრის ATC5 დონეზე განსაზღვრას ევროკომისია და ევროკავშირის ქვეყნების კონკურენციის უწყებები მხარს უჭერენ როგორც ფარმაცევტულ ბაზრებზე კონცენტრაციების ეფექტის შეფასებისას, აგრეთვე არასამართლიანად მაღალი ფასების დაწესების შემთხვევების შესწავლისას (იხ., წინამდებარე გადაწყვეტილების 2.1.2 თავი - ATC კლასიფიკაცია და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა). *Astrazeneca-ს* საქმის ფარგლებში კი განსახილველი მედიკამენტის თერაპიული დანიშნულება ნამდვილად იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელზე დაყრდნობითაც შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვარი განისაზღვრა, თუმცა ის არ იყო ერთადერთი ფაქტორი, რადგან მის გარდა გადაწყვეტილების მიმღები ორგანო დამატებით მსჯელობს კიდევ 4 ფაქტორზე, რამაც შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრის გაფართოება განაპირობა.¹¹⁶ შესაბამისად, სააგენტო არ იზიარებს მოპასუხე ეკონომიკური აგენტის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ *Astrazeneca-ს* საქმის მიხედვით, თითქოსდა დადგენილია შესაბამისი ბაზრის ATC4 დონეზე განსაზღვრის სავალდებულო წესი.

დამატებით აღსანიშნავია, რომ 2025 წლის 23 ივლისს მოკვლევის მხარეებთან გამართულ შემაჯამებელ სხდომაზე კომპანიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „*ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც თუ გამოუცდია შაკიკისმიერი თავის ტკივილი, ტაბლეტში ლარს კი არა, ათას ლარსაც მოიძიებს გადასახდელად.... ხოლო ზინასენტანის შემთხვევაში, მართალია არსებობს ბევრი პროდუქტი, თუმცა იმიტომ რომ მისი ზუსტი ანალოგები არ არიან, პაციენტმა შეიძლება ვერ მიიღოს ისეთი კარგი ეფექტი, როგორიც ამ კონკრეტულ შემთხვევაშია.*“¹¹⁷ სააგენტო ხაზგასმით მიუთითებს, რომ აღნიშნული გარემოება

¹¹⁵ იქვე., 129.

¹¹⁶ Case T-321/05, *AstraZeneca v Commission*, პარაგრაფი 28.

¹¹⁷ შემაჯამებელი სხდომის აუდიო ჩანაწერი: 1:29:14-1:29:50.

დამატებით ამყარებს შესაბამისი ბაზრის საზღვრების დადგენის მართებულობას კლასიფიკაციის ATC 5 დონეზე.

საკითხი N 2 - მედიკამენტთან დაკავშირებული ხარჯების გამოთვლა:

ხარჯების დაანგარიშებასთან დაკავშირებით პოზიცია წარმოდგინა მხოლოდ შპს „გეა“, რომელმაც ყურადღება გაამახვილა რამდენიმე საკითხზე.

შპს „გეა“ პოზიცია - ბისეპტოლის სარეალიზაციო ფასთან დაკავშირებით კომპანია მიუთითებს 2 საკითხზე: 1) სააგენტომ არასწორად დაითვალა სარეალიზაციო ფასი, რადგან

; 2) სააგენტომ არ გაითვალისწინა
მიწოდებული ბისეპტოლის ფასი. ამასთანავე, კომპანიამ მიუთითა,
რომ სააგენტომ არასწორად ამოიღო და ხარჯებში არ გაითვალისწინა
ხარჯები. მხარემ ამ კუთხით მიუთითა,
რომ ადგილი ჰქონდა სახელწოდებასთან დაკავშირებულ გაუგებრობას და ამ ნაწილში მას
ასევე ჰქონდა შეყვანილი. ამასთანავე, შპს „გეა“
წარმოდგენილ პოზიციაში უთითებს, რომ მას გააჩნია მედიკამენტ ბისეპტოლის
, რაც, მისი მოსაზრებით, ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული ხარჯებში.

სააგენტოს პოზიცია -

მხარემ მხოლოდ გადაწყვეტილების პროექტის
მიღების შემდგომ აცნობა სააგენტოს,

მას შემდგომ
კი, რაც კომპანიამ სააგენტოში წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, სააგენტომ
გაითვალისწინა

სააგენტო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ ხარჯის კონკრეტულ მედიკამენტზე მიკუთვნებისათვის არ არის საკმარისი ამ ხარჯის უბრალოდ არსებობა, არამედ კონკრეტულად უნდა დგინდებოდეს ამ ხარჯის კავშირი განსახილველ მედიკამენტთან. გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით პოზიციების წარმოდგენამდე კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხარჯებთან დაკავშირებით არ ადასტურებდა ცალკეული ხარჯების კავშირს ბისეპტოლთან მიმართებით, თუმცა კომპანიის სასარგებლოდ ბისეპტოლზე გაწეულ ხარჯებში გათვალისწინებულ იქნა ყველა ხარჯი გარდა ისეთისა, რომელზეც ცალსახად დგინდებოდა, რომ არანაირ კავშირში არ იყო განსახილველ მედიკამენტთან.

რაც შეეხება კომპანიის მითითებას, რომ კონკრეტულ პერიოდში რეალიზებულ მედიკამენტებზე უნდა გავრცელდეს ამავე პერიოდში კომპანიის მარაგებში არსებული ბისეპტოლის ღირებულების ხარჯი ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთით, მათ შორის გაჩერებული მედიკამენტის ხარჯის გათვალისწინებით, სააგენტო ვერ გაიზიარებს აღნიშნულ პოზიციას, რადგან კომპანიის ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს მედიკამენტების იმპორტი / დისტრიბუცია და არა კონკრეტული რაოდენობის თანხაზე საპროცენტო სარგებლის მიღება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ფასების სიჭარბის შეფასებისას ხარჯებში უნდა აისახოს მხოლოდ რეალურად გაწეული და გონივრულად მიკუთვნებადი ხარჯები, მხარის მიერ მითითებული თანხები კი უფრო მეტად მიუღებელი შემოსავალია, ვიდრე რეალურად გაწეული ხარჯი.

საკითხი N3 - გონივრული მარჟის განსაზღვრა:

მხარეთა პოზიცია - სააგენტოში წარმოდგენილ პოზიციებში ორი კომპანია მიუთითებს, რომ ისინი არ ეთანხმებიან სააგენტოს მიერ გამოყენებულ მეთოდოლოგიას გონივრული მარჟის განსაზღვრის ნაწილში, კერძოდ კი მათთვის: „გაუგებარია, რატომ არის სწორი და

რელევანტური საბითუმო ფასის შეფასებისას სამინისტროს მიერ დადგენილი საცალო რეფერენტული მარჟები და არა თუნდაც საბითუმო რეფერენტული ფასები“.

სააგენტოს პოზიცია - როგორც წინამდებარე გადაწყვეტილებაში უკვე აღინიშნა, არ არსებობს „სწორი“ ან „არასწორი“ მეთოდი „ხარჯი პლუს მარჟას“ პლუს ელემენტის განსაზღვრისათვის, რადგან არ არის დადგენილი თუ კონკრეტულად როგორ უნდა იქნას გამოთვლილი ეს მარჟა. აღნიშნული ყოველ საქმეზე ცალკეულად წყდება. თითოეული საქმისათვის დამახასიათებელი გარემოებების გათვალისწინებით, განსხვავებული მეთოდი შეიძლება იყოს შესაფერისი და გამოყენებული გონივრული მარჟის განსაზღვრისათვის კონკრეტული ფასის სიჭარბის შესაფასებლად.¹¹⁸ ამასთანავე, სააგენტო უთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში კომპანიების მიმართ გამოყენებულ იქნა ძალზედ ლოიალური მიდგომა და ამის ფონზე ძალიან უცნაურია კომპანიების მხრიდან ამ ნაწილში შედავება, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც მათ უფრო რელევანტურად მიაჩნიათ საბითუმო დონეზე დადგენილი რეფერენტული ფასების გამოყენება, რაც საგრძნობლად გააუარესებდა მიღებულ შედეგებს. რაც შეეხება ევროკავშირის პრაქტიკას გამოსაყენებელ მეთოდთან დაკავშირებით, სააგენტო მიუთითებს, რომ არცერთ მსგავს გადაწყვეტილებაში გონივრული მარჟის მაჩვენებელი სააგენტოს მიერ მითითებულ მაჩვენებელზე არათუ მეტი არ არის, არამედ ახლოსაც კი არ იმყოფება. თავის მხრივ, მაგალითად მხარეთა მიერ დასახელებული მეთოდი - EBITDA ემსახურება რეალური ამონაგების განსაზღვრას, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის ამონაგებს გადასახადებამდე, დივიდენდამდე და თავისთავად არ განსაზღვრავს / გულისხმობს გონივრული მოგების ზღვრის დაწესებას. მაგალითისათვის, aspen-ის საქმეზე ევროკომისიამ წინასწარ შემუშავებული რელევანტური კრიტერიუმების შესაბამისად მოიძია მსგავსი ტიპის კომპანიები და განსაზღვრა მათი საშუალო EBITDA-ს პროცენტული გამოსახულება, რის შემდეგაც ფასის სიჭარბე დადგინდა შედარების საფუძველზე. სააგენტო მიუთითებს, რომ ქართული ფარმაცევტული ბაზარი ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, რაც გახდა კიდევ საფუძველი ბოლო პერიოდში გატარებული სისტემური რეფორმებისა (აღნიშნული დეტალურად არის აღწერილი სააგენტოს მიერ განხორციელებულ მონიტორინგში და შესაბამისად გაცემულ რეკომენდაციებში¹¹⁹). შესაბამისად, იმ ბაზარზე, სადაც ინტერესთა კონფლიქტი და მისი დაფინანსება წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას, ასევე რომელიც ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, სააგენტომ არ ჩათვალა გონივრულად და მიზანშეწონილად შედარებისათვის გამოყენებინა ისეთი კომპანიების მაჩვენებლები, რომლებიც სავარაუდოდ იქნებოდნენ მსგავსი არაეთიკური საქმიანობის მონაწილე. რაც შეეხება საცალო მარჟების გამოყენების მიზანშეწონილობას, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანიები, მათ შორის მოკვლევის მოპასუხე ეკონომიკური აგენტების ნაწილი, სადისტრიბუციო მომსახურებას იძენენ „აუთსორსზე“ - რის ფარგლებშიც მომსახურების მიმწოდებელი კომპანია, GDP სტანდარტების შესაბამისად, თავის თავზე იღებს

¹¹⁸ Aspen, გვ. 23, პარაგრაფი 128.

¹¹⁹ იხ. < https://gccg.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/0e920af7373747e089b6921817fb9e12.pdf > .

დისტრიბუციის ყველა ხარჯს, რომელი მომსახურების საფასურიც მერყეობს %-ის ფარგლებში. საცალო და საბითუმო დონეზე გასაწევ ხარჯებს შორის რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი განსხვავებაა და საცალო დონეზე ფარმაცევტულ ბაზარზე ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება საბითუმო დონეზე გასაწევ ხარჯებს რის თაობაზე მსჯელობაც წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამის თავშია მოცემული. შესაბამისად, საცალო ბაზარზე მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ფასნამატების გავრცელება (რომლებიც წმინდა ფასნამატთან ერთად მოიცავს ხარჯების ოდენობასაც, ანუ ნამეტს სრულად საბითუმო ღირებულებიდან საცალო ფასამდე) საბითუმო ბაზარზე არსებულ განსახილველ მედიკამენტებთან დაკავშირებით არის კომპანიების სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯი. საბითუმო ბაზარზე, ნორმალურ საბაზრო პირობებში, ფასნამატი გაცილებით ნაკლები იქნებოდა. ამასთან, ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრული „ხარჯი პლუს მარჟას“ ოდენობა გაცილებით აღემატება სამინისტროს მიერ განსაზღვრულ რეფერენტულ ფასებს.

საკითხი N 4 - მედიკამენტის სარეალიზაციო ფასის სიჭარბე:

მხარეთა პოზიცია - სააგენტოში წარმოდგენილ პოზიციებში ორი კომპანია უთითებს, რომ სააგენტომ სხვადასხვა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებებით შეფასებული „ხარჯი პლუს მარჟასა“ და დადგენილ ფასს შორის არსებული სხვაობის მაჩვენებლები მიიჩნია როგორც დადგენილი მოცემულობა. ამასთან, იქვე მითითებულია, რომ გაურკვეველია, რა მიიჩნია სააგენტომ კონკრეტულ საქმეში გამყოფ ხაზად ჭარბ ფასთან დაკავშირებით. მითითებულია ისიც, რომ ფაიზერის შემთხვევაში 24%-იანი გადაჭარბება, რასაც სააგენტო შესაძარად იყენებს, დამოუკიდებლად და თავისთავად საკმარისად მაღალ მაჩვენებლად არ შეფასებულა, მთავარი არგუმენტი, რატომაც საბოლოოდ საკმარისად მაღალ სხვაობად შეფასდა, იყო საერთო ხარჯების ერთ კაფსულაზე გადაანგარიშებით სიჭარბის პროცენტის მატება.

სააგენტოს პოზიცია - სააგენტო კიდევ ერთხელ უთითებს - მას არსად აღუნიშნავს, რომ რომელიმე საქმეზე დაყრდნობით ის პროცენტული ზღვარი გაავლო, რომელზე მაღალი მაჩვენებელიც აპრიორი შეფასდება ჭარბად. ამის საპირისპიროდ, სააგენტო განმარტავს, რომ იგი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აფასებს მაჩვენებლებს და თითოეულის ნაწილში აფასებს არის თუ არა იგი საკმარისად მაღალი ჭარბად მისაჩნევად. არასწორია შეფასება, რომ სააგენტომ კონკრეტული პროცენტული მაჩვენებელი აიღო, რომელზე მაღალი ფასიც ჭარბად შეაფასა. ეს მაჩვენებლები არის მოყვანილი სააგენტოს დამატებით არგუმენტად მისი პოზიციის გასამყარებლად, ერთგვარი მაგალითისათვის არსებული პრაქტიკიდან, რომლის თანახმადაც ამგვარი სხვაობები უკვე იქნა ცნობილი ჭარბად. ამგვარი პრაქტიკა (მაგალითად წარსულში განხილული საქმეების მოყვანა) გამოყენებულია სხვადასხვა საქმეზე, მათ შორის მხარის მიერ ნაციტირებ Pfizer/Flynn გადაწყვეტილებაში.¹²⁰ რაც შეეხება ზღვრულ მაჩვენებელს, ფასების სიჭარბის შეფასებისას ფასდება კომპანიის მიერ ფაქტობრივად დადგენილ კონკრეტულ ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის სხვაობა არის თუ არა ჭარბი

¹²⁰ Pfizer/Flynn, გვერდი 191, პარაგრაფი 5.195.

და სააგენტო არ ადგენს „ნორმალურ ფასს“. რაც შეეხება პოზიციას, რომ ფაიზერის შემთხვევაში 24%-იანი გადაჭარბება დამოუკიდებლად და თავისთავად საკმარისად მაღალ მაჩვენებლად არ შეფასებულა, წარმოადგენს გადაწყვეტილების შინაარსის არასწორ ინტერპრეტირებას, რადგან CMA-ის გადაწყვეტილების 5.188 პარაგრაფში პირდაპირაა მითითებული, რომ: „ცხრილში მოცემული თითოეული სიჭარბის მაჩვენებელი არის არსებითი და მნიშვნელოვნად დიდი იმისათვის, რომ მიჩნეულ იქნას ჭარბად United Brands-ის საქმეზე დადგენილი ტესტის სიჭარბის საფეხურის კონტექსტში“, რა დროსაც უწყება დაეყრდო დანართ I-ში აღწერილ ხარჯების გამოთვლის შედეგებს. რაც შეეხება ერთეულ კაფსულაზე სიჭარბის გადანგარიშებას, ამის თაობაზე უწყებას 5.189 პარაგრაფში აქვს მითითებული, თუმცა მას არ იყენებს სხვაობის ჭარბად შეფასების არგუმენტად.

საკითხი N 5 - ზიანის ოდენობის განსაზღვრა:

მხარეთა პოზიცია - ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით კომპანიებს ორი სახის შენიშვნა ჰქონდათ: 1. ზიანი დათვლილია საბითუმო დონეზე კომპანიის მიერ რეალიზებული მედიკამენტის კოლოფების რაოდენობის მიხედვით, რაც მათი მოსაზრებით არასწორია და ამ ნაწილში სააგენტომ მხედველობაში უნდა მიიღოს მხოლოდ საბოლოო მომხმარებლის მიერ აფთიაქიდან შეძენილი განსახილველი მედიკამენტის კოლოფების რაოდენობა; 2. ზიანი დათვლილ უნდა იქნას არა „ხარჯი პლუს მარჟას“ და დადგენილ სარეალიზაციო ფასს შორის არსებული სრული სხვაობა, არამედ ის სხვაობა, რაც რჩება „ხარჯი პლუს მარჟაზე“ 24%-იანი ფასნამატის დამატების შემდგომ, რადგან სააგენტოსათვის 24%-იანი სხვაობა დასაშვები იყო.

სააგენტოს პოზიცია - პირველ ნაწილში სააგენტომ გაიზიარა კომპანიების პოზიცია და იმ მედიკამენტების შემთხვევაში, რომელთა ნაწილშიც არასამართლიანად მაღალი ფასის დადგენით მიყენებული ზიანის ოდენობა დათვლილი იყო საბითუმო დონეზე მათ მიერ რეალიზებული კოლოფების რაოდენობისათვის დაბრუნებული კოლოფების ოდენობის გამოკლებით, მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად,¹²¹ დააკორექტირა და გაითვალისწინა მხოლოდ საბოლოო მომხმარებლის მიერ შეძენილი კონკრეტული მედიკამენტის კოლოფების რაოდენობა. რაც შეეხება მეორე პოზიციას, რომელიც ორმა კომპანიამ დააფიქსირა, სააგენტო ვერ დაეთანხმება მხარეთა მიდგომას, რადგანაც მასში არასწორად არის გადმოცემული ჭარბი ფასის დადგენისას „ხარჯი პლუს მარჟას“ განსაზღვრის მნიშვნელობა. არ არის სწორი მხარეთა მითითება, რომ სააგენტომ „ხარჯი პლუს მარჟადან“ 24%-იანი გადახრა დასაშვებად ცნო, ვინაიდან, მსგავსი განმარტება სააგენტოს გადაწყვეტილების არცერთ ნაწილში არ გაუკეთებია - თავად მხარეთა ამგვარი შეფასებაც წინააღმდეგობაშია მათ მიერ თავიანთ პოზიციებშივე გამოთქმულ შენიშვნასთან, რომლის მიხედვითაც „გაურკვეველია, რა მიიჩნია კონკრეტულ საქმეში გამყოფ ხაზად სააგენტომ?

¹²¹ მედიკამენტების საცალო გაყიდვების შესახებ შპს „გლობალ ცბს“-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია - 2025 წლის 25 ივლისის წერილი (რეგ. 01/4442); შპს „რიჩ გრუპის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი პოზიცია - წერილი N01/4232.

რამდენია ის პროცენტული სხვაობა „ხარჯი პლუს მარჟასთან“, როდესაც ფასი ჭარბად უნდა იქნას მიჩნეული?¹²². სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი აფასებს კონკრეტულ პროდუქტებზე დადგენილი ფასები არის თუ არა ჭარბი ანუ კონკრეტულ საქმეზე განსაზღვრულ „ხარჯი პლუს მარჟას“ ფასს შორის არსებული სხვაობის პროცენტული გამოხატულება არის თუ არა „საკმარისი“ და „არსებითი“, რათა მიჩნეულ იქნას ჭარბად. შესაბამისად, იგი განსახილველ შემთხვევაში მსჯელობს სადავოდ გამხდარი ფასების ნაწილში ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გამოკვეთილი სხვაობა უნდა იქნას თუ არა მიჩნეული ჭარბად და იგი არ ადგენს კონკრეტულ ზღვარს, რომელიც იქნება წყალგამყოფი. იმას, რომ 24%-იანი ნამეტი „ხარჯი პლუს მარჟაზე“ არ ყოფილა მიჩნეული დასაშვებ ნორმად მოწმობს ისიც, რომ სააგენტომ ასევე ჭარბად ცნო შპს „გეას“ მიერ 480 მგ. -იანი ბისეპტოლისათვის 2022 წელს დადგენილ ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის სხვაობა, რომელიც გაუტოლდა 23.18%-ს. ამდენად, კონკრეტული ფასის სიჭარბის დადგენის შემთხვევაში, სააგენტო ჭარბად მიიჩნევს სრულად იმ სხვაობის მაჩვენებელს, რაც არსებობს „ხარჯი პლუს მარჟასა“ და დადგენილ ფასს შორის და არა მის ნაწილს.

საკითხი N 6 - ჯარიმის ოდენობის განსაზღვრა:

მხარეთა პოზიცია - სააგენტოში წარმოდგენილ პოზიციებში ორი მხარე უთითებს, რომ სააგენტომ მხედველობაში არ მიიღო თუ რა წილი უკავია მათ საერთო ბრუნვაში უშუალოდ განსახილველი მედიკამენტებიდან მიღებულ შემოსავლებს და ისე განსაზღვრა ჯარიმის ოდენობა. ამასთან, მათ მოჰყავთ ევროკავშირის პრაქტიკა და უთითებენ მათ მიერ გამოყენებულ მეთოდოლოგიაზე ჯარიმის ოდენობის დადგენისათვის. მათ მაგალითისათვის ასევე მოჰყავთ სააგენტოს მიერ განხილული საწვავის საქმე (II) და საწვავის საქმე (III) და უთითებენ, რომ ნავთობკომპანიებისათვის დაკისრებული ჯარიმების პროცენტული ოდენობები განსახილველი მოკვლევის მხარეთათვის დაკისრებული ჯარიმის პროცენტულ ოდენობებს ჩამოუვარდება. გარდა ამისა, შპს „კონცეპტ ფარმა“ თხოვნით მიმართავს სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტის საფუძველზე განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა შემცირდეს ამავე კომპანიის

სააგენტოს პოზიცია - პირველ რიგში უნდა აღინიშნოს - სააგენტომ არაერთხელ განმარტა და კიდევ ერთხელ უთითებს, რომ ჯარიმის გამოთვლის ნაწილში არ არის რელევანტური მხარეთა შენიშვნა ევროკომისიის მიერ გამოყენებულ მეთოდებთან დაკავშირებით, ვინაიდან, ქართული კანონმდებლობა, ასევე, სააგენტოს ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპები, არ ითვალისწინებს ჯარიმის გამოთვლის იმ მეთოდოლოგიას, რომელიც განსაზღვრულია ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობითა და შესაბამისი პრაქტიკით. ამასთანავე, სააგენტო ჯარიმის განსაზღვრის დროს საერთო გაყიდვებში კონკრეტული პროდუქტის წილის გათვალისწინებასთან დაკავშირებით უთითებს, რომ ქართული კანონმდებლობით პრიდაპირაა დადგენილი, რომ მხედველობაში მიიღება

¹²² გეას პოზიცია - 2025 წლის 17 ივლისის წერილი (რეგ. N 01/4316), გვ. 28.

ეკონომიკური აგენტის ერთობლივი შემოსავალი სრულად და არა იმ საქმიანობიდან მიღებული წილი, რომელსაც შესასწავლი ქმედება შეეხება. ამასთან, არ არის მართებული სააგენტოს მიერ განხილულ სხვადასხვა საქმეებზე დაკისრებული სანქციების პროცენტული ოდენობების შედარება, ვინაიდან თითოეულ შემთხვევას განსხვავებული და ინდივიდუალური გარემოებები გააჩნია. სააგენტოს მოსაზრებით, არარელევანტურია მაგალითისათვის იმ საქმეების მოყვანა, რომელზე როგორც შესასწავლი ქმედების სახე, ასევე ქმედების ხანგრძლივობა და ყველა სხვა გარემოება აბსოლუტურად განსხვავებულია. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მხარეებს მაგალითისათვის მოჰყავთ ნავთობკომპანიების საქმე, როდესაც სააგენტოს მასზე უფრო ახალი და ამასთან, ასევე ფარმაცევტულ სექტორთან დაკავშირებული საქმეც აქვს განხილული.

შპს „კონცეპტ ფარმას“ თხოვნასთან დაკავშირებით კი სააგენტო განმარტავს, რომ შესაბამისი კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში, სრულად იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომელიც კომპანიის პოზიციით, ჯარიმის ოდენობის შემცირებას უნდა დაედოს საფუძვლად.

თავი VIII. დასკვნა

1. მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ აქტიური ნივთიერება ofloxacin and ornidazole-ის ნაწილში მედიკამენტების საბითუმო რეალიზაციის ბაზარზე 2021, 2022 და 2023 წლების განმავლობაში შპს „კონცეპტ ფარმას“, ხოლო 2022 და 2023 წლებში ასევე შპს „გლობალ ცბს“-ს ეკავა დომინანტური მდგომარეობა, რაც დადასტურებულია ამავე პერიოდის განმავლობაში მათი საბაზრო წილებით შესაბამის ბაზრებზე. შპს „გლობალ ცბს“-ს 2022-2023 წლებში ასევე უდასტურდება დომინანტური მდგომარეობის ფლობა აქტიური ნივთიერება isoxsuprine-ისა და hydroxyzine-ის ნაწილში შესაბამის ბაზრებზე. შპს „გეა“ 2021-2023 წლებში იკავებდა დომინანტურ მდგომარეობას აქტიური ნივთიერება sulfamethoxazole and trimethoprim-ის ნაწილში შესაბამის ბაზარზე. 2022-2023 წლებში აქტიური ნივთიერება flunarizine-ის ნაწილში კი დომინანტურ მდგომარეობას ფლობდა შპს „რიჩ გრუპი“.
2. სააგენტოს მიერ გამოყენებული ტესტის პირველი საფეხურის შესაბამისად დადგინდა, რომ: 1) შპს „გლობალ ცბს“-მ მედიკამენტ ოფლაზ-ოზის საბითუმო რეალიზაციაზე 2022 და 2023 წლებში, ხოლო მედიკამენტ იორილი-10-სა და ჰაიზინის საბითუმო რეალიზაციაზე მხოლოდ 2022 წელს ჭარბი ფასი დაადგინა; 2) შპს „რიჩ გრუპმა“ მედიკამენტ ზინასენის შემთხვევაში ჭარბი სადისტრიბუციო ფასი დაადგინა 2022-2023 წლებისათვის; 3) შპს „კონცეპტ ფარმამ“ 2022 წლის 20 ოქტომბრიდან 2023 წლის ჩათვლით ჭარბი სადისტრიბუციო ფასი დაადგინა მედიკამენტ ფლოქსაზოლის ნაწილში; 4) შპს „გეამ“ 2021-

2023 წლებში 120 მგ.-იანი ბისეპტოლისათვის, ხოლო 2022 წელს 480 მგ.-იანი ბისეპტოლისათვის ჭარბი სადისტრიბუციო ფასი დაადგინა.

3. გამოსაყენებელი ტესტის მე-2 საფეხურის პირველი ალტერნატივის საფუძველზე (არასამართლიანად მაღალი ფასი თავისთავად) არ დგინდება ისეთი გარემოებების არსებობა, რომელიც გაამართლებდა: შპს „გლობალ ცბს“-ს მიერ ოფლაბ-ოზის, ჰაიზინის, იორილი-10-ის, შპს „გეას“ მიერ ბისეპტოლის (120 მგ. და 480 მგ.), შპს „რიჩ გრუპის“ მიერ ზინასენისა და შპს „კონცეპტ ფარმას“ მიერ ფლოქსაზოლისათვის შესაბამის პერიოდებში ჭარბი ფასების დადგენას. შესაბამისად, ხსენებულ ექვსივე მედიკამენტზე დადგენილი ჭარბი ფასი იყო არასამართლიანი თავისთავად.
4. გამოსაყენებელი ტესტის მე-2 საფეხურის მე-2 ალტერნატივის ფარგლებში ოთხი მედიკამენტის (ზინასენი, ჰაიზინი, იორილი-10 და ოფლაბ-ოზი) შემთხვევაში არ გამოიკვეთა სადავო ფასების მიმართ გონივრული შედარების მიზნებისათვის შესაბამისი ისეთი პარამეტრის არსებობის ფაქტი, რომელზე დაყრდნობითაც მოპასუხე ეკონომიკური აგენტების მიერ დადგენილი ფასების არასამართლიანად მაღალი ხასიათი იქნებოდა შეფასებული, რის გამოც სააგენტო ქმედების შესაფასებლად დაეყრდნო მხოლოდ ტესტის მე-2 საფეხურის პირველი ალტერნატივის ფარგლებში მიღებულ შედეგებს. რაც შეეხება მედიკამენტ ფლოქსაზოლს, მასთან დაკავშირებით სააგენტომ 2022 წლის 20 ოქტომბრიდან ფასის მატება შეადარა წარსულ პერიოდზე დადგენილ ფასებს და დაასკვნა, რომ ფასის ზრდა არ იყო განპირობებული ხარჯების ზრდით, იყო შეუსაბამო და გაუმართლებელი, რაც თავის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ 2022 წლის ოქტომბრის თვეში გაზრდილი ფასი თავისთავად არასამართლიანთან ერთად იყო არასამართლიანი კონკურენტ პროდუქტთან შედარებითაც. მედიკამენტ ბისეპტოლის (120 მგ. და 480 მგ.) შემთხვევაში კი სააგენტომ მე-2 საფეხურის მე-2 ალტერნატივის ფარგლებში ასევე მხოლოდ 2022 წლის მონაცემების შედარება შეძლო წინა წელს დადგენილი ფასისა და გაწეული ხარჯების მონაცემებთან, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ ფასის ზრდა არ იყო განპირობებული და გამართლებული ხარჯების ზრდით.
5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოკვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ შპს „გლობალ ცბს“-ს მიერ 2022-2023 წლებში მედიკამენტ ოფლაბ-ოზისათვის, ხოლო 2022 წელს ასევე იორილი-10-სა და ჰაიზინისათვის, შპს „რიჩ გრუპის“ მიერ 2022-2023 წლებში მედიკამენტ ზინასენისათვის, შპს „გეას“ მიერ 2021-2023 წლებში 120 მილიგრამიანი ბისეპტოლისათვის, ხოლო 2022 წელს ასევე 480 მილიგრამიანი ბისეპტოლისათვის და 2022 წლის 20 ოქტომბრიდან 2023 წლის ჩათვლით შპს „კონცეპტ ფარმას“ მიერ მედიკამენტ ფლოქსაზოლისათვის არასამართლიანად მაღალი ფასების დაწესება წარმოადგენს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევას, რაც დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ გაყიდვის არასამართლიანი ფასის პირდაპირ დადგენას (ფიქსირებას) გულისხმობს.

თავი IX. სანქცია

კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის ხარისხის ზრდას, რათა გაუმჯობესდეს მომხმარებელთა კეთილდღეობა და ხელი შეეწყოს რესურსების ეფექტურად განაწილებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი კანონი ითვალისწინებს კონკურენციის კანონმდებლობისა და კონკურენციის პოლიტიკის აღსრულების გარკვეულ მექანიზმებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ აღსრულების კონკრეტული ღონისძიებების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კონკურენციის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელება, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებებისა და კონკურენციისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტების პრევენცია და თავიდან აცილება, რათა დაცულ იქნეს საერთო საზოგადოებრივი ინტერესები.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრება. სანქციის აღნიშნული მექანიზმის გამოყენება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს აღსრულების ამ ღონისძიების მიზნებისა და ფუნქციების გათვალისწინებით. კერძოდ, ჯარიმის დაკისრებას გააჩნია კონკურენციის დარღვევის აღმოფხვრის ფუნქცია, ვინაიდან, დაკისრებული სანქცია, რომელიც გამოითვლება დარღვევის სიმძიმის, ხანგრძლივობისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით, ერთგვარი კომპენსაციაა ჯანსაღი კონკურენტული გარემოსა და მომხმარებლის კეთილდღეობისათვის მიყენებული ზიანის საპირწონედ. გარდა ამისა, ჯარიმა განიხილება, როგორც კონკურენციის პოტენციური შემზღუდველი ქმედებების შემაკავებელი ბერკეტი, ვინაიდან იგი ეკონომიკურ აგენტებში ქმნის დასჯის რეალური საფრთხის განცდას. ამდენად, კონკრეტული დარღვევისათვის ეკონომიკური აგენტისთვის დაკისრებულ ჯარიმას უნდა ჰქონდეს საკმარისი შემაკავებელი ეფექტი, არა მხოლოდ კანონდამრღვევი ეკონომიკური აგენტის/აგენტების მიმართ ("specific deterrence"), არამედ სხვა ეკონომიკური აგენტების მიმართაც, რათა არ ჩაერთონ ან არ გააგრძელონ კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები ("general deterrence").¹²³ შესაბამისად, ჯარიმის ოდენობაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღნიშნული ფუნქციებისა და მიზნების შესაბამისად უნდა დადგინდეს.

განსახილველ შემთხვევაში დადგინდა მოპასუხე ეკონომიკური აგენტების: შპს „გლობალ ცბს“-ს, შპს „გეას“, შპს „კონცეპტ ფარმასა“ და შპს „რიჩ გრუპის“ მიერ კანონის მე-6

¹²³ Guidelines on the method of setting fines imposed pursuant to Article 23(2)(a) of Regulation No 1/2003 (2006/C 210/02), პარაგრაფი 4, ხელმისაწვდომია: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52006XC0901\(01\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:52006XC0901(01)).

მუხლის დარღვევა (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება). აღნიშნული კანონდარღვევისთვის საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა სანქციის სახედ ითვალისწინებს ჯარიმას. კერძოდ, კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ამ კანონის მე-6 ან მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი ერთობლივი შემოსავლის 5%-ს.“ „წინა ფინანსურ წელში“ იგულისხმება სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტისთვის/აგენტებისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წლის წინა ფინანსური წელი,¹²⁴ რაც ემსახურება იმ მიზანს, რომ დადგენილ იქნას ეკონომიკური აგენტის აქტუალური ფინანსური შესაძლებლობები, რაც უნდა იყოს ჯარიმის საკმარისად პრევენციული ოდენობის განსაზღვრის საფუძველი. შესაბამისად, ვინაიდან მოკვლევის ფარგლებში სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება 2025 წელს, ჯარიმა უნდა განისაზღვროს შესაბამისი ეკონომიკური აგენტების 2024 წლის ერთობლივი შემოსავლებიდან. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, საქართველოს რეზიდენტი ეკონომიკური აგენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან და საქართველოს ფარგლების გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან. ამავდროულად, ჯარიმის მაქსიმალური ოდენობის დადგენის მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება ეკონომიკური აგენტის სრული ერთობლივი და არა მის მიერ კანონდარღვევის შედეგად რეალიზებული საქონლის ან/და მომსახურების ოდენობიდან მიღებული შემოსავალი. აღნიშნულ ერთობლივ შემოსავალში შედის, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავალიც.¹²⁵

საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სანქციის ოდენობის განსაზღვრისას, სააგენტო მხედველობაში იღებს შესაბამისი საქმის რელევანტურ გარემოებებს, აფასებს დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს და სანქციის მიზნების გათვალისწინებით ადგენს ჯარიმის კონკრეტულ ოდენობას. ამასთან, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს მის მიერ მიღებული ჯარიმის ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპებით¹²⁶ (შემდგომში - სახელმძღვანელო პრინციპები). აქვე აღსანიშნავია, რომ ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს კანონის მიზნების დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებსაც. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის.

მოკვლევის ფარგლებში, მოპასუხე ეკონომიკური აგენტების: შპს „გლობალ ცბს“-ს, შპს „გეას“, შპს „კონცეპტ ფარმასა“ და შპს „რიჩ გრუპის“ ერთობლივი შემოსავლების შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნა თავად ამ ეკონომიკური აგენტებისაგან. მიღებული ინფორმაციის

¹²⁴ სააგენტოს მიერ მიღებული ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის 1.1. პუნქტი.

¹²⁵ იქვე.

¹²⁶ ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/0dc9ce2ac3304600b1af11ffffac206b.pdf.

მიხედვით, შპს „გლობალ ცბს“-ს 2024 წლის ერთობლივი შემოსავალი შეადგენდა ლარს,¹²⁷ შპს „კონცეპტ ფარმას“ ერთობლივი შემოსავალი ამავე პერიოდისათვის შეადგენდა ლარს,¹²⁸ შპს „გეას“ ერთობლივი შემოსავალი 2024 წელს შეადგენდა ლარს,¹²⁹ ხოლო შპს „რიჩ გრუპის“ 2024 წლის ერთობლივი შემოსავალი გაუტოლდა ლარს.¹³⁰

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს სახელმძღვანელო პრინციპების მეორე თავის 1.2. ქვეთავზე და განმარტავს, რომ სანქციის შეფარდების პროცესში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს წინასწარ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები და რეგულაციები, რომლებიც შემთხვევათა განზოგადებისკენ არის მიმართული. ამასთან, **დაუშვებელია ცალკეული შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებებისთვის ფიქსირებული პროცენტული მაჩვენებლის მინიჭება ჯარიმის ოდენობასთან მიმართებით.**¹³¹ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯარიმის ოდენობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას ეკონომიკური აგენტის არსებობას.¹³² აქედან გამომდინარე, მისი ოდენობა შესაბამისობაში უნდა იყოს ეკონომიკური აგენტის ეკონომიკურ და ფინანსურ შესაძლებლობებთან. ამასთან, დაკისრებული ჯარიმა არ უნდა გახდეს ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველი.¹³³ სააგენტო მიუთითებს, რომ მიზანშეწონილია დაწესებული სანქცია, ერთი მხრივ, ემსახურებოდეს კანონდარღვევის პრევენციის მიზანს, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად არ იყოს აცდენილი სამართალდამრღვევი სუბიექტების მიერ შესაბამისი ბაზრის კონკურენტული გარემოსათვის მიყენებულ ზიანს. სააგენტო ასევე მხედველობაში იღებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლის მიხედვითაც, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას, მოკვლევის პროცესში მჭიდრო თანამშრომლობა შეიძლება განხილულ იქნეს შემამსუბუქებელ გარემოებად. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არასამართლიანად მაღალი ფასის, როგორც კონკურენციის შეზღუდვის ფასისმიერი ქმედების შეფასებისას, რადგანაც ასეთ შემთხვევაში საჭიროა კომპლექსური ეკონომიკური ანალიზი, რაც თავის მხრივ, მოითხოვს ეკონომიკური აგენტის ფინანსური, საგადასახადო, საბუღალტრო და სხვა სახის ინფორმაციასა თუ დოკუმენტაციაზე წვდომას, ხშირ შემთხვევაში კი ასეთი ტიპის დოკუმენტაცია მხოლოდ მხარეს შეუძლია მიაწოდოს სააგენტოს. შესაბამისად, ცხადია, ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს თუ როგორ შეასრულებს ეკონომიკური აგენტი მისთვის დაკისრებულ კანონისმიერ ვალდებულებას - ადმინისტრაციულ ორგანოს მიაწოდოს მოკვლევის სრულყოფილად წარმოებისათვის საჭირო დოკუმენტაცია/ინფორმაცია. გარდა ამისა, მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ასევე კანონდარღვევის ხანგრძლივობა, რაც გულისხმობს კანონდარღვევის დაწყებისა და დასრულების პერიოდის იდენტიფიცირებას. სააგენტო მხედველობაში იღებს თავად ქმედების ხასიათსაც, ვინაიდან, აღნიშნული ქმედების

¹²⁷ შპს „გლობალ ცბს“-ს 2025 წლის 30 აპრილის წერილი (სააგენტოში რეგ. N 01/2723).

¹²⁸ შპს „კონცეპტ ფარმას“ 2025 წლის 01 მაისის წერილი (სააგენტოში რეგ. N 01/2725).

¹²⁹ შპს „გეას“ 2025 წლის 28 აპრილის წერილი (სააგენტოში რეგ. N 01/2667).

¹³⁰ შპს „რიჩ გრუპის“ 2025 წლის 07 მაისის წერილი (რეგ. N 01/2874).

¹³¹ იქვე.

¹³² იქვე, მეორე თავის 1.2. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹³³ იქვე.

შედეგად უშუალო ზიანი მიადგათ პაციენტებს, რომელთაც მოუწიათ საჭირო მედიკამენტის შესაძენად გადაეხადათ მეტი, ვიდრე ეს იქნებოდა ეკონომიკურ აგენტებს არასამართლიანად მაღალი ფასი რომ არ დაედგინათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისათვის ითვალისწინებს, რომ ოთხივე მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა მთელი მოკვლევის პერიოდის განმავლობაში სრულყოფილად ითანამშრომლა სააგენტოსთან. მათი მხრიდან დადგენილ ვადებში იქნა მოწოდებული სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რამაც ხელი შეუწყო მოკვლევის პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. შესაბამისად, სააგენტოს მიერ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტთა ამგვარი თანამშრომლობა თითოეულისათვის შეფასებულ იქნა როგორც შემამსუბუქებელი გარემოება და გათვალისწინებულ იქნა სანქციის ოდენობის დადგენისას. გარდა ზემოაღნიშნულისა, სააგენტომ გაითვალისწინა თითოეული ეკონომიკური აგენტის ქმედების ხანგრძლივობა, იმ მედიკამენტების რაოდენობა, რომელთა სადისტრიბუციო ღირებულებაც სააგენტოს მიერ არასამართლიანად მაღალ ფასად იქნა მიჩნეული, მოპასუხეთა მიერ მიყენებული ზიანის ოდენობა და სხვა.

სააგენტომ ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისათვის გაითვალისწინა, რომ შპს „გეას“, შპს „კონცეპტ ფარმას“ და შპს „რიჩ გრუპის“ შემთხვევაში არასამართლიანად მაღალ ფასად იქნა მიჩნეული მხოლოდ ერთი შესწავლილი მედიკამენტის სადისტრიბუციო ღირებულება, შპს „გლობალ ცბს“-ს შემთხვევაში კი ასეთი მედიკამენტების რაოდენობამ სამს მიაღწია. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ შპს „გლობალ ცბს“-ს მიერ მედიკამენტ ოფლაბ-ოზისათვის დადგენილი სადისტრიბუციო ფასი არასამართლიანად მაღალ ფასად შეფასდა როგორც 2022, ასევე 2023 წლისათვის, ხოლო იორილი-10-სა და ჰაიზინის სადისტრიბუციო ღირებულება არასამართლიანად მაღალ ფასად იქნა მიჩნეული მხოლოდ 2022 წლისათვის. შპს „რიჩ გრუპის“ მიერ მედიკამენტ ზინასენისათვის დადგენილი ფასი არასამართლიანად მაღალი იყო 2022-2023 წლებისათვის. შპს „გეას“ მიერ 120 მილიგრამიანი ბისეპტოლისათვის დადგენილი ფასი არასამართლიანად მაღალი იყო 2021-2023 წლებისათვის სრულად, ხოლო 480 მილიგრამიანი ბისეპტოლისათვის მხოლოდ 2022 წლისათვის. რაც შეეხება შპს „კონცეპტ ფარმას“, მის მიერ მედიკამენტ ფლოქსაზოლისათვის დადგენილი ფასი არასამართლიანად მაღალი იყო 2022 წლის 20 ოქტომბრიდან 2023 წლის ჩათვლით.

რაც შეეხება სამართალდარღვევის შედეგად დამდგარი ზიანისა და ეკონომიკური აგენტის მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებლის ოდენობებს, სააგენტო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლისას ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა. აღნიშნულის გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აუცილებელია, სანქციას გააჩნდეს საკმარისი სადამსჯელო/პრევენციული ეფექტი (ეკონომიკური აგენტისთვის ჯარიმის დაკისრების შემდეგ, საერთო ჯამში, სარგებლის მომტანი არ უნდა იყოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევა). აუცილებელია, ყოველ

კონკრეტულ შემთხვევაში ერთობლიობაში შეფასდეს კანონდარღვევის სიმძიმე, ხანგრძლივობა და დარღვევით გამოწვეული ზიანი, ქმედების დამამძიმებელი ან/და შემამსუბუქებელი გარემოებები. ჯარიმის კონკრეტული ოდენობის გამოთვლის მიზნებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სამართალდარღვევის სიმძიმის შეფასება. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ქმედებების სიმძიმე კი ფასდება იმ მოცულობის ფარგლებში, რა მოცულობითაც მოხდა თავისუფალი, ჯანსაღი კონკურენციის შეზღუდვა. ამასთან, უნდა შეფასდეს კანონდარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, განისაზღვროს შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის ხარისხი (მაგალითად, სამართალდარღვევაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების რაოდენობა, შემზღუდველი ქმედებების შინაარსობრივი მასშტაბები და სხვ.). აქვე აღსანიშნავია, რომ კანონდარღვევით გამოწვეული ზიანის დადგენა არ გულისმობს მის გამოსახვას ზუსტი რიცხვით, არამედ უნდა შეფასდეს რა სახის ზიანი გამოიწვია კონკურენციის დარღვევამ, რა ფარგლებში და რა მასშტაბით. სააგენტო არ წარმოადგენს კონკრეტული სუბიექტისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ზუსტი ოდენობის დადგენაზე უფლებამოსილ ორგანოს. შესაბამისად, სააგენტომ ოთხივე მოპასუხე ეკონომიკური აგენტის ნაწილში განსაზღვრა ზიანის ის მიახლოებითი ოდენობა, რომელიც განიცადეს პაციენტებმა, როგორც მოკვლევის ფარგლებში შესწავლილი ფარმაცევტული პროდუქტების საბოლოო მომხმარებლებმა. ზიანის ოდენობის დაანგარიშებისათვის სააგენტომ გამოთვალა იმ სხვაობის ოდენობა, რაც ეკონომიკურ აგენტთა მიერ შესაბამის პერიოდებზე (იგულისხმება ის დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც თითოეულ შესაბამის სუბიექტს დაუდასტურდა არასამართლიანად მაღალი ფასის დაწესება) დაწესებული ჭარბი ფასებიდან გამომდინარე, შესაბამისი მედიკამენტის რეალიზებული კოლოფების ოდენობის გათვალისწინებით მიიღო კომპანია. ამგვარი კალკულაციის შედეგად, სააგენტომ შპს „გლობალ ცბს“-ს მიერ მედიკამენტ იორილი-10-სათვის 2022 წლის განმავლობაში არასამართლიანად მაღალი ფასის დაწესებით მიყენებული ზიანის ოდენობად განსაზღვრა 70 125.2 ლარი. ამავე ეკონომიკური აგენტის მიერ მედიკამენტ ჰაიზინისათვის 2022 წლის განმავლობაში არასამართლიანად მაღალი ფასის დაწესებით მიყენებული ზიანის ოდენობამ 8 792.64 ლარი შეადგინა. რაც შეეხება მედიკამენტ ოფლაბ-ოზს, სააგენტოს მიერ ამ პრეპარატთან მიმართებით შპს „გლობალ ცბს“-ს მიერ დადგენილი ფასი ჭარბად იქნა შეფასებული როგორც 2022, ასევე 2023 წლისათვის, შესაბამისად, სააგენტომ ზიანის ოდენობა დაიანგარიშა ორივე წლისათვის. ამ მედიკამენტის ნაწილში სააგენტოს მიერ დაანგარიშებულმა ზიანის ოდენობამ 2022 წლისათვის შეადგინა 35 310.62 , ხოლო 2023 წლისათვის - 44 551.65 ლარი, ჯამურად ორივე წლისათვის - 79 862.27 ლარი. შესაბამისად, შპს „გლობალ ცბს“-ს მიერ სამი მედიკამენტისათვის დადგენილი არასამართლიანად მაღალი ფასების დაწესებით მიყენებული ზიანის ოდენობამ ჯამურად შეადგინა 158 780.11 ლარი. შპს „რიჩ გრუპის“ შემთხვევაში, არასამართლიანად მაღალი ფასის დადგენა დადასტურდა ერთი მედიკამენტის, ზინასენის ნაწილში, როგორც 2022, ასევე 2023 წლისათვის. ამ მედიკამენტზე არასამართლიანად მაღალი სადისტრიბუციო ფასის დაწესებით მიყენებულმა, სააგენტოს მიერ დაანგარიშებულმა ზიანის ოდენობამ 2022 წლისათვის შეადგინა 16 562.88 ლარი, ხოლო 2023 წლისათვის - 28 693.41 ლარი - ჯამურად ორივე წლისათვის - 45 256.29 ლარი. რაც შეეხება შპს

„კონცეპტ ფარმასა“ და მის მიერ მედიკამენტ ფლოქსაზოლისათვის არასამართლიანად მაღალი ფასის დაწესებით მიყენებულ ზიანის ოდენობას, 2022 წლის 20 ოქტომბრიდან ამავე წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელი იყო 18 754.9 ლარი, ხოლო 2023 წლისათვის - 84 639.4 ლარი. შესაბამისად, ჯამში აღნიშნული კომპანიის მიერ მედიკამენტ ფლოქსაზოლზე არასამართლიანად მაღალი ფასის დაწესებით მიყენებული ზიანის ოდენობამ შეადგინა 103 394.3 ლარი. თავის მხრივ შპს „გეას“ მიერ მედიკამენტ ბისეპტოლისათვის (120 მგ.) არასამართლიანად მაღალი ფასის დაწესებით მიყენებული ზიანის ოდენობამ 2021 წლისათვის შეადგინა 11 597.37 ლარი, 2022 წელს - 20 925.35 ლარი, ხოლო 2023 წელს - 16 392.67 ლარი, ანუ ჯამურად ზიანის სამი წლის მაჩვენებელმა მიაღწია 48 915.39 ლარს. რაც შეეხება შპს „გეას“ მიერ 480 მილიგრამიანი ბისეპტოლისათვის 2022 წელს არასამართლიანად მაღალი ფასის დაწესებით მიყენებული ზიანის ოდენობას, იგი განისაზღვრა 148 360.16 ლარით, ანუ სულ შპს „გეას“ მიერ ორივე ფარმაცევტული პროდუქტისათვის არასამართლიანად მაღალი ფასის დაწესებით მიყენებული ზიანის ოდენობამ შეადგინა 197 275.55 ლარი¹³⁴.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მხედველობაში იღებს მხარეთა ფინანსურ შესაძლებლობებს, მითითებულ რელევანტურ გარემოებებს და მიიჩნევს, რომ ჯარიმის განსაზღვრა უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

- შპს „გლობალ ცბს“ - წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის %;
- შპს „კონცეპტ ფარმა“ - წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის %;
- შპს „გეა“ - წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის %;
- შპს „რიჩ გრუპი“ - წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის %.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, 17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტების, 25-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის პირველი, მეორე პუნქტების, 29-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

¹³⁴ შპს „გეას“ მიერ მედიკამენტ ბისეპტოლზე (120 მგ. და 480 მგ.) არასამართლიანად მაღალი ფასების დაწესებით მიყენებული ზიანის ოდენობის დათვლისათვის გამოყენებული რეალიზებული კოლოფების ოდენობაში არ არის გათვალისწინებული მიწოდებული მედიკამენტის კოლოფებიდან რეალიზაციის მაჩვენებელი.

გადაწყვეტა:

1. დადასტურდეს შპს „გლობალ ცბს“-ს, შპს „გეას“, შპს „კონცეპტ ფარმასა“ და შპს „რიჩ გრუპის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.
2. არ დადასტურდეს შპს „ბარდის“, შპს „ნუვეა ფარმაცევტიკალსის“, შპს „BIH“-ისა და შპს „კროკუს ფარმას“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.
3. პირველ პუნქტში მითითებული კანონდარღვევისთვის ეკონომიკურ აგენტებს დაეკისროთ ჯარიმა შემდეგი ოდენობით:

შპს „გლობალ ცბს“ – 249 143.74 ლარი;

შპს „გეა“ – 210 631.8 ლარი;

შპს „კონცეპტ ფარმა“ - 21 646.14 ლარი;

შპს „რიჩ გრუპი“ – 77 935.33 ლარი.

რეკომენდაცია

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო, როგორც საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანო, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის აღსრულების მიზნებისათვის, მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს ქვეყნის სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციის საწინააღმდეგო რისკების შემცველ ქმედებებზე, რომელთაც გააჩნიათ რეალური ან პოტენციური შესაძლებლობა შეზღუდოს ჯანსაღი კონკურენცია ბაზარზე.

ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფასა და ამ სფეროში ოპერირებადი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტების კანონიერი ინტერესების დაცვას, აგრეთვე, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ამავე მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, სააგენტო უფლებამოსილია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“

ქვეპუნქტის მიხედვით, „ეკონომიკურ აგენტს წარუდგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები“.

განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციის ფარგლებში, სააგენტო განმარტავს, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ დადგენილი ფასის სიჭარბის შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განხორციელდეს და შესაბამისად, წინა საქმეებზე დადგენილი ფასის სიჭარბის დონეები არ მიიჩნევა გადამწყვეტ პარამეტრად სხვა საქმეებისათვის. მიუხედავად აღნიშნულისა, სააგენტო არასამართლიანად მაღალი ფასის თაობაზე საქმის განხილვისას, უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ევროპული ქვეყნების კონკურენციის უწყებების, ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს შესაბამის პრაქტიკას. აღნიშნული პრაქტიკის გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით დადგენილი მინიმალური სხვაობა (ფასის სიჭარბის დონე), სადავოდ გამხდარ ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის, 24%-ს შეადგენს. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, არასამართლიანად მაღალი ფასის საქმეებზე სააგენტო ითვალისწინებს სწორედ აღნიშნულ მინიმალურ ზღვრულ ნიშნულს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ გამოყენებული ფასის სიჭარბის დადგენის მიმართულებით. თუმცა სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ფაქტობრივად გამოყენებულ ფასსა და „ხარჯი პლუს მარჟას“ შორის არსებული სხვაობა შესაძლებელია მაინც ჩაითვალოს ჭარბად იმ შემთხვევაშიც, თუ ის ჩამოუვარდება ზემოთხსენებულ 24%-იან ზღვარს, თუმცაღა შესაბამისი სხვაობა არსებითი და საკმარისად მაღალია.

დამატებით აღსანიშნავია, რომ დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ჭარბი ფასის დადგენა თავისთავად არ წარმოადგენს კანონდარღვევას - კერძოდ, იმისათვის, რომ ჭარბი ფასის დადგენით ადგილი ჰქონდეს ეკონომიკური აგენტის მხრიდან დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, აუცილებელია აღნიშნული ფასი არასამართლიანად მაღალიც იყოს. ამ უკანასკნელი გარემოების შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს განსახილველი ფასის არასამართლიანად მაღალ ხასიათს თავისთავად ან/და კონკურენტი პროდუქტის/მომსახურების ფასთან შედარებით. ნებისმიერი ერთ-ერთი მათგანის არსებობა საკმარისი პირობაა კანონდარღვევის დასადგენად, თუმცა სააგენტო საკუთარ პრაქტიკაში არ არის შეზღუდული ორივე გარემოება საკუთარი ინიციატივის საფუძველზე გამოიკვლიოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს მოკვლევის ფარგლებში დადგენილ, აგრეთვე სხვა შესაბამის ბაზრებზე ოპერირებად და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს წარედგინოთ განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია:

ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას, შესაბამის ბაზარზე მომსახურების/პროდუქციის საფასო პოლიტიკა აწარმოონ იმგვარად, რომ ფასის დადგენამდე შეაფასონ და გაითვალისწინონ კონკურენციის საწინააღმდეგო რისკები წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილისა და აღნიშნულ რეკომენდაციაში ფასის სიჭარბის შესახებ განმარტების შესაბამისად. ამასთან, ჭარბი ფასის გამოყენებისას (რომელიც თავისთავად არ წარმოადგენს კანონდარღვევას) დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მხრიდან უნდა შეფასდეს რისკი იმის თაობაზე, რომ ჭარბი ფასი არასამართლიანად მაღალი არ იყოს. ამ უკანასკნელი გარემოების შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს განსახილველი ფასის არასამართლიანად მაღალ ხასიათს თავისთავად ან/და კონკურენტი პროდუქტის/მომსახურების ფასთან შედარებით. ნებისმიერი ერთ-ერთი მათგანის არსებობა საკმარისი პირობაა კანონდარღვევის დასადგენად. არასამართლიანად მაღალი ფასის შესახებ გონივრული ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, სააგენტომ შესაძლოა, დაიწყოს საქმის მოკვლევა შესაბამისი ეკონომიკური აგენტის/აგენტების წინააღმდეგ.